# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 28 აგვისტო 2001 №162 (1435) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაცხადება განცხადებამდე

## ცხადაძე გააძევეს, ნოდია გააფრთხილეს

უეფას თასზე შერცხვენას გივი ნოდიას თბილისის „დინამომ" გუშინ ჯანი კარნევალის „ვიტ ჯორჯიასთან" მარცხიც დაურთო და ათგზის ჩემპიონმა შერჩენილ ქომაგებს საწუხარი უმატა.

ალექსანდრე გოგობერიშვილის 30 მეტრიდან მოქნეულმა მარჯვენამ „დინამო" დააშამათა, გივი ნოდია კი გააფრთხილა, რომ თუ ასე გაგრძელდა, გადადგომის თაობაზე განცხადების დაწერამდეც ბევრი არაფერი დარჩება.

გუშინვე საკუთარ განაყოფს და უმცროს ძმას სძლია „ლოკომოტივმა", რომელსაც გურულთა დამარცხება მთავარი მწვრთნელის დაკარგვად დაუჯდა. ოღონდ, თუ გივი ნოდიას „დინამოსთან" ხანგრძლივი განშორება ემუქრება, რკინიგზელებს კახა ცხადაძე სულ ნახევარი საათით დააკლდათ. მსაჯთან შესიტყვებისთვის სათადარიგოთა სკამიდან გაძევებული „ლოკომოტივში" მუშაობას კვლავ გააგრძელებს.

გოლგაუშვებელ სერიას განაგრძობს რევაზ ძოძუაშვილის „ტორპედო", ამჯერად „გორდას" რომ სძლია რუსთავში 3:0 და ეროვნულ ჩემპიონატში მარცხი ჯერ ისევ არ იცის. ვიდრე ჩემპიონს გუნდში უკვე ზედიზედ მესამე დუბლის გამტანი მიხეილ აშვეთია ჰყავს, ალბათ, არც არაფერი გაუჭირდება.

ეგაა, ჩემპიონს ოთარ გაბელიას „მერანი" ისევ ახლოს მისდევს და 5 ქულაზე მეტად არც „სამგურალის" 1:0 მძლეველი „ბათუმი" ჩამორჩენია.

სამაგიეროდ, ბოლნისის „სიონმა" „ტორპედოს" ერთი მდევარი, „კოლხეთი" დაამუხრუჭა. თემურ მახარაძის სადებიუტო მატჩი ბოლნისელებმა ბოლო ათ წუთში გადაარჩინეს. სტუმარ ჰამლეტ წივწივაძის გოლს შალვა ისიანმა და მამუკა მინაშვილმა 82-ე და 90-ე წუთებზე უპასუხეს, რითაც სატურნირო მდგომარეობა და ხასიათი, სულ მცირე, ორი კვირით გაიუმჯობესეს. ეროვნულ ჩემიონატს 8 სექტემბრამდე სანაკრებო მატჩები შეწყვეტს.

იხილეთ მეორე-მეოთხე გვერდები

საქართველოს 13 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი ეტაპი

### 5 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 5 | 5 | 0 | 0 | 14:0 | 15 |
| მერანი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | 13 |
| ბათუმი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:2 | 10 |
| კოლხეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 11:7 | 9 |
| ლოკომოტივი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:5 | 9 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| დინამო | 5 | 2 | 1 | 2 | 9:5 | 7 |
| სიონი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:10 | 6 |
| სამგურალი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:10 | 6 |
| გორდა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:11 | 4 |
| გურია | 5 | 0 | 1 | 4 | 3:9 | 1 |
| მეტალურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:16 | 0 |

ბომბარდირები

8 - მიხეილ აშვეთია (ტორპედო)
5 - მიხეილ ბობოხიძე (დინამო)
ჰამლეტ წივწივაძე (კოლხეთი)
3 - ზურაბ იონანიძე (ტორპედო)
სულიკო დავითაშვილი (მერანი)



გორდა — ტორპედო 0:3. ქუთაისელი მალხაზ ასათიანი რუსთაველ მცველს გასცდა

# მარცხი მარცხისა და ბედის სლავებზე დაკიდების პერსპექტივით

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე წაუგებელი სვლა შეწყვიტა. ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ ჩვენებმა სტუმრად ვერაფერი გააწყვეს ბულგარელებთან და უიმედოდ, 66:85 დამარცხდნენ. არადა, ქართველებს რომ მოეგოთ, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის საგზურს ვადამდე ინაღდებდნენ.

ამ საკითხის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტა საქართველოს ნაკრებს ხვალვე შეუძლია — საამისოდ ბელარუსის სტუმრად დამარცხებაა საჭირო. ოღონდ, თუ რეალობას თვალს გავუსწორებთ და გუნდის ირგვლივ შექმნილ სიტუაციას გავითვალისწინებთ, ხვალ ჩვენი კალათბურთელები, სავარაუდოდ, კიდევ ერთხელ წაიფორხილებენ.

თუ ასე მოხდა, მაშინ საქართველოს ნაკრების ბედი ბოლო ტურის ბელარუს — ბულგარეთზე დაეკიდება. ქართველები მომდევნო ეტაპზე ბულგარეთის ნებისმიერი და ბელარუსის პატარა ანგარიშით მოგების შემთხვევაში გავლენ. ცხადია, იმ პირობით, თუკი თავად შინ დაამარცხებენ აზერბაიჯანს.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 5 ტური

# კატა მაინც გვანახეთ

## ჯანის აღარც გოგობერიშვილი უნდა, აღარც ჩემპიონობა

მცხეთა. 27 აგვისტო. 18.30 საათი. არმაზი. 800 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 1:0 დინამო

1:0 გოგობერიშვილი (79)

1 მერლანი
4 კობიაშვილი, 21 ჭანკოტაძე, 2 არეშიძე
9 ნოზაძე, 23 თედორაძე, 14 დოლიძე, 5 მუჯირი
7 გოგობერიშვილი
22 ადამია

მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

10 გოჩაშვილი
10 გ.გ. მიქაძე, 11 მ. ბობოხიძე
9 დარასელია
2 სვანიძე, 7 შალამბერიძე, 6 აფციაური, 8 ბურდული
3 ამისულაშვილი, 5 შაშიაშვილი, 4 ვაშაკიძე
1 ბათიაშვილი

მწვრთნელი: გივი ნოდია

შეცვლა: მუჯირი — 16. წუწუნავა (52), შალამბერიძე — 14. კანდელაკი (64), დარასელია — 18. მიკუჩაძე (64), გოჩაშვილი — 17. მეტრეველი (68), თედორაძე — 24. იაშვილი (76), სვანიძე — 13. შაგგულიძე (84)

გაფრთხილება: დარასელია (20), სვანიძე (30), გოგობერიშვილი (50), ამისულაშვილი (67)

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), ს. შალამბერიძე (თბილისი); გ. კუპრეიშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

| | | |
|---|---|---|
| 20 | ჯარიმა | 20 |
| 0 | კუთხური | 4 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 3 | კარში დარტყმა | 2 |
| 1 | თამაშგარე | 2 |

**ვერ არის** საქმე კარგად „დინამოში“, რაღაც უჭირს გუნდს, ფეხბურთელები დამძიმებულად გამოიყურებიან და შედეგიც იდენტურია — „ბატესთან“ შერცხვენის მერე კვლავ წაგება, კვლავ გაწბილება...

ვიტელებზე კი აბა, რა უნდა ითქვას. გუნდი რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა და წინა ტურში „ლოკომოტივთან“ დამარცხების შემდეგ ყურები არ ჩამოუყრიათ ვეტერინარებს, ათგზის ჩემპიონს „არმაზიდან“ ქულაც არ გაატანეს.

კარგა ჯახაჯუხი, უფრო სწორად, ბრახაბრუხი ატეხეს გუნდებმა მცხეთაში. პირველი ტაიმი ისე გაილია, ერთი გააზრებული, მოხდენილი კომბინაცია ვერ გაითამაშეს ვერც ერთი გუნდის ფეხბურთელებმა, ისეთი, კარში დარტყმით რომ დასრულდებოდა. იყო ბრძოლა, პრესინგის მცდელობა და მეტი არაფერი. საგოლე მომენტი რასაც ჰქვია, ცხადია, არც ის ყოფილა, ოდენ მწვავე ეპიზოდების ნახვას თუ გამოვრჩით. ჯერ გიორგი მიქაძე აღმოჩნდა კარგ სიტუაციაში, მაგრამ კარში დარტყმა დააყოვნა, მერე ვიტელმა ბესიკ თედორაძემ ცაციათი ვერ ივარგა, შემდეგ კვლავ მიქაძემ გაიბრძოლა, როცა ჭანკოტაძის მიერ მერლანისთვის დაგორებული ბურთი ჩაჭრა და მოედნის გარეთ გაექცა.

„დინამოს“ ისევ ნახევარდაცვის ცენტრში უჭირდა. ახალწვეული ჯონი შალამბერიძე ტრავმის მოშუშების შემდეგ ჯერაც არ არის სასურველ ფორმაში. გამთამაშებლად გამწესებული ვიტალი დარასელია კი ერთობ ინერტული გახლდათ. გივი ნოდიას გუნდს ტრავმირებული მარცხენაფლანგელის, არჩილ სახვაძის არყოფნაც ეტყობოდა.

თუ თამაშის ხარისხს ვიგულისხმებთ, ვერც „ვიტ ჯორჯიას“ შევაქებთ. თუმც მასპინძლები მობილურად მოქმედებდნენ, რაც „დინამოს“ დაჯაბნისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

მეორე ორმოცდახუთ წუთში ვლადიმერ გოჩაშვილის არაზუსტი მაკრატელათი გამოვფხიზლდით. ტაიმის შუაწელიდან კი თამაში გამოცოცხლდა, რაც გივი ნოდიას შეცვლებმა განაპირობა. კანდელაკმა მარცხენა მცველის პოზიცია დაიკავა, ხოლო ამისულაშვილმა ნახევარდაცვაში წაიწია. ფიზიკური ძალისა და სისწრაფის ხარჯზე ალეკო ამისულაშვილმა რამდენჯერმე გაარღვია „ვიტ ჯორჯიას“ ნახევარდაცვა. მის მარცხნიდან ჩაწოდებულ დაბალ ბურთს მიქაძემ თავური კი შეაგება, მაგრამ მირზა მერლანმა ხელებში გააქვავა ბურთი. ამისულაშვილის მორიგი აქტიურობისა და ზუსტი პასის შედეგად მიქაძე უკვე მარჯვნიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, კარის გასწვრივ გაგზავნა ბურთი და მიხეილ ბობოხიძემ 3-4 მეტრიდან ხარიხა შეაზანზარა. ცოტა ხანში ისევ ამისულაშვილ-მიქაძის კომბინაცია გათამაშდა, დამაგვირგვინებელი დარტყმა კი მიკუჩაძეს გაუცუდდა. „დინამო“ დროის ამ მონაკვეთში სრულ უპირატესობას ფლობდა, თუმც ეს ფუჭი გამოდგა. ვიტელთა კაპიტანმა ალეკო გოგიბერიშვილმა კი ორი მეტოქე ჩამოიცილა და დაახლოებით 30 მეტრიდან „ცხრიანში“ მოათავსა ბურთი — ზურაბ ბათიაშვილი არც კი განძრეულა.

გაშვებული გოლის შემდეგ დინამოელებს ფხა და ღონის მარაგი აღარ აღმოაჩნდათ თამაშის შემობრუნებისთვის. ერთიცაა, „დინამოს“ ისეთი მოთამაშეებიც არ ჰყავს, ზირაქიშვილის, იაგორაშვილისა და სახვაძის არყოფნა გუნდს დიდად რომ არ დაეტყოს. არადა, გივი ნოდიას გაცილებით მეტს სთხოვენ და ამ წაგების შემდეგ, ალბათ, მკაცრადაც დაელაპარაკებიან. და მართლაც, არც არავის უნდა ისეთი „დინამო“, მასზე რომ თქვან, კატაც არა გვყავს, ვეფხვად რომ გავასაღოთო.

***ჯანი კარნევალი, „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელი:***

— „დინამო“ წაგებას არ იმსახურებდა, მაგრამ ეს ფეხბურთია. ისე, ურიგო თამაში არ ყოფილა. ჩვენ ეპიზოდებში ჩავარდნები გვქონდა, თუმც მაინც გავიმარჯვეთ. გოლი მოულოდნელად გავიტანეთ.

— რაც შეეხება გოგობერიშვილს, გვსურს, რომ ის სხვა გუნდში გავუშვათ, რადგან ჩვენი პროგრამა ამ სეზონში ჩემპიონობას არ ისახავს მიზნად. ვაპირებთ, გოგობერიშვილი და მუჯირი სერია B-ს ერთ-ერთ გუნდში წავიყვანოთ. ჩვენი მიზანია, „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელებმა ევროპაში ითამაშონ.

***გივი ნოდია, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:***

— არწასაგები თამაში წავაგეთ. რამდენიმე კარგი შანსი ხელიდან გავუშვით. კვლავ თავი იჩინა მეკარის პრობლემამ, რაზეც სერიოზული მუშაობა გვმართებს. „ბატესთან“ წარუმატებლობამაც თავის დაღი დაამჩნია ჩვენ თამაშს. თუმც მთავარი მაინც მეკარის საკითხია. არ მეგონა, თუ მეკარის პრობლემა ასე მწვავედ დადგებოდა „დინამოში“. სხვა მხრივ არაფერი გვიჭირს, უკან არ დავიხევთ და კვლავაც მხოლოდ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ. ჯერ ყველაფერი წინ არის.



ვიტელთა მეკარე მირზა მერლანი მიხეილ ბობოხიძეს თავზე გადაახტა

ლანჩხუთი. 27 აგვისტო. 18.30 საათი. ევგრაფი შევარდნაძე. 2 000 (ტევადობა 22 000)

### გურია 0:1 ლოკომოტივი

0:1 გოდერძიშვილი (67)

1 გ. დოლიძე
2 ებრალიძე
3 ორბელაძე, 4 გაბრიჭიძე
5 კუკულაძე, 17 კაციაშვილი, 8 განევი, 14 ფაცურია
10 პატარაია, 15 ხუჭუა
11 კ. მეტრეველი

მწვრთნელი: ზაზა [illegible]

10 კაიდარაშვილი, 7 დ. ჯანაშია
16 დათვაძე
8 ჭიჭვეიშვილი
2 ბალაშვილი, 17 ვლასოვი, 20 ონიანი
5 ბაქრაძე, 4 სალუქვაძე, 6 დავითნიძე
1 ლომაია

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

შეცვლა: პატარაია — 7. სულაკაძე (46), ჯანაშია — 13. დ. გოდერძიშვილი (46), კუკულაძე — 9. ლ. ჩხაიძე (64), გაბრიჭიძე — 13. დ. ოდიკაძე (71), კაიდარაშვილი — 18. სირბილაძე (82)

გაფრთხილება: მეტრეველი (16)

გაძევება: კახა ცხადაძე (61)

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), ლ. სილაგავა (თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

| | | |
|---|---|---|
| 16 | ჯარიმა | 18 |
| 4 | კუთხური | 2 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 3 | კარში დარტყმა | 3 |
| 1 | თამაშგარე | 5 |

# ცხადაძე გააძევეს

**გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან**

**მალტურ** „ბირკირკარასთან“ შერცხვენილი „ლოკომოტივი“ გუშინ ლანჩხუთში „გურიას“ ესტუმრა.

მეტოქეები ერთმანეთის წინაშე საკმაოდ სახეშეცვლილები წარსდგნენ. თავთავიანთ გუნდების შემადგენლობაში პირველად გამოჩნდნენ მასპინძლები კუკულაძე და პატარაია და სტუმარი ვლასოვი.

მატჩი გურულთა აქტიურობით დაიწყო. პატარაიამ მოედნის ცენტრიდან კარგი პასი გაუხერხა მეტრეველს, თუმც მისი დარტყმული ლომაიამ მოიგერია. რკინიგზელებმა მოგვიანებით თამაში გაათანაბრეს და მასპინძელთა კარს სახიფათოდაც შეუტიეს. კერძოდ, ტაიმის შუაში ჯანაშია დარჩა მეკარესთან პირისპირ, თუმც გუბაზ დოლიძემ იმარჯვა.

თუმც შესვენებამდე მოედანზე მაინც უნიათო ბურთაობა იყო. არც ერთი გუნდი თავს არ იწუხებდა შეტევებისთვის. თამაშმაც მოედნის ცენტრში გადაინაცვლა.

მეორე ნახევარში შეცვლაზე შესულმა გოდერძიშვილმა რკინიგზელთა შეტევები შედარებით გააქტიურა. შედეგიც მალე გამოჩნდა. 54-ე წუთზე „გურიას“ საჯარიმოში შექმნილი არეულობით კაიდარაშვილმა ვერ ისარგებლა, მის ხუთიოდ მეტრიდან დარტყმულს მცველი გადაელობა, თუმც სამ წუთში „ლოკომოტივმა“ მაინც შეძლო გოლის გატანა. ბალაშვილის ჩაწოდებული და განევის ფეხიდან ასხლეტილი ბურთი გოდერძიშვილს მიუვიდა. მისი დარტყმული კი ზუსტი გამოდგა.

რამდენიმე წუთში შეხვედრის არბიტრმა დავით სანაიამ რკინიგზელთა თავკაცი კახა ცხადაძე გააძევა, თუმც სტუმრებს შეხვედრის თავიანთ სასარგებლოდ დასრულება არ გასჭირვებიათ.

## ინგლისი

**პრემიერლიგა**
III ტური
ბოლტონი 2:1 ლივერპული
1:0 რიკეტსი (26), 1:1 ჰესკი (66), 2:1 ჰოლდსუორთი (89)

**პირველი დივიზიონი**
IV ტური
ბარნსლი 1:1 როტერჰემი
ბირმინგემი 2:1 სტოკპორტი
ნორვიჩი 2:0 შეფილდ უენსდი
პორტსმუთი 4:2 გრიმსბი
პრესტონი 1:1 უიმბლდონი
შეფილდ იუნ. 2:2 ვულვერჰემპტონი
უოტფორდი 2:1 უოლსოლი
ვესტ ბრომვიჩი 1:0 ჯილინგემი
ბარნლი 2:4 მანჩესტერ სიტი
ქოვენთრი 0:0 ნოტინგემი
ბერი 0:3 სუინდონი
კოლჩესტერი 2:0 პორტ ვეილი
ნოთს ქაუნთი 1:1 ჩესტერფილდი
პიტერბრო 1:2 ჰადერსფილდი
უიკომბი 1:0 ქუინზ პარკი
სტოკ სიტი 1:2 ტრანმერი
ბრაიტონი 4:0 ბლექპული

**მეორე დივიზიონი**
IV ტური
ბრენტფორდი 2:1 კემბრიჯი

**მესამე დივიზიონი**
IV ტური
დარლინგტონი 1:0 როვერსი
ჰალიფაქსი 0:2 ოქსფორდი
ჰალი 2:1 კიდერმინსტერი
ლეიტონი 2:0 ჰარტლპული
ლუთონი 2:0 საუთენდი
მენსფილდი 4:0 მაკლსფილდი
როჩდეილი 2:0 ექსეტერი
რაშდენი 2:3 პლიმუთი
სკანთორპი 1:1 ლინკოლნი
სუონსი 2:2 ჩელტენჰემი
ტორკი 2:1 კარლაილი

## პორტუგალია

III ტური
მარიტიმუ 1:3 პორტუ
სალგეირუში 1:3 გიმარაეში

## ფინეთი

XXVII ტური
ჰიკ 2:0 ტამპერე
ლაჰტი 0:2 ჰაკა

## შვედეთი

XIX მტური
ჰელსინგბორგი 5:0 ორგრიტე
გიოტებორგი 1:0 ჰამარბი
ტრელებორგი 1:1 აიკ
ნორჩეპინგი — ორებრო გადაიდო

## გერმანია

თასის 1/32 ფინალი
პადერბორნი 1:5 ბაიერნი





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ გაუტანს ტორპედოს?



ჩემპიონი „ტორპედო“ და მიხეილ აშვეთია (№10) ვერც რუსთავში შეაფერხეს

რუსთავი. 26 აგვისტო. 18.30 საათი. ფოლადი 2 200 (ტევადობა 10 870)

## გორდა 0:3 ტორპედო

0:1, 0:2 აშვეთია (10, 19), 0:3 პარამონოვი (86)

მწვრთნელი: იასონ ალადაშვილი

22 კოროშინაძე

2 კედელაშვილი, 3 ბურნაძე, 23 ლაშა სილაგაძე, 4 ბერიძე

7 ზ. ლაბაძე, 8 მ. მელაძე, 21 ალადაშვილი, 17 ა. ბუკია

20 კილასონია, 10 გოცირიძე

10 აშვეთია, 9 ქუთათელაძე

20 ასათიანი

19 პოროშინი, 6 ქემოკლიძე, 4 დიდავა

5 თოდუა, 12 აბრამიძე, 24 ხვადაგიანი, 3 მახვილაძე

1 გვარამაძე

მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

შეცვლა: ლაშა სილაგაძე — 13. ზვ. ლაბაძე (25), ბუკია — 11. ჯელაძე (46), ქუთათელაძე — 15. ახალკაცი (46), ასათიანი — 25. პარამონოვი (55), მელაძე — 9. პეტრიაშვილი (62), პოროშინი — 18. გონჩაროვი (68)

მსაჯები: გ. მალაღურაძე (თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

| | | |
|---|---|---|
| 13 | ჯარიმა | 15 |
| 7 | კუთხური | 3 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 5 | კარში დარტყმა | 5 |
| 1 | თამაშგარე | 6 |

პაატა კვანტალიანი რუსთავიდან

ჩემპიონ „ტორპედოს“ აღმასვლა გრძელდება. ქუთათურებმა ისევ იოლად გაიმარჯვეს. შედეგად კვლავაც ქულადაუკარგავნი არიან და ბურთების შთამბეჭდავი სხვაობით — 14:0 ლიდერობენ გათამაშების ცხრილში.

„ფოლადზე“ მოულოდნელი არაფერი მომხდარა, „გორდა“ გაცილებით ძლიერ მეტოქესთან მშრალი ანგარიშით დამარცხდა. აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ იასონ ალადაშვილის გუნდმა ზედიზედ ორი საშინაო მარცხი იგემა ერთნაირი ანგარიშით.

6 საათზე მომსვლელი მოსული იყო „ფოლადზე“, რადგან რუსთავში გაკრულ აფიშებზე მატჩის დაწყების დროდ 18.30-ის ნაცვლად 18 საათი იყო მინიშნებული. მასპინძელთა იმედი ვარლამ კილასონია იყო, ჯერაც ტრავმამოუშუშებელი და 16 დღის უვარჯიშებელი ფორვარდი. კილასონია მართლაც საუკეთესო გახლდათ თანაგუნდელთა შორის, პასებიც უხვად არიგა, მთელი 90 წუთი ჯარასავით იტრიალა და სტუმრებიც არაერთხელ ანერვიულა, თუმც მისი ძალისხმევა „ტორპედოს“ არ ეყო და ვერც ეყოფოდა, რადგან გუნდური, დალაგებული ფეხბურთი ითამაშა ძოძუაშვილის გუნდმა და რომ მოენდომებინა, გაცილებით სოლიდური ანგარიშითაც მოიგებდა.

ძნელად თუ შეაჩერებს ვინმე მიხეილ აშვეთიას ბომბარდირთა დავაში. ქუთაისელმა მეგოლემ თავის მონაგარს რუსთავში ორიც შეჰმატა. აშვეთიამ პირველად მეათე წუთზე გაიტანა კუთხურის შემდეგ, როდესაც ასათიანისგან გამჭოლი პასი მიიღო საჯარიმოში და ექვსიოდე მეტრიდან აულებელი დაურტყა კოროშინაძეს. ამ გოლამდე პოროშინს შეეძლო გატანა, მაგრამ არ გაუმართლა. მთლიანობაში უკრაინელ ლეგიონერს ურიგოდ არ უთამაშია და ამთავითვე ემჩნევა, რომ „ტორპედოს“ ადვილად მოერგება. ეგ არის, ფიზიკური კონდიციების ამაღლება მოუწევს.

აშვეთიას დუბლი „გორდას“ დაცვის კოლექტიურ ჩაძინებას მოჰყვა. ტორპედოელი პირისპირ შეხვდა კოროშინაძეს და ძლიერი დარტყმით შეაგდო. 0:2-ის მერე „გორდას“ დასაკარგი არაფერი ჰქონდა და ბრჭყალი გამოაჩინა — კილასონიამ ზურაბ ლაბაძესთან გაითამაშა კედელი და ორ მცველში ჩაჭედილმა ძლიერად დაურტყა გვარამაძეს, მაგრამ ტორპედოელმა ბოლო წამს შეძლო თითებით ბურთის დამორჩილება.

რუსთაველებმა მეორე ტაიმის დასაწყისშიც გაიბრძოლეს, მაგრამ მეტოქეს ბევრიც ვერაფერი დააკლეს. „ტორპედოს“ მოგება თითქმის განაღდებული ჰქონდა და მშვიდად, ზედმეტი რისკის გარეშე მიჰყავდა საქმე დასასრულისკენ.

ნახევარდაცვაში ქუთაისელებს უდიდესი უპირატესობა ჰქონდათ და ამის წყალობით აკონტროლებდნენ შეხვედრის მსვლელობას. ძოძუაშვილის შეგირდების აქა-იქ აფეთქება დაბნეულობას იწვევდა რუსთაველთა რიგებში და რამდენჯერმე კოროშინაძეს რომ არ ეყოჩაღა, ერთხელ კი აშვეთიას დაღეჭილ პასს მოდუნებული არ დახვედროდა ცარიელი კარის წინ ასათიანი, „გორდას“ მცირე იმედის ნაპერწკალი მე-60 წუთისთვის გამქრალი იქნებოდა, მაგრამ კილასონია და კომპანია დანებებას არ აპირებდნენ, ჯერ ვარლამის დახვეულ საჯარიმოს ბეწვზე გადაურჩნენ სტუმრები, შემდეგ კი ალადაშვილმა გაჭრა „ტორპედოს“ ოთხკაცა დაცვა, მაგრამ საბოლოო დარტყმა არ გამოუვიდა.

გრძელფეხება პარამონოვმა გაილაღა, საჯარიმოს სიახლოვეს ორი მეტოქე მოატყუა, მერეც გამცილებლად სამი რუსთაველი გამოუჩნდა და საჯარიმოში შესულმა ჩაწოლილ მეკარესაც გადაუგდო ბურთი თავზე.

მოკლედ „გორდამ“ ჩემპიონატში კარგ სტარტს ტრადიციული ჩავარდნა მოაყოლა, „ტორპედოს“ მომრევი კი (რაღა თქმა უნდა, საქართველოში) ჯერჯერობით არავინ ჩანს. ის კი არა, ... კითხავია, ვინ გაუტანს პირველ გოლ... ქუთათურებს.

# მფრინავი თეფშები ბოლნისშიც გამოჩნდა

ბოლნისი. 26 აგვისტო. 18.30 საათი. თემურ სტეფანია. 2 500 (ტევადობა 2 500)

## სიონი 2:1 კოლხეთი

0:1 წიფწივაძე (18), 1:1 ისიანი (82), 2:1 მინაშვილი (90)

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

1 ვოლკოვი

18 შ. ლაცაბიძე, 9 სიდამონიძე, 3 ირემაშვილი

7 მინდიაშვილი, 5 ბარნოვი

8 გოგოლაძე, 6 ამბიძე, 10 ისიანი

13 სვანიძე

16 ბ. შენგელია

8 წიფწივაძე, 20 ე. გვასალია

18 კვეტენაძე, 11 კვირკველია

10 ფანჩულიძე, 5 მ. ქობულაძე, 9 ახვლედიანი

4 მიქელთაძე, 3 ტორჩინავა, 2 ქუტიძე

1 მ. გვასალია

მწვრთნელი: სოსო ფილია

შეცვლა: სვანიძე — 15. მინაშვილი (22), ლაცაბიძე — 11. მოსეშვილი (40), გოგოლაძე — 17. გლუნჩაძე (63), ახვლედიანი — 17. მუმლაძე (80)

გაფრთხილება: ისიანი (41), ქობულაძე (42), ქუტიძე (45), გლუნჩაძე (68), ახვლედიანი (78), წიფწივაძე (83)

გაძევება: წიფწივაძე (83)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ა. ორდინიძე (ონი)

სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

| | | |
|---|---|---|
| 16 | ჯარიმა | 14 |
| 4 | კუთხური | 3 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 4 | კარში დარტყმა | 5 |
| 1 | თამაშგარე | 1 |

ვაჟა ხუციშვილი ბოლნისიდან

ბოლნისის „სიონის“ ახალდანიშნულმა მთავარმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ გამარჯვებით დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მატჩის მიწურულამდე მასპინძლები მინიმალური ანგარიშით აგებდნენ, ბოლო რვა წუთში თამაშის შემობრუნება მოახერხეს და სძლიეს ფოთელებს.

მანამდე კი ყველაფერი ჩვეულებრივ მიდიოდა. სოსო ფილიას შეგირდებმა იცოდნენ, რა და როგორ უნდა ეკეთებინათ. ფოთელი მცველები ბურთს კვეტენაძის მისამართით აგზავნიდნენ და ისიც კვირკველიას დახმარებით შეტევების წამოწყებას ცდილობდა. წიფწივაძე და გვასალია თავს ეულად ნამდვილად არ გრძნობდნენ. ხშირად იღებდნენ თანაგუნდელთა პასებს, მაგრამ კარში დარტყმამდე საქმე არ მიდიოდა. თავის მხრივ მასპინძლებიც ამარაგებდნენ ბესიკ შენგელიას ბურთით, თუმც პასთა უმეტესობა ბოლოს სტუმართა მცველების ნადავლი ხდებოდა. მახარაძის მიერ მარცხენა ფლანგზე გამწესებული ისიანი სათანადოდ ვერ ეხმარებოდა თანაგუნდელ შენგელიას, ამიტომაც ბოლნისელთა შეტევებს სიმწვავე აკლდა. მეთვრამეტე წუთზე კოლხებმა მასპინძლები კონტრშეტევაზე გამოიჭირეს. მარჯვენა ფლანგზე გაჭრილ კვირკველიას კვეტენაძემ ზუსტად მიაწოდა, მან კი ბურთი საჯარიმოში შემოაბრუნა. მინდიაშვილთან ჭიდილში წიფწივაძემ თავური დაჰკრა და ანგარიშიც გაიხსნა.

თემურ მახარაძემ იგრძნო, რომ გუნდის თამაშში რაღაცა შესაცვლელი იყო და ამიტომაც გაშვებული გოლიდან ხუთიოდ წუთში სვანიძე მინაშვილით შეცვალა. აქვე ყოფილ მერანელს გათანაბრების შანსი მიეცა, თუმცა მან საჯარიმოში წაქცევა ამჯობინა, ალბათ, პენალტის დანიშვნის იმედით. ცოტა ხანში ბარნოვ-ამბიძის კომბინაციისას ფოთელთა მეკარემ იმარ... ვა, ხოლო საპასუხოდ კვეტენაძის დაახლოებით თორმეტი მეტრიდან დარტყმული ვოლკოვმა მოიგერია. გააქტიურდნენ ბოლნისელი გულშემატკივრებიც, მსაჯის ყოველი გადაწყვეტილება კი ხან ერთი, ხანაც მეორე გუნდის ფეხბურთელთა უკმაყოფილებას იწვევდა. ზოგჯერ ბრძოლა უხეშობაში გადადიოდა, ამიტომაც იყო, რომ დოგრაშვილს უკვე პირველ ტაიმში სამჯერ მოუწია ყვითელი ბარათის ამოქმედება.

ამასობაში მასპინძელთა ახალმა თავკაცმა ლაცაბიძე მოსეშვილით შეცვალა, რასაც ტაქტიკური გადანაცვლებაც მოჰყვა. მინაშვილმა და შენგელიამ წყვილად შეუტიეს, მოსეშვილი კი მათ სიღრმიდან ეხმარებოდა. შეცვლაზე ახალშესულს ტაიმის მიწურულს ორჯერ ჰქონდა საგოლე მომენტი, მაგრამ პირველად თითქმის წაქცეულს მოუწია დარტყმა, მეორედ კი ფანჩულიძემ ბურთზე ფეხი წაუკრა და არ გაატანინა.

შესვენების შემდეგ „სიონი“ უტევდა, განსაკუთრებით კი მარცხენა ფლანგიდან. ერთ-ერთ ეპიზოდში ისიანის მიერ ჩაწოდებული მიქელთაძეს ხელზე მოხვდა, მაგრამ დოგრაშვილმა ხელით თამაში არ იყოო და შეხვედრის გაგრძელება ბრძანა. ამან, რა თქმა უნდა, ადგილობრივ ქომაგთა უკმაყოფილება (მსუბუქი სიტყვაა) გამოიწვია. ფეხბურთელებსაც უკვე ნერვიულობა დაეტყოთ. ბოლნისელები კი არ ცხრებოდნენ, ყველანაირად ცდილობდნენ გოლის გატანას, რაც ბოლოს და ბოლოს მოახერხეს კიდეც. 82-ე წუთზე ბესიკ შენგელიას მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ისიანმა გვასალიას კარში მიუჩინა ადგილი. დაძაბულობამ იმატა. ვიღაცამ თემურ სტეფანიას სახელობის სტადიონის გაზონზე კოკა-კოლას პატარა ბოთლი გააგზავნა, რომელიც შალვა ისიანმა ზუსტი დარტყმით მოედნის ფარგლებს გარეთ მიაბრძანა. ფეხბურთი უხეშობაში ჩაიკარგა. ხან რომელ წერტილში იკრუნჩხებოდა წაქცეული ფეხბურთელი, ხანაც რომელში. 83-ე წუთზე კულმინაციური მომენტი და... მეტოქის ნახევარზე ბარნოვთან ერ... დარჩენილი წიფწივაძე (ამ დროს მაში შეჩერებული იყო) მსაჯს გაე... ბრა თუ სხვა რამ მოხდა, დოგრაშვი... ყვითელი ბარათით დააჯილდოვა. ფ... თელთა თავდამსხმელმა თავის უდან... შაულობის დასამტკიცებლად კაცებს შორის მიღებულ ხერხს მიმართა, არ... ბიტრმა კი ჰამლეტის ყოფნა-არყოფნის საკითხი იქვე წითელი ბარათით გადაწყვიტა. წიფწივაძე წონასწორობიდან გამოვიდა და დოგრაშვილისკენ იწევდა, მაგრამ ბარნოვმა ვოლკოვის დახმარებით აჯანყებული ჰამლეტი გასახდელისკენ მიმავალ გზამდე მიაცილა.

აქედან მოყოლებული, კაცნაკლულ სტუმრებს მასპინძელთა შეტევების მოგერიება სულ უფრო უჭირდათ, თან მაყურებელთა ზეწოლაც იზრდებოდა. ქომაგები მოგებას ითხოვდნენ, გოლი კი ისიანის ფლანგურ გარღვევას მოჰყვა, როცა თამაშის ძირითადი დრო თითქმის ამოწურული იყო. მის ჩაწოდებულს მინაშვილი საჭირო ადგილზე დაუხვდა და ერთი შეხებით გამარჯვებისა გაიტანა. იხუვლეს და იგრიალეს „თემურ სტეფანიაზე“ შეკრებილმა გულშემატკივრებმა, დაიოკეს გამარჯვების წყურვილი.

უკვე წამატებულ წუთებზე მინდორზე ორი მფრინავი თეფში დაჯდა და შეხვედრა დროებით შეწყდა. ისინი დასარტყმელი ინსტრუმენტების თეფშები აღმოჩნდა, რომლებიც ბავშვებმა ტრიბუნიდან, სიხარულის აღსანიშნავად შეაფრინეს. მატჩის შემდეგ ბოლნისელი სამართალდამცავები სფფ-ის ინსპექტორს უმტკიცებდნენ, ბავშვებმა უბრალოდ გააფრინეს, არავისთვის უსვრიათო. ვნახოთ, გადაიზრდება თუ არა ეს გართობა გართულებაში.

ზესტაფონი. 26 აგვისტო. 18.30 საათი. მეტალურგი. 1 500 (ტევადობა 10 000)

## მეტალურგი 0:1 მერანი

0:1 გაგუა (57)

12 თ. ოდიკაძე
18 გურეშიძე
5 მაღლაკელიძე, 4 მერებაშვილი, 14 მემარნიშვილი
9 ხმალაძე, 16 გეწაძე, 8 სუხიაშვილი
7 ჭყონია
10 კრავეიშვილი, 11 ფირცხალაიშვილი

მწვრთნელი: ვასილ ჭეიშვილი

11 ივეჩიანი, 7 დავითაშვილი
10 გაგუა
6. ილურიძე, 14 ჭინჭარაული, 15 ბოლქვაძე, 9 კოშკაძე
2 გოგიტაძე, 4. ცქიფურიშვილი
3 გუჯაბიძე
1 ნაჭყეპია

მწვრთნელი: ოთარ გაბელია

შეცვლა: ჭყონია — 6. ამაშუკელი (72), ივეჩიანი — 5. ხიზანიშვილი (84), ჭინჭარაული — 17. კვაკვასკირი (88), გაგუა — 18. თ. ჩხაიძე (89)

გაფრთხილება: მაღლაკელიძე (49), გოგიტაძე (68)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. მაისურაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

| | | |
|---|---|---|
| 23 | ჯარიმა | 19 |
| 5 | კუთხური | 4 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 3 | კარში დარტყმა | 5 |
| 0 | თამაშგარე | 3 |

# გამოცდილებას შემსხვრეული მონდომება

**მამუკა კვანტალიანი ზესტაფონიდან**

**ზედიზედ** მეხუთედ წააგო ზესტაფონურმა „მეტალურგმა" და საქმეც გვარიანად გაირთულა. უმაღლეს ლიგაში ვასილ ჭეიშვილის საწყისო ერთადერთია, ვისაც ჯერ ქულა არ მიუთვლია.

წაუგებელი სერია გააგრძელა ოთარ გაბელიას „მერანმა" და კონკურენტებსაც გვარიანი თავსატეხი გაუჩინა. არადა, ავჭალელთა გუნდს სეზონის დაწყებამდე ბევრი სერიოზულ ძალად არც მიიჩნევდა.

კვირას ზესტაფონში თამაშს არა უშავდა თუ ვიტყვით, ამაზე ვერავინ დაგვძრახავს. სტუმარ-მასპინძელს ბრძოლისთვის არ უგანია, რაც შეეძლოთ, მოინდომეს და მაყურებელიც არ მოაწყინეს. მართალია, შეცდომები საკმაოზე მეტი იყო და მატჩის ბოლოსკენ არცთუ მაღალი ტემპი კიდევ უფრო დაეცა, მაგრამ ეს ხომ საქართველოს ჩემპიონატია.

მთლად ხელწამოსაკრავი გუნდი როდი ჰყავთ ზესტაფონელებს. მონდომებულნი არიან, ცდას არ აკლებენ, მაგრამ, ჩემი აზრით, ოსტატობა ღალატობთ და შედეგიც სახეზეა. კვირას პირველად ვნახე მეტალურგთა ბურთაობა და მათი გაუთავებელი მარცხის კიდევ ერთი მიზეზიც შევნიშნე — რაღაც დაძაბულობა იგრძნობოდა მასპინძელთა გუნდში. მთლად შეხმატკბილებულები ვერ უნდა იყვნენ მწვრთნელ-ფეხბურთელები. ქომაგებიც თითქოს ორად არიან გახლეჩილნი. კლუბის თავკაცი ნუგზარ მდივანი ყოველნაირად ცდილობს დაძაბულობის განმუხტვას, მაგრამ სტაბილური პირობები და ხასიათის სიმტკიცე ჯერჯერობით ვითარებას ვერ აწონასწორებს.

„მერანი" კი პირიქით, ერთიანი, შეკრული გუნდია. იქ ერთი მიზნის მისაღწევად ყველა შესაძლებლობის მაქსიმუმის გაღებას ცდილობს. ავჭალელებმა იციან, თავს ზემოთ ახტომას რომ არავინ დააძალებს და გარკვეულწილად შედეგსაც ეს განაპირობებს.

სტაბილური შემადგენლობით დაუხვდა „მეტალურგი" სტუმარს. გვარიანი თავსატეხიც გაუჩინეს ზესტაფონელებმა თბილისელებს, მაგრამ ძალა მხოლოდ პირველ ტაიმში ეყოთ. გოლის გატანაც არაერთხელ შეეძლოთ მეტალურგებს, მაგრამ ფირცხალაიშვილისა და კრავეიშვილის ყველა მონდომება სტუმართა ლიბერო გოჩა გუჯაბიძისა და მეკარე რევაზ ნაჭყეპიას საიმედო თამაშს შეემსხვრა.

სამი ფეხბურთელი ვერ ათამაშა გაბელიამ ზესტაფონში. ამათგან ანდრეი მუხინისა და სოსო დევიძის უთამაშებლობას ავჭალელები თავიდანვე იყვნენ შეგუებულნი, მათ ტრავმები ჰქონდათ. მესამე ლევან ბაჯელიძე კი მოთელვისას დაშავდა და ადგილი ბიძინა ივეჩიანს დაუთმო.

პირველ ტაიმში „მეტალურგის" უპირატესობა ანგარიშში რომ ვერ აისახა, ტრიბუნებზე საბოლოო შედეგად ფრე ივარაუდეს, მაგრამ მოტყუვდნენ ზესტაფონელი ქომაგები. „მერანმა" მეორე ტაიმი მწყობრად და აგრესიულად დაიწყო. სტუმრებს მეტი ძალა და ენერგია აღმოაჩნდათ. სახიფათო მომენტებმაც იმატა მასპინძელთა კართან და გაგუას გოლიც „მერანის" შეტევების ლოგიკური დასასრული იყო.

ქულის გადარჩენის შანსი მეორე ტაიმში მასპინძლებს ერთხელღა მიეცათ, თუმც ხმალაძემ ხელსაყრელი პოზიციიდან ძალიან არაზუსტად დაარტყა და...

„მეტალურგის" მონდომებას "მერანის" სიმწყობრემ სძლია. მასპინძელთა რიგებში ერთიც არ აღმოჩნდა ისეთი მოთამაშე, რომელიც გადამწყვეტ მომენტში ლიდერის როლს იტვირთებდა, სტუმრებს კი არც გამოცდილება აკლდათ და არც მუშა ახალგაზრდები.

თუ ზესტაფონელებმა გუნდში არსებული უთანხმოება დააცხრეს, მაშინ გადარჩენის იმედიც საკმარისზე მეტი ექნებათ, არადა... ერთიც აღსანიშნია, კვირას „მერანს" მწვრთნელის ხელი უფრო ეტყობოდა, ვიდრე „მეტალურგს". ეს ალბათ არც უნდა იყოს გასაკვირი და არც ვასილ ჭეიშვილი გაგვიბრაზდება. მონდომებული ახალგაზრდა კაცია „მეტალურგის" დამრიგებელი, მწვრთნელობა კი ურთულესი პროფესიაა. სწავლის ძირი მუდამ მწარეა და კენწერომდეც დიდი, ძალიან დიდი გზაა გასავლელი. ვინც გაუძლებს, ბოლოშიც ის გავა.

# გშია? ითამაშე! გტკივა? ითამაშე!

**იუზა კაციტაძე ბათუმიდან**

**თამაშის** ბედი საფინალომდე ზუსტად ოცი წუთით ადრე გადაწყდა. ბათუმელთა ლიბერო თურმანიძემ მოედნის ცენტრთან ახლო სტუმართა ნახევრიდან წამოიწყო შეტევა. მერე ბურთმა მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლა, საიდანაც უმალ „სამგურალის" საჯარიმოს წინა ხაზთან აღმოჩნდა. ტუღუშმა მკერდით გაიგდო იგი წინ და კარისკენ დარტყმა დააპირა, ოღონდ დავით ჭელიძემ არ დააცალა, მცველი მოიერიშეს შეებრძოლა, ტუღუში წაიქცა და ბურთიც გაექცა... იქით, სადაც უმეთვალყუროდ დარჩენილი აფხაზავა იმყოფებოდა და შალვამაც აღარ დაახანა, ათიოდე მეტრიდან შორეულ დაბალ კუთხეში დაურტყა ბოდოკიას. მეკარემ ნახტომში მხოლოდ თითებილა წაჰკრა ბურთს, რომელიც, ბათუმელთა გასახარად, ბადეში გაეხვა. ასე გაიტანეს ასლან ბალაძის შეგირდებმა ამ მატჩში ერთადერთი, მაგრამ გამარჯვების მომტანი გოლი.

მასპინძელთა უპირატესობა გოლამდე და მას შემდეგაც ეჭვს არ იწვევდა. „ბათუმმა" ლამის მთელი სათამაშო დრო მეტოქის ნახევარზე გაატარა, მაგრამ ერთის გატანაც ძალიან გაუჭირდა.

თუ გახსოვთ, თვენახევრის წინ ზღვისპირელები წყალტუბოში ამხანაგურად გაეჯიბრნენ „სამგურალს" და დამაჯერებლად სძლიეს, ოთხი უპასუხო ბურთი გაიტანეს „26 მაისზე". ალბათ, ამის გამო იყო, ბათუმელები ოფიციალურ შეხვედრაშიც იოლ გამარჯვებას გეგმავდნენ და ზედმეტად თავდაჯერებულნი გავიდნენ სათამაშოდ. მეტოქის შეუფასებლობას ხშირად რაც მოჰყვება, იცით...

მალე დარწმუნდნენ ბალაძის შეგირდები, რომ ჰარი-ჰარალეთი ფონს ვერ გავიდოდნენ. ნახევარ საათში მასპინძლები ოდენ ორჯერ დაემუქრნენ ბოდოკიას კარს. მაჭუტაძე ცდილობდა თავურით გატანას, მაგრამ ორჯერვე ააცილა მიზანს. სტუმრები დიდი ძალებით, ორგანიზებულად იცავდნენ თავს და, თუმც იშვიათად, მაგრამ საკონტრიერიშოდაც იცლიდნენ. არავინ უწყის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, 32-ე წუთზე წყალტუბოელებს გატანის ერთადერთი შანსი რომ გამოეყენებიათ. მიქაძის ზუსტი პასის შემდეგ ვაჩიბერაძემ ბათუმელთა საჯარიმოს კუთხეში მიიღო ბურთი, მას ხელს არავინ უშლიდა, შეეძლო წინ წაწეულიყო ან ადგილიდანვე დაერტყა კარში, მაგრამ, რატომღაც კარის გასწვრივ ჩაწოდება ამჯობინა, ჭანტურიამაც იმარჯვა და დაძაბულობა განმუხტა.

შესვენებამდე დარჩენილი დრო ისე გაილია, მოედანზე ყურადსაღები არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით კობიძის შორეულ დარტყმას, რომლის შემდეგაც ბურთი მცირედით გადაცდა წყალტუბოელთა კარის ხარიხას და არასასიამოვნო ეპიზოდს, როდესაც მოედნის ცენტრში ბურთისთვის ბრძოლისას ორი შალვა — ხუჯაძე და ღონღაძე თავებით შეასკდნენ ერთმანეთს და თამაშიც რამდენიმე წუთით შეწყდა. სამედიცინო დახმარება ორივეს დასჭირდა. ღონღაძე მალე წამოდგა, ხუჯაძე მოგვიანებით, თანაც ბათუმელმა თავშეხვეულმა გააგრძელა თამაში.

ეტყობოდა, შესვენებისას ბალაძემ გვარიანად დატუქსა თავისიანები. მეორე ტაიმში „ბათუმი" უკეთესად ათამაშდა. მასპინძლებმა ტემპს უმატეს, ხუჯაძისა და კობიძის შემცვლელ დარჩიძის აქტიურობით იერიშებს მეტი სიმწვავე შემატეს. 51-ე წუთზე ხუჯაძის გრძელი გადაცემის შემდეგ მაჭუტაძემ მცირედით ააცილა მიზანს, ათ წუთში ტუღუშის საჯარიმოდან სახიფათოდ დარტყმული ბოდოკიამ მოიგერია. „სამგურალი" 70-ე წუთზე გატყდა. გოლზე წერილის თავში მოგახსენეთ. წყალტუბოელებს გაშვებულის შემდეგ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ, ბოლომდე იბრძოლეს. ისე, ხუჯაძის და მაჭუტაძის დარტყმებს სასწაულებრივ კი გადაურჩნენ.

ლოგიკური გახლდათ ბათუმური მატჩის შედეგი. ძლიერმა იმარჯვა, მაგრამ წაგებულსაც თუ შევაქებთ, არაფერი დაშავდება. „სამგურალს" მატჩისწინა შეკრება არ გაუვლია, მეტიც, რაოდენ გასაკვირი უნდა იყოს, კლუბის მესვეურებმა იმდენი ვერ მოახერხეს, ფეხბურთელები მთელი დღის უჭმელ-უსმელნი რომ არ გაეყვანათ სათამაშოდ.

*გია გიგატაძე, „სამგურალის" მწვრთნელი:* შეიძლება ითქვას, ფეხბურთელებმა დავალება შემისრულეს, ბოლომდე დაიხარჯნენ. დაცვით ტაქტიკას მივმართეთ. ტაიმნახევარი პრაქტიკულად უშეცდომოდ ვითამაშეთ. დასანანი გოლი გავუშვით. მცველები შეცდნენ, ტუღუში და აფხაზავა უყურადღებოდ როცა დატოვეს. მეკარემაც დააგვიანა რეაგირება. ვაჩიბერაძეს საგოლე მომენტი რომ გამოეყენებინა, თამაში, ალბათ, სულ სხვა ხასიათს მიიღებდა.

*ასლან ბალაძე, „ბათუმის" მწვრთნელი:* თამაშამდე ვაფრთხილებდი ბიჭებს, რომ „სამგურალი" არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი, მაგრამ, როგორც ნახეთ, ზოგიერთმა ვერ შეძლო მობილიზება. პირველ ტაიმში მოვისუსტეთ. მეორეში უფრო მწვავედ ვუტევდით, დარჩიძემ გამოაცოცხლა თამაში. სტაბილურობა გვაკლია, ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს, ისე, ალბათ, ბევრი ხედავს, რომ საქმე უკეთესობისკენ მიდის.

ბათუმი. 26 აგვისტო. 18.30 საათი. დინამო. 2 000 (ტევადობა 20 000)

## ბათუმი 1:0 სამგურალი

1:0 აფხაზავა (70)

25 ჭანტურია
18 თურმანიძე
3 მინდაძე, 4 არჩვაძე
7 ხუჯაძე, 2 კობიძე
8 რომანაძე, 6 ქაცარავა
10 ტუღუში
9 მაჭუტაძე, 11 აფხაზავა

მწვრთნელი: ასლან ბალაძე

21 გ.ა. მიქაძე, 15 ვაჩიბერაძე
16 კიკვიძე, 7 ჯინჭარაძე, 17 შ. ღონღაძე, 10 დარსაძე
16 ჭელიძე, 2 ბერაძე, 24 ბანძელაძე
3 ფრანგიშვილი
1 ბოდოკია

მწვრთნელი: გია გიგატაძე

შეცვლა: კიკვიძე — 15. კოპალიანი (46), კობიძე — 13. დარჩიძე (50), მიქაძე — 8. შ. ფუტკარაძე (75), ჯინჭარაძე — 19. ჯიქია (85), ტუღუში — 14. ზვ. გვაზავა (89)

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. ხუციშვილი, ზ. მენთეშაშვილი; ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

| | | |
|---|---|---|
| 10 | ჯარიმა | 17 |
| 6 | კუთხური | 1 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 1 |
| 4 | კარში დარტყმა | 0 |
| 4 | თამაშგარე | 3 |



წყალტუბოელთა გარემოცვაში მყოფ პაატა მაჭუტაძეს თავური აუცდა

საქართველოს 13 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი ეტაპი

## 3 ტური

25 აგვისტო

**დილა 4:0 თორი**

**მერანი 2 0:2 ცხინვალი**

**დინამო 2 1:2 ლაზიკა**

**ხობი 1:0 თსუ**

**სამტრედია 1:1 ლოკომოტივი 3**

**ქობულეთი 1:0 მილანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 |
| ლაზიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ქობულეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ხობი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| მილანი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| დინამო 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:3 | 3 |
| ცხინვალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| თსუ | 3 | 1 | 0 | 2 | 1:2 | 3 |
| მერანი 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| ლოკომოტივი 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| სამტრედია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| თორი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

## ინგლისი

III ტური

### ფულემი 0:0 დერბი ქაუნთი

ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, ბრევეტი, მელვილი, მალბრანკი, კოლინზი (ჰარლი 67), გოლდბეკი (ლევგონსკი 66), შ. დევისი, გოშა (საიმონსი 15), საჰა, ჰეილსი
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
დერბი ქაუნთი: ე. ოუქსი, ბ. ონილი, ბოერტიენი, რიგოტი, ჰიგინბოთემი, მავენი (მიურეი 84), ს. ჯონსონი, დ. პაუელი, ბარლი, დ. ბარტონი, კრისტი (ძინძლაძე 37)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: გოლდბეკი, საჰა, ბარლი, ძინძლაძე, ჰიგინბოთემი
მსაჯი: მ. დინი
27 232 მაყურებელი

### ასტონ ვილა 1:1 მანჩესტერ იუნ.

1:0 ვასელი (4), 1:1 ალფაი (90ს.კ.)
ასტონ ვილა: შმაიხელი, მ. დილანი, მელბერგი, ალფაი, ა. რაიტი, ბოატენგი, მერსონი (ჰაჯი 64), ლ. ჰენდრი, კაჩლული, პაბლო ანხელი (ბალაბანი 78), ვასელი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
მანჩესტერ იუნ: კეროლი, გ. ნევილი, უ. ბრაუნი, იონსენი, სილვესტრი (ფ. ნევილი 46), გიგზი, ვერონი, როი კინი, ბექჰემი (ენდი კოული 70), სქოულზი (სოლსკიაერი 83), ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ვერონი, სქოულზი
მსაჯი: გ. ბარბერი
42 632 მაყურებელი

### ნიუკასლი 1:1 სანდერლენდი

0:1 ფილიპსი (34), 1:1 ბელამი (43)
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონ, ა. ჰიუზი, დაბიზასი, რ. ელიოტი (ობრაიენი 39), სოლანო, ლი, სპიდი (აკუნია 42), რობერი, ამეობი (შირერი 75), ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
სანდერლენდი: სორენსენი, ჰასი, რადოკი, ტომპ გრეი, ჰათჩისონი (ბელიონი 68), გევინ მაკკენი, შვარცი (რაე 90), კილბეინი, ფილიპსი, ნ. ქუინი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: რობერი, ბარტონი, ჰასი, მაკკენი
მსაჯი: მ. რილი
52 021 მაყურებელი

### არსენალი 4:0 ლესტერი

1:0 ლიუნგბერგი (17), 2:0 ვილტორდი (28), 3:0 ანრი (77), 4:0 კანუ (90)
არსენალი: სიმენი, ლორენი, ს. კემპბელი, ადამსი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (გრიმანდი 68), ვიეირა, პირესი, ვან ბრონკჰორსტი, ბერხკამპი (კანუ 75), ვილტორდი (ანრი 67)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ლესტერი: ფლაუერსი, იმპი, როუეტი (მარშალი 40), ფ. სინკლერი, ლუისი, დ. სტიუარტი, უაიზი, იზეტი (დ. დილანი 30), სევიჯი, სკროუკროფტი (მ. ჯოუნსი 67), აკინბაი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
გაფრთხილება: ვიეირა, უაიზი, სინკლერი, სევიჯი, ვიეირა, უაიზი, დილანი
გაძევება: ვიეირა (60), უაიზი (60)
მსაჯი: ა. დურსო
37 909 მაყურებელი

### ბლექბერნი 2:1 ტოტენჰემი

1:0 მაჰონი (7), 2:0 დაფი (71), 2:1 ციგე (90)
ბლექბერნი: ფრიდელი, კერტისი, მ. ტეილორი, ბერგი, შორტი, გილესპი (ბენტი 69), ფლიტკროფტი, მაჰონი (ჰინეტი 60), დაფი, გრაბი (ნ. ბლეიქი 18), იანსენი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ტოტენჰემი: სალივანი, კინგი, პერი, დოჰერტი, ტარიკო (რებროვი 68), ციგე, ანდერტონი (ს. დევისი 86), პოიეტი, კლემენსი (ფრეინდი 8), შერინგემი, ივერსენი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: გილესპი, ტარიკო
მსაჯი: ს. ბენეტი
24 992 მაყურებელი

### ევერტონი 2:0 მიდლსბრო

1:0 კემპბელი (17), 2:0 ჯეფილი (52)
ევერტონი: ჟერარი, უოტსონი, პისტონე, სტაბსი, ვეირი, ანსუორთი, ალექსანდერსონი (ნესმიტი 89), პემბრიჯი (ტალი 27), ჯეფილი, კ. კემპბელი, დ. ფერგიუსონი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ვიკერსი (უინდასი 62), საუთგეიტი, ეჰიოგუ, კუპერი, ინსი, გრინინგი, ოკონი (მასტო 62), ჟობი, რიკარდი (ნემეტი 46)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: ანსუორთი, პისტონე, რიკარდი
მსაჯი: უ. რენიე
32 829 მაყურებელი

# სტამს სიყვარული ნაართმეს


REUTERS

ასტონ ვილა — მანჩესტერი. სტუმარმა მიკაელ სილვესტრემ პოლ მერსონს ხერხემალი მოუსინჯა

### იფსვიჩი 0:1 ჩარლტონი

0:1 ლისბი (85)
იფსვიჩი: სერენი, ჰრეიდარსონი, მაკინი, ბრემბლი, კლაპამი (ა. არმსტრონგი 87), ფინიდი, ჯ. რაიტი, ჰოლანდი, როიზერი, მარკუს სტიუარტი (მეჯილტონი 64), ნეილორი (კუნაგო 51)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
ჩარლტონი: კიელი, იანგი, რუფუსი (ს. ბრაუნი 35), ფიში, კ. პაუელი, გ. სტიუარტი, პარკერი, პიკოკი, სალაკო (ლისბი 61), იოჰანსონი (კონჩესკი 78), იუელი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: რაიტი, ბრემბლი, პარკერი, სტიუარტი, რუფუსი, იანგი, პაუელი, იუელი
მსაჯი: ს. დანი
22 804 მაყურებელი

### საუთჰემპტონი 0:2 ჩელსი

0:1 ჰასელბაინკი (33), 0:2 სტანიჩი (90)
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დელაპი, ბრიჯი, ლუნდეკვამი, რიჩარდსი, კ. დევისი, ოკლი, სვენსონი, მარსდენი (ბიტი 71), როსლერი (ტესემი 79), პახარსი (რიპლი 71)
მწვრთნელი: სტიუარტ გრეი
ჩელსი: დე გუი, ლე სო, მელხიოტი, დესაი, ტერი, იოკანოვიჩი, პეტი (ჯ. მორისი 49), ლამპარდი, ზენდენი (სტანიჩი 72), გრონკიაერი (ძოლა 72), ჰასელბაინკი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: გრონკიაერი
მსაჯი: დ. ელერეი
31 107 მაყურებელი

### ვესტ ჰემი 0:0 ლიდსი

ვესტ ჰემი: ჰისლოპი, სონგი, დეილი, უინტერბერნი, ტ. სინკლერი, ჯ. კოული, კარიკი, მონკუ (გრანტ მაკკენი 83), შემელი, დი კანიო, ტოდოროვი (დეფო 70)
მწვრთნელი: გლენ როედერი
ლიდსი: მარტინი, ჰარტი (ვუდგეიტი 80), რ. ფერდინანდი, მატეო, მილსი, კიუელი, დაკური (მაიბერი 75), ბეტი, ბოიერი, რობი კინი, ვიდუკა
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: სონგი, ტოდოროვი, მონკუ, მატეო, მაიბერი
მსაჯი: პ. დარკინი
24 517 მაყურებელი

### ბოლტონი — ლივერპული

წუხელ გვიან დამთავრდა
და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

**მაშ ასე,** იაპ სტამი აღარ არის „მანჩესტერ იუნაიტედის" დაცვის ბურჯი. 16,5 მილიონ გირვანქად ხოტორა ჰოლანდიელი გოლიათი „ლაციოს" მიჰყიდეს. ამის შესახებ სტამმა საფეხბურთო მსოფლიოზე ათი წუთით ადრე გაიგო შაბათ საღამოს, მენეჯერ ალექს ფერგიუსონისგან და გაოგნებულმა თქვა: „ჰო, მაგრამ მე მიყვარს „იუნაიტედი". მე ქალაქი მანჩესტერი მიყვარს".

ამას საქმისთვის არ უშველია, ჰოლანდიელი კი უკვე რომშია. ფერგიუსონმა ასე განმარტა ტრანსფერი: „ძალიან დიდი ფული შემოგვაძლიეს. ასეთია ფეხბურთის ბიზნესი. გამიჭირდა, მაგრამ ამ საქმის ჩაშლა არ იქნებოდა. ამ კვირაში ახალი მცველი გვეყოლება". საფიქრებელია, რომ ეს „ახალი" ეინდჰოვენელი კევინ ჰოფლანდი იქნება.

ამასობაში კი „მანჩესტერი" ზედიზედ მეორე მატჩში ახერხებს ქულის მოპოვებას და სამი შეხვედრიდან მეორეში თამაშის დასაწყისში უშვებს გოლს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი დაცვის უსუსურობას. „ასტონ ვილა" — „მანჩესტერის" შეხვედრის დასაწყისშივე დარიუს ვესელმა სწრაფი კომბინაცია დააგვირგვინა: ფაბიენ ბარტეზის ნაცვლად მოთამაშე როი კეროლს გაუტანა. ბარტეზს ან ტრავმა აქვს, ან არადა „ბლექბერნთან" „ტინგიცობის" გამო დაისაჯაო, წერდნენ ინგლისური გაზეთები.

ვილელთა კარს იცავდა პიტერ შმაიხელი, რომელიც მესამე ტურია ამტკიცებს, რომ არ დაბერებულა და არც თავისი ყოფილი თანაგუნდელებისთვის აპირებდა დათმობას. „მანჩესტერმა" უგერგილოდ ითამაშა, დევიდ ბექემს საზარდული ასტკივდა, ბოლო ოც წუთს მუქთად მოარულ ვან ნისტელროის, ენდი კოული და ოლე გუნარ სოლსკიაერი წაეშველნენ, მაგრამ ჩემპიონები საერთოდ ქულის გარეშე დარჩებოდნენ, 93-ე წუთზე ჩამოწოდებული კუთხური ვილელთა თურქს, ალფაის მხარზე რომ არ მოხვედროდა და კარში არ შევარდნილიყო. 1:1 და ფერგიუსონის მოთხოვნა: „მსაჯმა მხოლოდ ოთხი წუთი დაამატა, არადა, ბარე ოცი უნდა დაემატებინა. მეორე ტაიმი სულ ტრავმები და კოტრიალი იყო".

იმავ კვირას ფრედ დამთავრდა ერთი ბობოქარი თამაში, ჩრდილო-აღმოსავლური დერბი ნიუკასლის „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" იქაურებსა და „სანდერლენდს" შორის. სტუმართა კევინ ფილიპსმა რბილი თავურით გახსნა ანგარიში, რასაც მალევე უპასუხა „ქოვენტრიდან" „ნიუკასლში" გადმოსულმა კრეიგ ბელამიმ.

სამუშაოს დაკარგვის წინაშე დგას ინგლისის ორი იმედი, ორი ყველაზე პერსპექტიული მწვრთნელი, შარშან ნაკრების დროებით მესაჭეებად მომუშავე პიტერ ტეილორი და სტივ მაკლარენი. პირველის „ლესტერი" ულმერთოდ აგებს. მეორეს „მიდლსბრო" იბრძვის, მაგრამ მაინც აგებს. წინა შაბათს ბოროელთა 4:0-ზე დამმარცხებელმა „არსენალმა" ახლა იგივე ანგარიშით დასცა „ლესტერი". მეთოფეთაგან გამოირჩა რობერ პირესი, რომელმაც გაატანინა და გაატანინა თანაგუნდელებს. ამ შეხვედრის მე-60 წუთზე ჩხუბი გაიმართა და მსაჯმა ისინი გააძევა, ვინც იჩხუბა. იოლი მისახვედრია, ვინც გაიქნევდა ხელს: შეხვედრის ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი მონაწილენი, დენის უაიზი და პატრიკ ვიეირა წითელი ბარათებით გავიდნენ მინდვრიდან. „მიდლსბრომ" კი წააგო ლივერპულში „ევერტონთან". უოლტერ სმითის გუნდმა, ძალმოსილად აჯობა სტუმრებს და ანგარიშიც მეტი იქნებოდა, ბოროელ მეკარეს მარკ შვარცერს რომ არ ევაჟკაცა.

„ევერტონი" კი, რომელიც სეზონის წინ გავარდნის უმთავრეს კანდიდატად ითვლებოდა, ახლა პრემიერლიგას უდგას სათავეში 7 ქულით. პირველი საფეხური „ევერტონს" 1993 წლის შემდეგ ერთი დღითაც არ სჭერია. ლონდონში კი ორი უგოლო მატჩი იყო. „ლიდსმა" ვერაფერი გააწყო „აპტონ პარკზე" „ვესტ ჰემთან", „დერბი" კი ყრუ დაცვაში ჩაუდგა „ფულემს".

პირველი მატჩი მოიგო „ბლექბერნმა", პირველი წააგო „ტოტენჰემმა". ასევე პირველად იმარჯვა „ჩარლტონმა" სტუმრად „იფსვიჩთან", „საუთჰემპტონმა" კი პირველად ითამაშა ახალ სტადიონზე, „სენტ მერიზე". თუმცა ზეიმი არ გამოუვიდა. „ჩელსიმ" მშვიდად აჯობა მასპინძლებს. ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის გოლი ეგებ ერთადერთიც ყოფილიყო ამ შეხვედრაში, მაგრამ სულ ბოლო წუთს მარიო სტანიჩმა მეორეც გაუტანა სამხრეთელებს.

საერთოდ კი, ეს ტური უფრო მშვიდი იყო, ვიდრე წინა ორი. მხოლოდ ორი კაცი გააძევეს და პენალტი საერთოდ არ დანიშნულა, რაც პარასკევს გამართული ფეხბურთის ასოციაციის დისციპლინარული საბჭოს სხდომის დასკვნების ერთგვარი ანარეკლი უნდა იყოს.

**ირაკლი გამყრელიძე**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| საჰა (ფულემი) | 3 |
| ანრი (არსენალი) | 2 |
| ბერხკამპი (არსენალი) | 2 |
| ბექემი (მანჩესტერ იუნ.) | 2 |
| დ. ფერგიუსონი (ევერტონი) | 2 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნ.) | 2 |
| ვილტორდი (არსენალი) | 2 |
| ნოლანი (ბოლტონი) | 2 |
| ოუენი (ლივერპული) | 2 |
| რავანელი (დერბი ქაუნთი) | 2 |
| რიკეტსი (ბოლტონი) | 2 |
| ფინიდი (იფსვიჩი) | 2 |
| ფრანდსენი (ბოლტონი) | 2 |

IV ტური

8 სექტემბერი

ჩელსი - არსენალი
დერბი ქაუნთი - ვესტ ჰემი
ლიდსი - ბოლტონი
ლესტერი - იფსვიჩი
ლივერპული - ასტონ ვილა
მანჩესტერ იუნ. - ევერტონი
მიდლსბრო - ნიუკასლი
სანდერლენდი - ბლექბერნი

9 სექტემბერი

ჩარლტონი - ფულემი
ტოტენჰემი - საუთჰემპტონი


THE SUN

იაპ სტამი რომში ჭალაბით ჩავიდა

## პირველი დივიზიონი

III ტური

### ვულვერჰემპტონი 1:0 უოტფორდი

1:0 ვეგა (9ს.კ.)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ნეილორი, ლესკოტი, ბატლერი, რობინსონი (კამერონი 80), კენედი (სინტონი 90), ნიუტონი, დინინგი, პრაუდლოკი (ძიძაბაია 90), რუსელი
მწვრთნელი: დევიდ ჯოუნსი
20 257 მაყურებელი

### ჯილინგემი 3:0 ბარნსლი

1:0 ონურა (39), 2:0, 3:0 კინგი (72, 84)

### გრიმსბი 2:2 პრესტონი

1:0 როუენი (27), 1:1 მარდოკი (31), 1:2 ჰეილი (47), 2:2 პუტონი (54პ)

### მანჩესტერ სიტი 5:2 ქრიუ

1:0 ვანჩოპე (33), 2:0 პირსი (42პ), 2:1 კოლინზი (45), 2:2 ლიტლი (45), 3:2, 4:2 გოტერი (80, 88), 5:2 ვანჩოპე (90)

### მილუოლი 0:2 ბარნლი

0:1 ი. მური (63), 0:2 ა. მური (68)

### ნოტინგემი 4:2 კრისტალ პალასი

1:0 პრატონი (18), 2:0 ჯონი (23), 2:1, 2:2 ფრიდმენი (28, 50), 3:2 პერვუდი (72), 4:2 ჯონი (83)

### შეფილდ უენსდი 1:1 ვესტ ბრომვიჩი

1:0 სიბონი (5), 1:1 დიჩიო (25)

### სტოკპორტი 0:1 პორტსმუთი

0:1 პროსინეჩკი (61პ)

### უოლსოლი 1:2 ბირმინგემი

0:1 მუნი (20), 0:2 ჰორსფილდი (41), 1:2 ერივეელტო (90)

### უიმბლდონი 0:1 ნორვიჩი

0:1 ლიბრა (89)

### ბრედფორდი 2:1 ქოვენთრი

1:0 მიერსი (49), 2:0 ლოკი (54), 2:1 ბოტროიდი (76)

### როტერჰემი 1:1 შეფილდ იუნაიტედი

1:0 სკოტი (23), 1:1 დჯაფო (66პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრედფორდი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| ბარნლი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| ჯილინგემი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:0 | |
| ვულვზი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | |
| გრიმსბი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | |
| სიტი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | |
| ბირმინგემი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| კრისტალ პალასი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:7 | 6 |
| ნორვიჩი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| ნოტინგემი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| უოლსოლი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| პორტსმუთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| უენსდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| უიმბლდონი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| ქოვენთრი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| შეფილდი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| მილუოლი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| უოტფორდი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ბარნსლი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:8 | 3 |
| პრესტონი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:8 | 2 |
| როტერჰემი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:7 | 1 |
| ვესტ ბრომვიჩი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| ქრიუ | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |
| სტოკპორტი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

## მეორე დივიზიონი

მე-3 ტური: ბლექპული — უიკომბი 2:2; კემბრიჯი — სტოკი 0:2; კარდიფი — ბორნმუთი 2:2; ჩესტერფილდი — ბრენტფორდი 0:1; ჰადერსფილდი — ბერი 2:0; ნორთჰემპტონი — ნოთსი 0:2; პორტ ვეილი — პიტერბრო 4:1; ქუინზ პარკი — რედინგი 0:0; სუინდონი — ოლდჰემი 0:2; ტრანმერი — ბრაიტონი 0:0; უიგანი — ბრისტოლი 1:2; რექსემი — კოლჩესტერი 1:1

## მესამე დივიზიონი

მე-3 ტური: როშდეილი — ლუ...ნი 3:2; ... — ჰალი 0:0; ჩელტენემი — მენსფილდი 2:3; ექსეტერი — სკანთორპი 1:4; ჰარტლპული — დარლინგტონი 1:2; კიდერმინსტერი — ტორკი 1:0; ლინკოლნი — სუონსი 3:0; მაკლსფილდი — რაშდენი 0:0; ოქსფორდი — შრიუსბერი 1:1; პლიმუთი — როჩდეილი 1:2; საუთენდი — ჰალიფაქსი 4:1; იორკი — ლეიტონი 2:1

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ევერტონი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 2 ლიდსი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 3 არსენალი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:2 | 7 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 |
| 4 ბოლტონი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 3 |
| 5 მანჩესტერი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 1 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 |
| 6 ჩელსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 7 ფულემი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 |
| 8 ბლექბერნი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 9 დერბი ქაუნთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 10 სანდერლენდი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 11 ლივერპული | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 12 იფსვიჩი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 13 ჩარლტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 14 ნიუკასლი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 15 ასტონ ვილა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 16 ტოტენჰემი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 17 ვესტ ჰემი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 18 საუთჰემპტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 19 მიდლსბრო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | -7 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |
| 20 ლესტერი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:9 | -9 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |

# კიევო 2900

## იტალია

### I ტური

**ბრეშა 2:2 მილანი**

1:0, 2:0 ტარე (36, 40), 2:1 ბროკი (60), 2:2 შევჩენკო (63პ)
ბრეშა: კასტელაცი, პეტრუცი, კალორი, ბონერა, მასიმო ესპოზიტო (კორეა 79), ა. ფილიპინი, ილანა (გუანა 88), ე. ფილიპინი, კოზმინსკი (მერო 84), რ. ბაჯო, ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
მილანი: აბიატი, შამოტი (კონტრა 46), კოსტაკურტა, მალდინი, სერჯინიო, გატუზო, კალაძე, ბროკი (დონატი 75), რუი კოშტა (კოკო 24), შევჩენკო, ფ. ინძაგი
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
გაფრთხილება: კოსტაკურტა
მსაჯი: კოლინა
17 000 მაყურებელი

**ვერონა 1:1 რომა**

0:1 სამუელი (45), 1:1 ოდო (74)
ვერონა: ფერონი, ჯ. ფილიპინი (მელისი 75), ძანკი, გონელა, სერიჩი, მაცოლა, ლ. კოლუჩი, ოდო, მუტუ, ჯილარდინო (ფრიკი 66), მონტანო (სალვეტი 66)
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
რომა: პელიცოლი, ძაგო (სივილია 64), ძებინა, სამუელი, ფუზერი (ლიმა 82), ასუნსაო (გიგუ 62), ტომაზი, კანდელა, ტოტი, მონტელა, ბატისტუტა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ასუნსაო, მუტუ
მსაჯი: ფარინა
22 110 მაყურებელი

**ინტერი 4:1 პერუჯა**

1:0, 2:0 კალონი (21, 45), 2:1 ვრიზასი (66), 3:1, 4:1 ვიერი (89პ, 90)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, მატერაცი, კორდობა, გეორგატოსი, სერჟიუ კონსეისაუ (ვივასი 84), დი ბიაჯო, ზეედორფი (ოკანი 79), გულიელმინპიეტრო (ემრე 67), ვიერი, კალონი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
პერუჯა: მაცანტინი, სოლიანო (ანი 77), მონაკო, დი ლორეტო, ზე მარია, ტედესკო, კორდოვა (გატი 46), ბაიოკო, გროსო, ვრიზასი, ზემერენი (ბუკი 64)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: გულიელმინპიეტრო, გროსო, ბაიოკო, გატი, ოკანი, სოლიანო, გროსო
გაძევება: კოზმი (90, „პერუჯას" მწვრთნელი), გროსო (90)
მსაჯი: ტრეფოსი
60 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 4:0 ვენეცია**

1:0, 2:0 ტრეზეგე (10, 11), 3:0, 4:0 დელ პიერო (44, 80)
იუვენტუსი: ბუფონი, კ. ძენონი, ტურამი, მონტერო (იულიანო 73), პესოტო, ძამბროტა, ტუდორი (მარესკა 74), ტაკინარდი, ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე (სალასი 75)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
ვენეცია: ჯ. როსი, ალეგრინი (კონტეპი 46), ბიორკლუნდი, ვიალი, ცვიტანოვიჩი, მარასკო, ბრესანი, ანდერსონი, ვანუკი, ვალტოლინა (დე ფრანჩესკი 55), მანიერო (დი ნაპოლი 85)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
მსაჯი: ბერტინი
30 000 მაყურებელი

**ლაციო 1:1 პიაჩენცა**

1:0 კლაუდიო ლოპესი (49), 1:1 მატუზალემი (61)
ლაციო: პერუცი, პანკარო, ნესტა, კოლონეზე, ფავალი, კასტრომანი, მენდიეტა, სიმეონე (სტანკოვიჩი 82), ფიორე (ს. ინძაგი 63), კრესპო, კლაუდიო ლოპესი (სესარი 63)
მწვრთნელი: დინო ძოფი
პიაჩენცა: გუარდალბენი, კრისტანტე, ლამაკი, ა. ლუკარელი, ტოსტო (კარდონე 81), გაუტიერი, მატუზალემი, ვოლპი, დი ფრანჩესკო (ამბროზეტი 55), უბნერი, პოჯი (რასტელი 74)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
მსაჯი: ბოლოñინო
40 000 მაყურებელი

**ლეჩე 1:1 პარმა**

1:0 ჩევანტონი (2), 1:1 დი ვაიო (71)
ვუგრინეცმა ვერ გაიტანა პენალტი (84, მეკარე)
ლეჩე: კიმენტი, სტოვინი, პოპესკუ, სავინო, ბალერი, ჯაკომაცი (კოლონელო 68), პიანჯერელი, კონტიკიო, ტონეტო, ვუგრინეცი, ჩევანტონი (ჯორჯეტი 68)
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
პარმა: ფრეი, ჯეტუ, სენსინი, ფ. კანავარო, სარტორი (მარკიონი 67), ბოლანო, ლამუში, ჟუნიორი, ნაკატა (აპია 83), მილოშევიჩი (ბონაცოლი 46), დი ვაიო
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
გაფრთხილება: ჩევანტონი, ჯეტუ, კანავარო, ლამუში, ბონაცოლი
მსაჯი: ტრენტალანჯე
12 845 მაყურებელი



REUTERS ფოტოები

ლაციო — პიაჩენცა. ლაციოელ ერნან კრესპოს მატეო გუარდალბენმა აჯობა

**ბოლონია 1:0 ატალანტა**

1:0 სინიორი (19)
ბოლონია: პალიუკა, ბრიოსკი, ფალკონე, მ. კასტელინი, მაჩელარი, ნერვო (პეკია 81), ოლივე ვომე (ბრიგი 71), ლოკატელი, ხულიო კრუზი, სინიორი (გამბერინი 81)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
ატალანტა: ტაიბი, რინალდი (პინარდი 74), სალა, კარერა, ბელინი (დაბო 63), ძაური, დ. ძენონი, ბერეტა, დონი, კომანდინი, როსინი (კოლომბო 76)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: ძენონი, როსინი, დაბო, ხულიო კრუზი
მსაჯი: როზეტი
22 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 0:2 კიევო**

0:1 პეროტა (6), 0:2 მარაცინა (55)
კიეზამ ვერ გაიტანა პენალტი (72, ააცილა)
ფიორენტინა: ტალიალატელა, დი ლივიო, ადანი, პიერინი, მორეტი (ბენინი 50), ბარონიო (ლეანდრო 54), კოისი, მ. როსი, მორფეო, კიეზა, ნუნუ გომეში (რეპკა 37)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, დანჯელო, დანა, ლანა, ერიბერტო (ფრანჩესკინი 56), პეროტა, კორინი, მანფრედინი, კორადი, მარაცინა (დე ჩეზარე 62)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: დანჯელო, მანფრედინი, ფრანჩესკინი
მსაჯი: გაბრიელე
14 000 მაყურებელი

**უდინეზე 2:2 ტორინო**

0:1 გალანტე (11), 0:2 ოსმანოვსკი (43), 1:2 მუცი (63), 2:2 პავონი (65)
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, ძამბონი, კროლდრუპი (დ. პიზარო 59), დიასი, ლ. ელგერა, გარგო, პიერი, დი მიკელე, იაკინტა (პავონი 62; ნომვეტე 81), მუცი
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
ტორინო: ბუჩი, გალანტე, ფატორი, დელი კარი, ასტა (კომოტო 74), დე აშენტისი, ბრამბილა, მ. კასტელინი, მასპერო (ვერგასოლა 74), ჯ. ლუკარელი (კალაიო 81), ოსმანოვსკი
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
გაფრთხილება: დე აშენტისი, ფატორი, ბუჩი
მსაჯი: ტრეფოლონი
16 000 მაყურებელი

**პირველმა ტურმა** ასე გვითხრა: მართალი იყო, ვინც ამბობდა, 2001-02 წლების პირველობის ფავორიტი „იუვენტუსიაო". ტურინელებმა სერია A-ში ახალასულ „ვენეციას" 4:0 მოუგეს.

მეორე მხრივ რა გვითხრა პირველმა ტურმა, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია ოცდამეთოთხმეტე რას გვეტყვის.

პირველ ტურში შთამბეჭდავი გამოდგა „ინტერის" გამარჯვებაც. ახალი მწვრთნელის, არგენტინელი, ექტორ რაულ კუპერის ხელმძღვანელობით გუნდმა, რომელმაც სკუდეტო ბოლოს, 1989 წელს მოიგო, „სან სიროზე" „პერუჯას" 4:1 სძლია.

ძალიან საინტერესო გამოდგა ფლორენციაში „კიევოს" სტუმრობა. ვერონელმა გარეუბნელებმა გაკოტრებული „ფიორენტინა" 2:0 დაამარცხეს, მაგრამ დავბრუნდეთ ტურინის „დელე ალპიზე", სადაც ოთხიდან ორი დავიდ ტრეზეგემ გაიტანა, ორიც ალესანდრო დელ პიერომ.

„დიდებულად დავიწყეთ" — თქვა მარჩელო ლიპიმ — „განსაკუთრებით პირველი ტაიმი მომეწონა. ასეთი დასაწყისი იმედის მომცემია".

ცხადია, კმაყოფილი იყო ექტორ რაულ კუპერიც. „სან სიროზე", სადაც ცოტა ხნის წინ, 26 მაისს, საშინელ ხასიათზე ბრძანდებოდა (სწორედ აქ დამარცხდა მისი „ვალენსია" ჩემპიონთა თასის ფინალში „ბაიერნთან"), არგენტინელს სახეზე ღიმილი არ შორდებოდა.

„თამაში დაძაბული იყო, ამის დასტურია ის, რომ ბოლო წუთებამდე მხოლოდ 2:1-ს ვიგებდით. თანაც, „პერუჯას" საგოლე მომენტებიც ჰქონდა, ოღონდ, ეგ არის, მთელი შეხვედრის განმავლობაში ვითარებას ჩვენ ვაკონტროლებდით და ამიტომ, საბოლოო შედეგი სამართლიანია".

საგულისხმოა, რომ კუპერის პერუჯელი კოლეგა, სერსე კოზმი, 90-ე წუთზე სკამიდან გააძევეს, მან „ინტერის" მესამე გოლი გააპროტესტა მეტისმეტად ემოციურად. თავისი გუნდის კარში დანიშნული პენალტი არ მოეწონა.

მილანელთაგან პერუჯელებს ორი გოლი სიერა ლეონელმა მოჰამედ კალონმა შეუგდო, ორიც კრისტიან ვიერიმ.

„კალონმა ჩინებულად ითამაშა, მაგრამ ყველაზე მეტად მე მომეწონა ჩვენი ორგანიზებული მოქმედება" — განაცხადა კუპერმა.

ახლა კი დროა ჩემპიონზე ვილაპარაკოთ, [illegible] ბოლოს და ბოლოს, ერთი, რომ ჩემპიონია და მეორეც, „იუვენტუსზე" ნაკლებ ფავორიტად როდია მიჩნეული. ერთადერთი ის არის, რომ „რომამ" პირველ ტურში, შთამბეჭდავად იქით იყოს და, საერთოდ ვერ გაიმარჯვა. ვერონაში ითამაშა 1:1.

ამასთან, შეხვედრის დასაწყისში „ვერონამ" უფრო იყოჩაღა. თუმცა ანგარიში რომაელებმა გახსნეს — პირველი ტაიმის წამატებულ წუთებში არგენტინელმა მცველმა ვალტერ სამუელმა თავურით შეაგდო. მეორე ტაიმში კი მასპინძელმა მასიმო ოდომ ჩაკიდებული დარტყმით გაქვითა.

ერთი სიტყვით, ვერონელებმა იყოჩაღეს, მაგრამ ქალაქში, როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო დიდი ხმაური მისი მეორე გუნდის, „კიევოს" ზემოხსენებულმა გამარჯვებამ გამოიწვია, ოღონდ, ცოტაც მოითმინეთ, ჯერ უფრო ძლიერებზე:

„ლაციოს", სერია A-ში დაბრუნებულ „პიაჩენცასთან" უპირატესობა, მეორე ტაიმში, კლაუდიო ლოპესმა მოაპოვებინა, მაგრამ მეტოქის ბრაზილიელმა ლეგიონერმა და სილვა მატუზალემმა გათანაბრება მოახერხა.

„დაცვაში მეტი დაკვირვება და სიმშვიდე გვმართებდა" — განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ ლაციოელთა თავკაცმა დინო ძოფმა, რომელსაც ამიერიდან, ალბათ, ეს პრობლემა აღარ შეაწუხებს. „ლაციომ" ხომ „მანჩესტერ იუნაიტედისგან" ჰოლანდიელი იაპ სტამი იყიდა.

და ბოლოს „კიევოზე". ვერონა რაა და ქალაქის ის რაიონი, სადაც მხოლოდ 2900 კაცი ცხოვრობს, რაღა იქნება. ჰოდა, შესაბამისად, ამ გუნდის ისტორიაში, სერია A-ში გატანილი პირველი გოლი ისტორიული იყო. ეს გოლი ინგლისში დაბადებულმა ნახევარმცველმა სიმონე პეროტამ შეაგდო, მეორე მასიმო მარაცინამ გაიტანა.

ფლორენციელთაგან ენრიკო კიეზამ ვერ გაიტანა პენალტი.

**ბაჩუნა ძიდია**


REUTERS ფოტოები

იუვენტუსი — ვენეცია. ტურინელი ლილიან ტურამის სადებიუტო გაფრენა

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 ინტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 კიევო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 4 ბოლონია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 5 უდინეზე | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 მილანი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 7 ბრეშა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 8 ტორინო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 9 ვერონა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 10 რომა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 11 ლაციო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 12 პიაჩენცა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 13 პარმა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 14 ლეჩე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 15 ატალანტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 16 ფიორენტინა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 17 პერუჯა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 18 ვენეცია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 2 |
| ვიერი (ინტერი) | 2 |
| კალონი (ინტერი) | 2 |
| ტარე (ბრეშა) | 2 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 2 |

**II ტური**

9 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| ატალანტა | - | იუვენტუსი |
| კიევო | - | ბოლონია |
| მილანი | - | ფიორენტინა |
| პარმა | - | ინტერი |
| პერუჯა | - | ლაციო |
| პიაჩენცა | - | ლეჩე |
| რომა | - | უდინეზე |
| ტორინო | - | ბრეშა |
| ვენეცია | - | ვერონა |

**სერია B**

I ტური

**ანკონა 1:0 რეჯინა**

1:0 რუსო (10)

**კალიარი 0:0 მესინა**

**კომო 1:1 კროტონე**

1:0 ოლივეირა ბაროსო (83), 1:1 სარლი (90)

**კოზენცა 2:1 ჩიტადელა**

1:0 ტატი (72პ), 1:1 ჟირარდელო (88პ), 2:1 ზანიოლო (90)

**ემპოლი 5:2 პალერმო**

1:0 მაკარონე (26პ), 2:0 კაპელინი (31პ), 3:0 ბელერი (65), 4:0 მაკარონე (69), 4:1, 4:2 ლა გროტერია (72, 79პ), 5:2 დი ნატალე (81)

**ჯენოა 0:2 ნაპოლი**

0:1, 0:2 სტელონე (61, 95)

**მოდენა 2:0 ბარი**

1:0 პაზინო (30), 2:0 რაბიტო (90)

**სალერნიტანა 2:0 სამპდორია**

1:0 ლომბარდო (77ს.კ.), 2:0 მასკარა (81)

**ტერნანა 3:0 სიენა**

1:0, 2:0 მიკოლი (23, 53), 3:0 ჯისი (61)

**ვიჩენცა 1:1 პისტოიეზე**

1:0 შვოკი (72პ), 1:1 ბანკელი (77)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალიის ჩემპიონატი
## პირველი ტურის მატჩი
## ბრეშა 2:2 მილანი

კახა კალაძე: 90 წუთი

**თუკი** დასაწყისი რამეს ნიშნავს, თუკი გვწამს, რომ როგორც დაიწყებ, ისე დაამთავრებ, თუკი პირველ ამბებს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს, მაშინ ამ სეზონში „მილანის" საქმე ცუდად ყოფილა. „შავწითლების" ახალმა მწვრთნელმა, თურქმა ფათიჰ თერიმმა ჯერ ის იხილა, როგორ დაშავდა გუნდის ახალი შენაძენი, პორტუგალიელი მანუელ რუი კოშტა, რომელიც გამოსაცვლელი კი არა, პირდაპირ საავადმყოფოში გასაქანებელი აღმოჩნდა, მერე კი ალბანელი იგლი ტარეს მიერ „მილანის" კარში შეგდებული ორი გოლის მოწმე შეიქნა.

ესეც დასაწყისი!

რუი კოშტა ქალაქ ვარეზეს საავადმყოფოში წაიყვანეს (ბრეშას საავადმყოფოში ექიმებმა ქირურგიულ ჩარევაზე უარი განაცხადეს), სადაც ოპერაცია გაუკეთეს და ახლა, პორტუგალიელს 40 დღე დასვენება-გამოჯანმრთელება მოუწევს!

თერიმმა ხელები გაშალა: „არდადეგების შემდეგ, პირველი თამაში იყო და..."

და, მაინც 2:0-ის და ასეთი დრამის შემდეგ ქულის მოპოვება ურიგო საქმე არ არის, თან „მილანს" მესამეს გატანაც შეეძლო და რომ გაეტანა (ბოლოს და ბოლოს იღბლის ამბავია) მერე [illegible] ხეთ რა ამბ[illegible]კი ატყდებოდა, ყველა ბრწყინვალე სტარტზე დაიწყებდა ლაპარაკს.

შეხვედრის დასაწყისშივე გაეცა პასუხი კითხვას, რას მოუხერხებს თერიმი სერჟინიოს? თერიმმა ბრაზილიელი დაცვისგან გაანთავისუფლა, ხოლო იქ, მეტოქეთა შეტევების ჩასაშლელად, არგენტინელი შამოტი გაამწესა.

კაცმა რომ თქვას, „მილანმა" თამაში ნელა დაიწყო, თუმცა, ეს, ალბათ, იმიტომაც გამოჩნდა, რომ წინა კვირაში, ინტერტოტოს თასზე „პარი სენ ჟერმენთან" წაგებულმა „ბრეშამ" დაიწყო სწრაფად.

24-ე წუთზე მოხდა ის, რაც მოგახსენეთ — გამთამაშებელმა რუი კოშტამ ხელი მოიტეხა, რის გამოც, თავდაპირველი 4-3-1-2 ჩვეულებრივ 4-4-2-ად გადაკეთდა. ამის შემდეგ, ალბანელმა ტარემ ორი გოლი გაიტანა, თუმცა, ამ ორ გოლს სტუმრების ალმასვლა მოჰყვა. მილანელთაგან გოლები ბროკიმ და შევჩენკომ (პენალტით) გაიტანეს.

კიდევ, ინძაგიმ გატუზოს პასით ბურთი ხარიხას გაარტყა.

ამ შეხვედრაში თავიდან ბოლომდე ითამაშა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა კახა კალაძემ, თუმცა, ეტყობა, ის საუკეთესო ფორმისგან ჯერ შორსაა — „რაიუნოსგან" ყველაზე დაბალი შეფასება — 4.5 სწორედ მან და ხოსე შამოტმა მიიღეს.

**ბაჩუნა ბედია**




ლანსი — ლილი. ლამისსეხნიები: ლანსელი ფერდინანდ კოლი (მარცხნივ) და ფერნანდო დამიკო

REUTERS



ხელმოტეხილი რუი კოშტა საავადმყოფოში გააქანეს


გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
[illegible] 1 თვით, 2 თვით,
3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი"


# ფეხბურთი უგოლოდ

## საფრანგეთი

V ტური

**ბორდო 1:1 ოსერი**
1:0 პაულეტა (24), 1:1 ლაშუერი (66)

**პარი სენ ჟერმენი 3:0 რენი**
1:0 ოკოჩა (62), 2:0 ბ. მენდი (79), 3:0 ალოიზიო (84)

**ტრუა 0:2 ლიონი**
0:1 მარლე (45), 0:2 დელმოტი (90)

**ბასტია 1:0 მარსელი**
1:0 ბენეფორტი (35)

**მონპელიე 0:0 სოშო**

**ლორიანი 2:0 მონაკო**
1:0 დრუონი (17), 2:0 დარშევილი (29)

**გენგამი 1:0 ნანტი**
1:0 კარნო (26)

**სედანი 2:0 მეცი**
1:0 ბრონო (753), 2:0 კამარა (90)

**ლანსი 1:1 ლილი**
1:0 საკო (61), 1:1 ბაკარი (86)

**მსოფლიოსა** და ევროპის ჩემპიონების ქვეყანაში, ეტყობა, დაავიწყდათ, რომ მინდორზე გოლის გატანაა მთავარი, აგერ, მეხუთე ტური მიილია და საშუალოდ 2 გოლი მატჩში, დამეთანხმებით ცუდი მაჩვენებელია.

სულ ჩემპიონატის დასაწყისიდან 45 შეხვედრა ჩატარდა და 35-ჯერ რომელიმე გუნდმა გოლის გატანა ვერ შეძლო. „მარსელმა" და „მონაკომ" სულაც ოთხჯერ დატოვეს მოედანი გაუხარებლებმა. ყველაზე მეტი გოლი კი „ოსერის" ანგარიშზეა — 10, ოღონდ ამის ნახევარი ბურგუნდიელებმა პირველივე ტურში შეაგდეს რენში და მას მერე საშუალოდ თამაშში ერთზე ოდნავ მეტილა გააქვთ. ერთი სიტყვით, ჯერჯერობით საფრანგეთში დაცვა თავდასხმაზე გაცილებით ძლიერად გამოიყურება.

ჩემპიონთა ლიგაში შეღწევის შემდეგ „ლილს" საკმაოდ მძიმე მატჩი ელოდა კვირას ლანსში. ჩემპიონატის ლიდერი მთელი საათნახევრის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას და მეორე ტაიმის შუაწელში დაწინაურდა კიდეც, მაგრამ ლილელებმა ისევ გამოავლინეს თავიანთი უტეხი ხასიათი და თამაშის მიწურულს გათანაბრება შეძლეს. შესაბამისად, ორივე გუნდი დაუმარცხებლად სვლას განაგრძობს.

ლანსელები თავიდანვე გააფთრებით ეკვეთნენ მოწინაალმდეგეს და კორიდონს, დიუფსა და საკოს მალევე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ იღბალმა უმტყუნათ. ყველაზე რეალური საგოლე მომენტი სტუმართა კართან მე-19 წუთზე შეიქმნა, როცა კოლიბალის თავურის შემდეგ ბურთი ხარიხამ მოიგერია.

გოლი კი 61-ე წუთზე გავიდა, დიუფის აქტიურობას საკოს დარტყმა მოჰყვა, ბურთი ერთ-ერთ მცველს მოხვდა და ვიმბეს კარში შევარდა. 86-ე წუთზე „ლილმა" გაათანაბრა. საჯარიმო ბუტუალმა ჩააწოდა და ბაკარიმ თავით აჯობა ვარმიუზს.

„მარსელს" უჭირს და მდგომარეობა მთავარ მწვრთნელ ჟოზე ანიგოს გადაყენებამაც ვერ გამოასწორა. ოლიმპიკელები უაზროდ, არეულ-დარეულად დარბოდნენ „ფურიანის" მინდორზე და დამსახურებულადაც წააგეს. თანაც კვლავ ვერ გაიტანეს გოლი. მათი მთავარი პრობლემა, მგონი, მწვრთნელი კი არა, კარგი გამთამაშებლის არყოლაა. მატჩის ერთადერთი გოლი ბენეფორტიმ გაიტანა თავით და მერეც ბასტიელები უფრო ახლოს იყვნენ მიზანთან, ვიდრე სტუმრები.

მორიგი მარცხი იწვნია კიდევ ერთმა დიდბიუჯეტიანმა კლუბმა — „მონაკომ". სათავადოს გუნდი ლორიანში დამარცხდა. მონაკოელთა იტალიელ მეკარე რომას ბურთის საკუთარი კარის ბადედან გამოტანა უკვე მე-17 წუთზე მოუხდა მასპინძელთა მცველის დრუონის დარტყმის შემდეგ. ათიოდ წუთში თავი ლორიანელთა საუკეთესო მეგოლე დარშევილმაც გამოიჩინა, როცა გუელის ჩაწოდებულ ბურთის თავით მიუჩინა მეტოქის კარში ადგილი.

„მარსელისა" არ იყოს, „მონაკოც" ღრმა კრიზისშია, რადგან ჩემპიონატის სტარტზე მხოლოდ 2 ქულის მოხვეჭა შეძლო და ძალიან ცუდადაც თამაშობს. თანაც საინტერესოა, რომ ჯუჯა სახელმწიფოს გუნდი უკვე შეხვდა პირველი დივიზიონის სამ დებიუტანტს და მათგან მხოლოდ „მონპელიესთან" შეძლო ქულის მოპოვება, „სოშოსა" და „ლორიანთან" კი დამარცხდა.

ახლა მოუგებელი „მარსელსა" და „მონაკოსთან" ერთად ოდენ ჩემპიონი „ნანტილაა", რომელსაც ნამდვილად სჩვევია სეზონის ასე უსუსურად დაწყება და მეხუთე ტურის შემდეგ გარდაქმნა. ასე რომ, თბილისის დაძმობილებულ ქალაქში საფეხბურთო კრიზისზე ორი კვირის შემდეგ ვისაუბროთ, თუ ნანტელები შინ „სედანს" ვერ მოუგებენ.

დაუმარცხებელ „ლანსს" კი კვალდაკვალ ერთწაგებიანი „ლიონი" მისდევს, რომელმაც „ვიტ ჯორჯიას" შემარცხვენელი და ინტერტოტოდან უეფაზე გასული „ტრუა" დაჯაბნა სტუმრად. ტრუელებმა ორივე ტაიმი გაძლეს, მაგრამ მაინც წააგეს. საკვირველია, არა? უბრალოდ, სტუმრებმა ორჯერვე მსაჯის მიერ წამატებულ დროში მოახერხეს გოლის გატანა. შესვენებამდე მარლემ იხეირა, როცა ბურთი როტანს მოჰპარა და ერტების აუღებელი დაურტყა. მატჩის მიწურულს კი იმავე მარლემ დელმოტს უპასა საგოლედ. ამის მერე, უცნაური სულაც აღარაა, რომ ინგლისურ „ფულემში" გადასასვლელად გამზადებულ მარლეს ლიონელთა თავკაცები არაფრისდიდებით არ თმობენ.

### გაგი გურული

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 5 | 4 | 1 | 0 | 8:2 | 13 |
| ლიონი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | 12 |
| ოსერი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| პარი სენ ჟერმენი | 5 | 2 | 3 | 0 | 7:3 | 9 |
| ლილი | 5 | 2 | 3 | 0 | 6:3 | 9 |
| სოშო | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| ტრუა | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 |
| ლორიანი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 7 |
| ბასტია | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| გენგამი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:7 | 7 |
| მონპელიე | 5 | 1 | 3 | 1 | 5:3 | 6 |
| ბორდო | 5 | 1 | 3 | 1 | 3:2 | 6 |
| რენი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:12 | 6 |
| სედანი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| მეცი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:8 | 3 |
| მარსელი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:5 | 2 |
| მონაკო | 5 | 0 | 2 | 3 | 2:8 | 2 |
| ნანტი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:7 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ჯ. სისე (ოსერი) | 7 |
| მონტერუბიო (რენი) | 5 |
| დარშევილი (ლორიანი) | 4 |

### მეორე დივიზიონი

მე-5 ტური: აიაჩო — ლე მანი 1:0; ამიენი — კრეტეი 2:1; გენიონი — კაენი 2:2; ისტრი — ბოვე 0:2; ლავალი — ნიმი 1:0; ლე ავრი — გრენობლი 4:0; ნიცა — ნიორი 3:1; სტრასბური — შატორუ 2:0; მარტიგი — ნანსი 0:0; ვასკეალი — სენტ ეტიენი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტრასბური | 5 | 4 | 1 | 0 | 11:2 | 13 |
| აიაჩო | 5 | 4 | 1 | 0 | 10:3 | 13 |
| გენიონი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:5 | 13 |
| ბოვე | 5 | 4 | 0 | 1 | 6:1 | 12 |
| ნიცა | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| ნიორი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 8 |
| კაენი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 8 |
| ლე ავრი | 5 | 1 | 4 | 0 | 7:3 | 7 |
| ამიენი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| გრენობლი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:11 | 7 |
| შატორუ | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | 6 |
| ლავალი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:9 | 6 |
| ვასკეალი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| კრეტეი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| ლე მანი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:7 | 3 |
| სენტ ეტიენი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:7 | 3 |
| ნანსი | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | 3 |
| მარტიგი | 5 | 0 | 3 | 2 | 1:4 | 3 |
| ისტრი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:8 | 3 |
| ნიმი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | 2 |

# აქ ზიდანს ხომ არ ჩამოუვლია?

## ესპანეთი

### I ტური

**სოსიედადი 1:3 ბილბაო**

0:1 ურსაისი (15), 1:1 ხოხლოვი (18), 1:2 ტიკო (75), 1:3 ურსაისი (82)
სოსიედადი: ალბერტო, კვარმე, არანსაბალი, ლუის ალბერტო, ლოპეს რეკარტე (ლორენი 61), ტაიფუნი, დე პედრო, არანბურუ (დე პაულა 73), იდიაკესი, ხოხლოვი, იანკაუსკასი (დიმიტრაძე 78)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
ბილბაო: ლაფუენტე, ლარასაბალი, კარლოს გარსია, ლაკრუსი, რიოსი, ურუტია (ორბაისი 78), ა. გერერო (ტიკო 71), ალკისა, ხავი გონსალესი, ხ. ეჩებერია, ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: კვარმე, ლოპეს რეკარტე, ეჩებერია, არანბურუ, იდიაკესი
მსაჯი: კარმონა მენდესი
28 000 მაყურებელი

**ვალენსია 1:0 რეალი**

1:0 ანგულო (7)
ვალენსია: კანისარესი, აიალა, ჯუკიჩი, კარბონი, კურო ტორესი, ალბელდა, ანგულო (რუფეტე 83), ვისენტე, აიმარი (ილიე 75), დე ლოს სანტოსი, კარეუ (სალვა 63)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
რეალი: კასილიასი, სალგადო (ჯერემი 67), რობერტო კარლოსი, იერო, კარანკა, ფლავიო კონსეისაო (სავიო 68), მაკელელე, ფიგუ, ზიდანი, რაული, მორიენტესი (გუტი 59)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: ალბელდა, ფიგუ, აიალა, სალგადო, დე ლოს სანტოსი, კურო ტორესი, დელ ბოსკე („რეალის" მწვრთნელი), იერო, ფიგუ
გაძევება: ფიგუ (90)
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
53 000 მაყურებელი

**სევილია 1:2 ბარსელონა**

0:1 კლუივერტი (41), 1:1 ოლივერა (49პ), 1:2 კლუივერტი (75)
სევილია: ნოტარიო, დავიდ კასტედო, პრიეტო, პაბლო ალფარო, ნიევესი, ვიქტორ სალასი (მოდესტა 55), ტომასი (გალარდო 78), კასკერო, ოლივერა, ლუის ხილი, რეიესი (ტოედტლი 64)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ბარსელონა: ბონანო, ანდერსონი, სერხი, კრისტენვალი, ხავი, კოკუ, როჩემბაკი (პუიოლი 58), ლუის ენრიკე, ოვერმარსი (სავიოლა 57), რივალდო (ჯოვანი 87), კლუივერტი
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
გაფრთხილება: ლუის ხილი, ტომასი, ლუის ენრიკე, პაბლო ალფარო, პუიოლი
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
40 000 მაყურებელი

**დეპორტივო 4:0 ვალიადოლიდი**

1:0 ვიქტორი (45), 2:0 ვალერონი (62), 3:0 მაკაი (67), 4:0 დიეგო ტრისტანი (69)
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, ნაიბეტი, ჯოროვიჩი, მაურო სილვა, ამავისკა (სერხიო 59), ვიქტორი, ვალერონი, მაკაი (პანდიანი 80), დიეგო ტრისტანი (სკალონი 77)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ვალიადოლიდი: რიკარდო, პენია, მარკოსი, ტორეს გომესი, ტენა, რიკეტი (ბარახა 74), ჩემა (ბლანკო 57), აროლდ ლოზანო (ეუსებიო 46), ფერნანდო სალესი, ფერნანდო, ტოტე
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: რიკეტი, ამავისკა
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
27 000 მაყურებელი

**ტენერიფე 0:2 ალავესი**

0:1 რუბენ ნავარო (40), 0:2 ასტუდილიო (83)
ტენერიფე: სერხიო არაგონესესი, პაბლო პასი, ლუსენბოფი, ბერმუდო, ბასავილბასო (ხავი ვენტა 64), სლოვაკი, ხორდი, მარტი, უგო მორალესი, ხისკო (სიმუტენკოვი 58), პიერი (მარიონი 46)
მწვრთნელი: ხოსე პეპე მელი
ალავესი: კოკე, კოლოჩინი, იბონ ბეგონია (ტურიელი 53), ტელიესი, ჯელი, ლორენსი, პაბლო (მაგნო 66), ასტუდილიო, მარა (ვიჩგე 73), რუბენ ნავარო, კრუიფი
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: კოლოჩინი, რუბენ ნავარო, ლორენსი, მაგნო, რუბენ ნავარო, მარტი, ლუსენბოფი
მსაჯი: ინდიანო მალენკო
15 000 მაყურებელი

**ოსასუნა 0:3 სელტა**

0:1 კატანია (32), 0:2 სერხიო (55), 0:3 ხესული (71)
ოსასუნა: უნსუე, იანგუსი, იბან პერესი, ხოსუე, კრუჩაგა, პუნიალი, რივერო, განსედო, ლეკუმბერი (ალოიზი 62), ივან როსადო, მონტენეგრო (არმენტანო 64)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
სელტა: კავალიერო, ველასკო, ბერიზო, ხუანფრანი, სერხიო, ჯოვანელა, ედუ, ლუქსენი, ვაგნერი (ბობანი 64), გუსტავო ლოპესი (ხესული 15), კატანია (იაგო 70)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: რივერო, ხესული, ივან როსადო, ვაგნერი, მიგელ ანხელ ლოტინა („ოსასუნას" მწვრთნელი)
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
15 731 მაყურებელი

**ესპანიოლი 2:1 სარაგოსა**

1:0 დე ლუკასი (5), 1:1 ჟამელი (32), 2:1 ლოპო (63)
ესპანიოლი: მორა, ფრანი, როტჩენი, ლოპო, დავიდ გარსია, სოლდევილა (მორალესი 78), ოსკარი (ალექს ფერნანდესი 55), ველამასანი, დე ლუკასი, პალენსია (აგანსო 64), ტამუდო
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
სარაგოსა: ლაინესი, რებოსიო, აგუადო, პაკო ხემესი, ქაკერდინია, ველისკა (გარიტანო 69), ხოსე იგნასიო, აკუნია, ჟამელი (კორონა 69), იორდი, გალეტი (მარკოსი 86)
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩო როხო
გაფრთხილება: ფრანი, ლოპო, სოლდევილა, როტჩენი, რებოსიო, პაკო ხემესი
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
16 900 მაყურებელი

**მალიორკა 0:3 ლას პალმასი**

0:1 პაბლო ლაგო (42), 0:2 ხორხე (47), 0:3 კარმელო (83)
ლუკემ ვერ გაიტანა პენალტი (35, მეკარე)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ფერნანდო ნინიო, ოლაიზოლა, ნადალი, იბაგასა, ჩიჩო სოლერი (რიერა 50), მარკოსი, ვისენტე, ეტოო, ნოვო (კარლოსი 51), ლუკე (ლეო ბიაჯინი 46)
მწვრთნელი: ბერნდ კრაუსი
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, რამონი, პაკუ, შურერი, ანხელი, ხოსიკო (კარმელო 39), პაბლო ლაგო, სემვისი, ედუ ალონსო (სარასუა 72), ხორხე, ორლანდო (ელოი 59)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: სემვისი, ორლანდო, ნაჩო გონსალესი, ოლაიზოლა, ლეო ბიაჯინი
მსაჯი: მეგია დავილა
18 000 მაყურებელი

**მალაგა 3:2 ბეტისი**

0:1 კასასი (19), 1:1 დარიო სილვა (36), 1:2 კასასი (52პ), 2:2 დარიო სილვა (64), 3:2 ზარატე (67)
მალაგა: კონტრერასი, ლიტუში, როტეტა, ფერნანდო სანსი, ლარაინსარი (სანდრო 34), მუსამპა (კანაბალი 65), რომერო, ხერარდო, ზარატე, დარიო სილვა (ისნატა 81), დელი ვალდესი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
ბეტისი: პრატსი, მინგო (ლუის ფერნანდესი 72), კრისა, ბელენგერი, ვარელა, კანისასი, ჩაპი (ბენჟამინი 65), იტო, ხოაკინი, დენილსონი, კასასი (ამატო 59)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: რომერო, ფერნანდო სანსი, როტეტა, კანაბალი, სანდრო, ბენჟამინი, დარიო სილვა, კონტრერასი
მსაჯი: ანსუატეგი როჩა
15 000 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 1:2 ვილიარეალი**

0:1 ხორხე ლოპესი (17), 0:2 კრაიოვიანუ (39), 1:2 არტეაგა (44)
რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, გრაფი (გრანოვი 81), ალკასარი, ერნანდესი (ბოლო 57), კორინო, მიჩელი, კვედო, რუა, არტეაგა, პერაგონი (გლაუჩიო 61), ბოლიჩი
მწვრთნელი: ანდონი გოიკოეჩეა
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, კიკე ალვარესი, უნაი, გალკა, გალვანი, ამორი, კრაიოვიანუ (პალერმო 75), ხორხე ლოპესი (გიარე 86), ვიქტორი, კალეხა (კიკე მარტინი 72)
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: ლოპეს ვალეხო, კალეხა, კიკე ალვარესი, ბოლიჩი, გრაფი, არუაბარენა
მსაჯი: პერეს პერესი
7 000 მაყურებელი




დეპორტივო — ვალიადოლიდი. ბურთი მასპინძელ დიეგო ტრისტანს ასცდა და ხავიერ ტორესისკენ მიჰქრის

**ამ ბოლო დროს**, როდესაც მადრიდის „რეალზე" რამეს წერენ, ასე იწყებენ: ზინედინ ზიდანი ან ზინედინ ზიდანმა ან ზინედინ ზიდანს... ცხადია, პრიმერადივიზიონის პირველი ტურის შემდეგაც ასე დაიწყებდნენ. კერძოდ, ზინედინ ზიდანმა კვლავ ცუდად ითამაშა და მადრიდელი გულშემატკივრის გულის მოსაგებად ჯერ კიდევ ძალიან ბევრი აქვს გასაკეთებელი — ასეთი გახლდათ საერთოესპანური აზრი მას მერე, რაც მადრიდის „რეალმა" შაბათს, ვალენსიაში 0:1 წააგო.

ჰო, კინაღამ დაგვავიწყდა: ზიდანთან აუცილებლად უნდა ეწეროს, „ამ ზაფხულს 65,9 მილიონ დოლარად ნაყიდი".

ამრიგად, „რეალმა" „ვალენსიასთან" წააგო და ზიდანმა მხოლოდ ორიოდ ეპიზოდში გააკეთა რაღაც ზიდანური, თუმც განსაკუთრებული არაფერი.

ხოლო ვალენსიელმა ანგულომ, რომელიც არც ზიდანია და არც ფიგუ, მეშვიდე წუთზეს ახლოდან დაარტყა და ანგარიში გახსნა. როგორც გაირკვა, ამ გოლის მეტი შეხვედრაში აღარც გასულა. კერძოდ კი ასე იყო: მარცხენა ფრთიდან ვისენტე როდრიგესმა დაარტყა, ბურთი მეკარე კასილიასმა ხელში ვერ შეიმაგრა, ის ისევ როდრიგესს მიუგორდა, რომელმაც ანგულო შენიშნა.

ერთი სიტყვით, კასილიასს შეეშალა, თუმცა, მეორე მხრივ, „რეალმა" უფრო დიდი ანგარიშით რომ არ წააგო, მაინც კასილიასის დამსახურებაა. მეკარემ პაბლო აიმარს და იონ კარეუს ერთობ ყოჩაღად მოუგერია.

მადრიდელებს ყველაზე დიდი შანსი, „ვალენსიას" გოლიდან სამ წუთში იყო, როდესაც კლოდ მაკელელემ თავურით სცადა ბედი.

ბოლოს კი, ჩემპიონის გულის გასახეთქად, მსაჯმა მოედნიდან ლუიშ ფიგუ გააძევა — მან მეორე ყვითელი მიიღო. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში მსაჯს ყვითელი ბარათის ამოღება ცხრაჯერ მოუხდა.

„რეალს" რომ ვახსენებთ, ცხადია იქვე „ბარსელონაზეც" უნდა ვთქვათ. „ბარსელონამ" ლიგაში დაბრუნებულ „სევილიას" სტუმრად მოუგო 2:1 და ორივე გოლი ჩინებულმა პატრიკ კლუივერტმა შეაგდო. კლუივერტმა, წინა სეზონში თვრამეტჯერ მიაღწია მიზანს, მაგრამ ბოლოსკენ რაღაც აერია და ბოლო რვა ტურში ბურთი მოწინააღმდეგეთა კარში ვერაფრით გაიტანა. ახლა კი, მისი შეჩერება შეუძლებელი იყო.

პირველი გოლი კლუივერტმა 41-ე წუთზე გაიტანა, როდესაც ფილიპ კოკუს ჩაწოდებულს დაუხვდა. ამ მომენტში ბურთი ცოტათი სევილიელ მცველს დავიდ კასტედოს შეეხო.

კასტედო მეორე ნახევრის მესამე წუთზეც მონაწილეობდა იმ ეპიზოდში, როდესაც ანგარიში გათანაბრდა. კერძოდ, ბარსელონელ მცველთან, ბრაზილიელ ფაბიო როჩემბაკთან მისი ბრძოლა მსაჯმა წესების დარღვევად აღიქვა და [illegible] ნალტი დანიშნა. [illegible] ნიკო ოლივეირამ გაიტანა.

მაგრამ მოედანზე იყო კლუივერტი, 75-ე წუთზე მის ინდივიდუალიზმს წინ ვერავინ აღუდგა. მან კოკუსგან ბურთი, მიზნიდან 30 მეტრით უკან მიიღო ზურგით კარისკენ მდგომმა, შემდეგ კი შემოტრიალდა, სამ მასპინძელს დრიბლინგით გაუმკლავდა და უმწეო მეკარე ანტონიო ნოტარიოს გაუტანა.

„ვფიქრობ, დღევანდელმა შეხვედრამ დაადასტურა, რომ ამ სეზონში „ბარსელონა" დიდი ძალა იქნება. „სევილიამ" კი რამდენჯერმე მართლაც გაგვიხადა საქმე სანერვიულოდ" — ასეთი შთაბეჭდილება დარჩა კატალონიელთა ახალ შენაძენ ვარსკვლავს, არგენტინელ ხავიერ სავიოლას, რომელიც, სხვათა შორის, ბარსელონელმა თავკაცმა კარლოს რექსაჩმა 57-ე წუთამდე სათადარიგოთა სკამზე დასვა. უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში, როდესაც სავიოლა მოედანზე იყო, „სევილიას" მცველები მუდმივ ხიფათს გრძნობდნენ.

გერმანელმა მწვრთნელმა, იუპ ჰაინკესმა, რომელიც თავის დროზე „რეალს" ედგა სათავეში, მოგეხსენებათ, ამ ზაფხულს ბილბაოს „ატლეტიკი" ჩაიბარა, ასე რომ, პირველ ტურში მისი სეზონისწინა სამზადისის შემოწმებაც გაიმართა. და გერმანელმა ტესტი კარგად ჩააბარა — „ატლეტიკმა" თანამემამულებს, სან სებასტიანის „რეალ სოსიედადს" სტუმრად 3:1 მოუგო.

როგორც ჩანს, ჰაინკესმა ბილბაოელებს ახალი რწმენა შთაბერა და მათაც შთამბეჭდავად ითამაშეს, ხოლო სამიდან ორი გოლი ისმაელ ურსაისმა გაიტანა.

„დეპორტივომ" „ვალიადოლიდს" 4:0 სძლია და თუკი ერთი ტურის შემდეგ შედგენილ ცხრილს მნიშვნელობა აქვს, ლიდერია.

„ძალიან სასიამოვნოა, რომ გავიმარჯვეთ, ხოლო რაც შეეხება პირველ ადგილზე ყოფნას, ეს აშკარად ბოლო ტურის შემდეგ მირჩევნია" — განაცხადა ლაკორუნიელთა მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ.

**ბაჩუნა ძიძია**




სევილია — ბარსელონა. პატრიკ კლუივერტმა (№9) დუბლით დაიწყო

| № | | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დეპორტივო | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 | სელტა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 |
| 3 | ლას პალმასი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 |
| 4 | ბილბაო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 |
| 5 | ალავესი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 6 | მალაგა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 7 | ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 8 | ვილიარეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 9 | ესპანიოლი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 10 | ვალენსია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 11 | ბეტისი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | −1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | −1 | 0 |
| 12 | სევილია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | −1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | −1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 13 | რაიო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | −1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | −1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 14 | სარაგოსა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | −1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | −1 | 0 |
| 15 | რეალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 |
| 16 | სოსიედადი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | −2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | −2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 17 | ტენერიფე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | −2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | −2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 18 | ოსასუნა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | −3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | −3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 19 | მალიორკა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | −3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | −3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 20 | ვალიადოლიდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | −4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | −4 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დარიო სილვა (მალაგა) | 2 |
| კასასი (ბეტისი) | 2 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 2 |
| ურსაისი (ბილბაო) | 2 |

### II ტური

9 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| ბეტისი | - | ესპანიოლი |
| რეალი | - | მალაგა |
| ვალიადოლიდი | - | ვალენსია |
| ლას პალმასი | - | დეპორტივო |
| ბილბაო | - | მალიორკა |
| ალავესი | - | სოსიედადი |
| სელტა | - | ტენერიფე |
| ვილიარეალი | - | ოსასუნა |
| ბარსელონა | - | რაიო ვალეკანო |
| სარაგოსა | - | სევილია |

### მეორე დივიზიონი

I ტური

**ელჩე 0:0 ფიროლი**

**პოლი ეხიდო 0:1 ბურგოსი**

0:1 ხოსე მარი (64)

**ხიმნასტიკა 0:0 რასინგი**

**ატლეტიკო 2:0 ხაენი**

1:0 ტორესი (68), 2:0 დანი (87)

**ოვიედო 1:1 ესტრემადურა**

0:1 მანუელი (63), 1:1 ივან ანია (67)

**ბადახოსი 1:0 უელვა**

1:0 პეპინი (59)

**ხერესი 1:0 სპორტინგი**

1:0 მენდოსა (50)

**კორდობა 1:1 ლეგანესი**

0:1 არნალი (18), 1:1 ველიტონი (66)

**მურსია 0:0 ეიბარი**

**ალბასეტე 3:0 ლევანტე**

1:0 სიმეონი (59), 2:0 ხესუს პერეა (75), 3:0 ხოსე (90)

**ნუმანსია 2:2 სალამანკა**

1:0 როსუ (12), 2:0 კულებრასი (33), 2:1 სეგარა (59), 2:2 პაჩეტა (89ს.კ.)



რეინჯერსი — დანდი. გიორგი ნემსაძე (მარცხნივ) თანაგუნდელს გამოექომაგა და გაწევ-გამოწევაც ატყდა

# ძველებურად

## შოტლანდია

V ტური

**რეინჯერსი 2:0 დანდი**

1:0 მოლსი (25), 2:0 რიკსენი (68)

დანდი: ლენგფილდი, სმიტი, ხიზანიშვილი, დელ რიო, მაროკო, რომანო, რაე, ნემსაძე (რობერტსონი 88), კარანსა, სარა (მილნი 62), კაბალიერო

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

გაფრთხილება: ხიზანიშვილი, რომანო, ნემსაძე

გაძევება: კარანსა (76)

48 038 მაყურებელი

**დანდი იუნ. 0:2 კილმარნოკი**

0:1 დი ჯაკომო (13), 0:2 მაკლარენი (63)

**დანფერმლაინი 0:1 ჰართსი**

0:1 სევერინი (75)

**ჰიბერნიანი 1:4 სელტიკი**

0:1 მორავჩიკი (16), 0:2, 0:3 სატონი (17, 20), 0:4 ლარსონი (31), 1:4 ფენვიკი (85)

**მოზერუელი 0:0 ლივინგსტონი**

**სენტ ჯონსტონი 1:1 აბერდინი**

0:1 მაკგარი (21), 1:1 ვეირი (46)

**სქოთურ** პრემიერლიგაში ცვლილებები ცოტაა. ისედაც ძველი და მარადიული ამბავია: ჩემპიონი გლაზგოში უნდა ვეძებოთ, „სელტიკსა“ და „რეინჯერსს“ შორის. თორმეტგუნდა შეჯიბრად გადაკეთებულ სქოთურ პრემიერლიგას კვლავ სათავეში უდგას შარშანდელი ჩემპიონი „სელტიკი“, რომელსაც ორი ქულით ჩამორჩება შარშანწინდელი ჩემპიონი „რეინჯერსი“. ამ უკანასკნელს კი ძალიან უნდა, რომ შარშანწინისწინდელი ჩემპიონი და საჯუნო მტერი ტახტიდან ჩამოაგდოს და შარშანწინისწინის წინ რომ ლალად მოიგო ტიტული იმგვარი რამ გაიმეოროს.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ უქმეებზე საჩემპიონო რბოლაში არაფერი შეცვლილა. შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნილმა „რეინჯერსმა“ შინ „დანდის“ მოუგო 2:0, იმავ ლიგაში გასულმა „სელტიკმა“ კი სტუმრად „ისტერ პარკზე“ დასცა „ჰიბერნიანი“ — 4:1.

„დანდელთა“ წინაალმდეგ „რეინჯერსს“ გაუჭირდა და არც გასჭირვებია. სქოთური პრემიერლიგის ყველაზე სამხრეთულ გუნდს პირველ ტაიმში დიდ ჩემპიონთა დასჯაც შეეძლო ხუან სარას და ბეტო კარანსას რომ სამიზნე სწორი ჰქონოდათ. მეორე ტაიმში, როცა „რეინჯერსი“ 2:0 იგებდა მიხაელ მოლსის და ფერნანდო რიკსენის მიერ გატანილი გოლების წყალობით, ამ უკანასკნელთ ნილ მაკკანი გაუძევეს ტყუპწიხლიანი არიძევისათვის, „დანდელებმა“ მიწოლა სცადეს, მაგრამ კარანსამ რიკსენი მოცელა და გუნდების შემადგენლობაც გათანაბრდა. ამ თამაშში ყვითელი ბარათი მიიღო ჩხუბში ჩარეულმა გიორგი ნემსაძემაც. სტუმართა წინაალმდეგ კი ითამაშა მათმა ოდინდელმა თავდამსხმელმა კლაუდიო კანიჯამ. „სელტიკს“ კი საერთოდ არ გასჭირვებია ბეხრეკი ფრანკ სოზესა და მისი ამხანაგების განადგურება. პირველი ორი გოლი 16-ე წუთზე, 11 წამის მონაკვეთში გავიდა. ჯერ სლოვაკმა ლუბო მორავჩიკმა შეტენა კარში ჯარიმიდან ჩაკიდებული ბურთი, მერე კი, ცენტრიდან თამაშის დაწყებისთანავე, მასპინძლებმა ისე უაზროდ გააგორეს ბურთი თავის კარისკენ, რომ იგი კრის სატონმა მოიგდო ფეხებში და ანგარიში ორამდე გაზარდა. სატონმა იმ საღამოს დუბლი შეასრულა, მეოთხე კლტური გოლი კი ჰენრიკ ლარსონმა შეაგდო.

ასე იყო ეს ამბავი და რა მოსატანია, რომ „კილმარნოკმა“ 2:0 მოუგო „დანდი იუნაიტედს“?

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:1 | 13 |
| რეინჯერსი | 5 | 3 | 2 | 0 | 11:3 | 11 |
| ჰართსი | 5 | 3 | 0 | 2 | 6:5 | 9 |
| კილმარნოკი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| დანდი იუნაიტედი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:6 | 8 |
| დანდი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | 7 |
| დანფერმლაინი | 5 | 2 | 0 | 3 | 10:10 | 6 |
| ლივინგსტონი | 5 | 1 | 3 | 1 | 2:2 | 6 |
| ჰიბერნიანი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:10 | 5 |
| აბერდინი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| მოზერუელი | 5 | 0 | 3 | 2 | 6:11 | 3 |
| სენტ ჯონსტონი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:9 | 1 |

### პირველი დივიზიონი

მე-4 ტური: არბროთი — პარტიკ თისტლი 1:3; ეირი — რეით როვერსი 1:1; ფალკირკი — კლაიდი 1:1; როს ქაუნთი — ეირდრი 0:1; სენტ მირენი — ინვერნესი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეირდრი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:3 | 10 |
| პარტიკ თისტლი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:5 | 10 |
| ეირი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ფალკირკი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| სენტ მირენი | 4 | 1 | 2 | 1 | 10:8 | 5 |
| კლაიდი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:6 | 5 |
| როს ქაუნთი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:5 | 3 |
| არბროთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:10 | 3 |
| რეით როვერსი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | 2 |
| ინვერნესი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |

### მეორე დივიზიონი

მე-4 ტური: ქოუდენბითი — ელოა 1:2; ჰამილტონი — ფორფარი 1:1; მორტონი — სტრენრარი 1:1; ქუინ ოფ საუთი — კლაიდბანკი 1:0; სტენჰაუზმური — ბერვიკი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კლაიდბანკი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| ალოა | 4 | 2 | 2 | 0 | 8:3 | 8 |
| სტენჰაუზმური | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| მორტონი | 4 | 1 | 3 | 0 | 8:5 | 6 |
| სტრენრარი | 4 | 1 | 3 | 0 | 5:2 | 6 |
| ჰამილტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| ქუინ ოფ საუთი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| ფორფარი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| ქოუდენბითი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | 3 |
| ბერვიკი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:11 | 0 |

### მესამე დივიზიონი

მე-4 ტური: ბრეჩინი — ალბიონი 4:1; დამბარტონი — მონტროუზი 0:1; ისტ ფაიფი — პიტერჰედი 0:1; ელგინი — სტირლინგი 2:3; ქუინზ პარკი — ისტ სტირლინგი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრეჩინი | 4 | 4 | 0 | 0 | 15:3 | 12 |
| სტირლინგი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:7 | 9 |
| მონტროუზი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:4 | 9 |
| ელგინი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ისტ სტირლინგი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:5 | 6 |
| დამბარტონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| პიტერჰედი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ქუინზ პარკი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:8 | 1 |
| ალბიონი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:9 | 1 |
| ისტ ფაიფი | 4 | 0 | 1 | 3 | 0:11 | 1 |

# სპარტაკს რუსები არ სჭირდება

## რუსეთი

XXIII ტური

**ლოკომოტივი 4:0 ანჟი**

1:0, 2:0 ლოსკოვი (57, 69), 3:0, 4:0 ობიორა (84, 88)

**როსტსელმაში 1:4 სატურნი**

0:1 ლიაპკინი (16), 1:1 იოვიჩი (20), 1:2 ლიაპკინი (59), 1:3, 1:4 მურატოვიჩი (68, 82)

**როტორი 4:0 ფაკელი**

1:0 ბორზენკოვი (15), 2:0 ოლენიკოვი (41), 3:0 ესიპოვი (70პ), 4:0 ბორზენკოვი (78)

**სპარტაკი 2:1 დინამო**

0:1 ხაზოვი (3), 1:1 ვასილიუკი (25), 2:1 რობსონი (35)

**ჩერნომორეცი 0:0 კრილია**

**სოკოლი 0:2 ტორპედო**

0:1 ვიაზმიკინი (32), 0:2 შირკო (64)

**ზენიტი 3:0 ალანია**

1:0 კობელევი (12), 2:0 კერჟაკოვი (14), 3:0 პოპოვიჩი (72)

**ცსკა 1:1 ტორპედო ზილ**

0:1 კლიმოვი (32), 1:1 გოგნიევი (83)

**კვირას,** ტურის ბოლო მატჩში, უეფასგან შერისხულმა „ლოკომოტივმა“ წონასწორობა არ დაკარგა და ლოსკოვისა და ობიორას წყვილ-წყვილი გოლით მახაჩყალის „ანჟის“ 4:0 მოუგო.

შაბათის „სარბიელშიც“ წაიკითხავდით, რომ უეფას სადისციპლინო კომიტეტმა ავსტრიული „ტიროლის“ პროტესტი განიხილა და „ლოკომოტივთან“ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო საკვალიფიკაციო მატჩის გადათამაშება ბრძანა. მიზეზი კი ის არის, რომ ჰოლანდიელმა მსაჯმა მარიო ვან დერ ენდემ რუსლან პიმენოვი ორჯერ გააფრთხილა, თუმცა მინდვრიდან არ გააძევა. ოქმში კი მეორე გაფრთხილება ვლადიმირ მამონოვს ჩაუწერა. ერთი სიტყვით, ტექნიკური შეცდომა მოუვიდა და ავსტრიელებიც ამას ჩაეჭიდნენ. რკინიგზელებმა უეფაში უკვე გააგზავნეს აპელაცია, რომელშიც თავის სიმართლეს ამტკიცებენ. ახლა 30 ან 31 აგვისტოს, შვეიცარიაში, უეფას სააპელაციო კომიტეტი „ლოკომოტივისა“ და რუსეთის საფეხბურთო კავშირის წარმომადგენლებთან ერთად შეიკრიბება და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მიიღებს. არადა, 11 სექტემბერს, ლიგის პირველ ტურში, რკინიგზელებმა წესით ბელგიურ „ანდერლეხტს“ უნდა უმასპინძლონ...

აი, ასეთი არეულ-დარეულები ეთამაშნენ „ანჟის“ და მაინც დიდი ანგარიშით მოუგეს. ზაზა ჯანაშიამ ბოლო თერთმეტ წუთს ითამაშა და მინდორზე გასვლიდან ხუთ წუთში ობიორას მესამე გაატანინა. მოგეხსენებათ, ქართველი ბოლო დროს რკინიგზელთა ძირითად შემადგენლობაში აღარ ჩანდა.

ახლა „ლოკომოტივი“ ისევ მეორე ადგილზეა, კვლავ ოთხი ქულით ჩამორჩება ლიდერ „სპარტაკს“ და საჩემპიონო შანსები ჯერაც არ დაუკარგავს.

„სპარტაკმა“ „პეტროვსკი პარკში“, მთავარ მოსკოვურ დერბიში „დინამოს“ 2:1 მოუგო. თავიდან ხაზოვის გოლით დინამოელები იგებდნენ, მაგრამ ჩემპიონებმა მალევე დაალაგეს თამაში და ვასილიუკისა და რობსონის გოლებით, საქმე, ფაქტობრივად, შესვენებამდე მოამთავრეს.

მოკლედ, ბოლოდროინდელი ტრადიცია არ დაირღვა — „დინამოს“ ხომ „სპარტაკისთვის“ 1997 წლის მერე უკვე 9 მატჩია აღარ მოუგია...

და კიდევ ერთი. შაბათს „სპარტაკის“ ძირითადში მხოლოდ სამი რუსი: კოვტუნი, ტიტოვი და ბულატოვი იყვნენ. რომანცევს ოქმში 13 ლეგიონერი ჩაეწერა. მათგან ერთი ქართველი კახა მჟავანაძე გახლდ[illegible] ვინაც მთელი მატჩი სათადარიგოთა [illegible]ზე გაატარა.

არადა, „სპარტაკი“ რუსთა „სახალხო გუნდად“ ითვლება და რომანცევის ასეთი საკადრო პოლიტიკა იქაურ ქომაგებს გულზე არ ეხატებათ. ჯერჯერობით საქმეები ნორმალურად მიდის და ხმას არავინ იღებს. ხოლო რა იქნება პირველი წაფორხილებისთანავე, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ ადგილობრივ ფანებს ჩხუბი უკვე ჩვეულებრივ ამბად ექცათ. გასულ შაბათსაც „სპარტაკისა“ და „დინამოს“ ვაი-გულშემატკივრები ჯერ მატჩამდე დაერივნენ ერთმანეთს, თამაშის მერე კი რადიო „ეხო მოსკვის“ ცნობით, „ცვეტნოი ბულვარის“ მეტროს სადგურში, ესკალატორზე ხმაურით ჩასვლისას, ყველაფერი დაამტვრიეს, თუკი რამე ანათებდა. ცხადია, მათი უმრავლესობა გადამთვრალი იყო. მილიციას ჯამში ასზე მეტი ადამიანი დაუკავებია.

მეღლების კიდევ ერთმა კანდიდატმა „კრილია სოვეტოვმა“ მოულოდნელად ბოლო ადგილზე მდგარ „ჩერნომორცთან“ ორი ოქროს ქულა დაკარგა, ხოლო ვიტალი შევჩენკოს „ტორპედომ“ სარატოვში „სოკოლს“ მოუგო და ახლა პირველ სამეულთან სულ ოთხი ქულა აშორებს. ამ მატჩში მოსკოველთა მაისურა პირველად მოირგო ყოფილმა ვიტჯორჯიელმა ედიკ საჯაიამ. მან არტიომ გაშკინი შეცვალა და მინდორზე ბოლო 14 წუთი დაჰყო. ტორპედოელთა შემტევმა დმიტრი ვიაზმიკინმა კი ჩემპიონატში თავისი მე-14 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავას კვლავ მყარად უდგას სათავეში.

აუტსაიდერთა მთავარ მატჩში „როტორმა“ „ფაკელს“ 4:0 მოუგო და გასავარდნთა ზონას ოდნავ დაცილდა. ვორონეჟის „ფაკელისთვის“ ეს ზედიზედ მეხუთე მარცხი გახლდათ.

ტური კი პარასკევს ცსკა — ზილის ფრით დაიწყო. ეს არმიელთა ზედიზედ მეოთხე ფრეა. თანაც მათ უკვე 19 მატჩია აღარ წაუგიათ...

მთავარი ამბავი ცსკა-სთვის მაინც მინდორს გარეთ ხდება. წინა ტურში მათი უკრაინელი მეკარე სერგეი პერხუნი მახაჩყალელ ბუდუნ ბუდუნოვს შეეჯახა და საავადმყოფოში ტვინის შეშუპების დიაგნოზით მიიყვანეს. უკვე კვირაზე მეტია, ექიმები დაბეჯითებით ვერაფერს ამბობენ. გადარჩება თუ არა პერხუნი, არავინ იცის.

**სოლომონ ბულისკერიშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 23 | 13 | 7 | 3 | 39:18 | 46 |
| ლოკომოტივი | 23 | 12 | 6 | 5 | 41:18 | 42 |
| ზენიტი | 23 | 12 | 6 | 5 | 40:29 | 42 |
| კრილია | 23 | 11 | 7 | 5 | 28:16 | 40 |
| ტორპედო | 23 | 11 | 5 | 7 | 40:32 | 38 |
| სატურნი | 23 | 10 | 7 | 6 | 33:17 | 37 |
| ცსკა | 23 | 9 | 10 | 4 | 26:16 | 37 |
| სოკოლი | 23 | 10 | 5 | 8 | 24:29 | 35 |
| ანჟი | 23 | 6 | 9 | 8 | 22:24 | 27 |
| დინამო | 23 | 6 | 7 | 10 | 28:36 | 25 |
| როტორი | 23 | 6 | 6 | 11 | 28:33 | 24 |
| როსტსელმაში | 23 | 6 | 6 | 11 | 19:28 | 24 |
| ალანია | 23 | 6 | 6 | 11 | 22:34 | 24 |
| ტორპედო ზილ | 23 | 4 | 9 | 10 | 14:29 | 21 |
| ფაკელი | 23 | 5 | 4 | 14 | 19:35 | 19 |
| ჩერნომორეცი | 23 | 3 | 8 | 12 | 11:40 | 17 |



სპარტაკი — დინამო. მეორე გოლი „დინამოს“ კარში

## შვედეთი

მე-19 ტური: ჰეკენი — ელფსბორგი 1:3; ჰალმსტადი — სუნდსვალი 1:1; ნორჩიოპინგი — მალმიო 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 18 | 10 | 5 | 3 | 28:16 | 35 |
| იურგორდენი | 18 | 9 | 5 | 4 | 22:17 | 32 |
| გიოტებორგი | 18 | 8 | 6 | 4 | 30:23 | 30 |
| მალმიო | 19 | 8 | 4 | 7 | 31:27 | 28 |
| ჰალმსტადი | 19 | 7 | 6 | 6 | 37:24 | 27 |
| აიკ | 18 | 7 | 6 | 5 | 25:21 | 27 |
| ჰელსინგბორგი | 18 | 6 | 8 | 4 | 28:23 | 26 |
| იორგრიტე | 18 | 6 | 7 | 5 | 24:22 | 25 |
| ელფსბორგი | 19 | 7 | 4 | 8 | 29:34 | 25 |
| იორებრო | 18 | 5 | 9 | 4 | 33:30 | 24 |
| ნორჩიოპინგი | 19 | 5 | 6 | 8 | 22:32 | 21 |
| ჰეკენი | 19 | 4 | 6 | 9 | 23:29 | 18 |
| სუნდსვალი | 19 | 3 | 6 | 10 | 16:30 | 15 |
| ტრელებორგი | 18 | 3 | 4 | 11 | 21:41 | 13 |

## ნორვეგია

მე-20 ტური: ტრომსიო — ბოდიო გლიმტი 1:1; ბრინი — მოსი 1:4; ლილესტრიომი — სტაბეკი 2:1; ლინი — ბრანი 3:2; ოდ გრენლანდი — ვიკინგი 0:1; სოგნდალი — მოლდე 3:4; სტრიომსგოდსეტი — რუსენბორგი 2:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 20 | 13 | 5 | 2 | 58:24 | 44 |
| ლილესტრიომი | 19 | 13 | 3 | 3 | 48:25 | 42 |
| ვიკინგი | 20 | 12 | 5 | 3 | 37:21 | 41 |
| ბრანი | 20 | 11 | 4 | 5 | 55:33 | 37 |
| მოლდე | 20 | 10 | 4 | 6 | 43:34 | 34 |
| სტაბეკი | 20 | 11 | 1 | 8 | 37:33 | 34 |
| ოდ გრენლანდი | 19 | 9 | 4 | 6 | 36:26 | 31 |
| მოსი | 20 | 8 | 1 | 11 | 29:37 | 25 |
| ლინი | 20 | 5 | 7 | 8 | 35:37 | 22 |
| სოგნდალი | 20 | 6 | 4 | 10 | 32:47 | 22 |
| ბოდიო გლიმტი | 20 | 4 | 7 | 9 | 29:37 | 19 |
| სტრიომსგოდსეტი | 20 | 3 | 6 | 11 | 33:61 | 15 |
| ტრომსიო | 20 | 4 | 1 | 15 | 16:41 | 13 |
| ბრინი | 20 | 3 | 2 | 15 | 20:52 | 11 |

## დანია

მე-6 ტური: ოდენსე — მიდტიულანდი 0:2; აკადემისკი — ორჰუსი 0:0; ესბიერგი — ბრონდბიუ 0:7; ვაილე — ოლბორგი 1:3; ლიუნგბიუ — ვიბორგი 2:2; სილკებორგი — კოპენჰაგენი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 6 | 5 | 0 | 1 | 21:2 | 15 |
| ოლბორგი | 6 | 5 | 0 | 1 | 12:6 | 15 |
| კოპენჰაგენი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| ლიუნგბიუ | 6 | 2 | 4 | 0 | 7:4 | 10 |
| მიდტიულანდი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:3 | 9 |
| აკადემისკი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 8 |
| ვაილე | 6 | 2 | 2 | 2 | 10:11 | 8 |
| ვიბორგი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:8 | 6 |
| ოდენსე | 5 | 2 | 0 | 3 | 4:7 | 6 |
| ესბიერგი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:13 | 4 |
| ორჰუსი | 6 | 0 | 2 | 4 | 1:10 | 2 |
| სილკებორგი | 6 | 0 | 2 | 4 | 2:13 | 2 |

# ზამერს თვალი აეხილა



ვოლფსბურგი (მოყვ.) — დორტმუნდი. მოყვარულმა ინგო ვანდრეიკემ პროფესიონალი დორტმუნდელები შეარცხვინა

გერმანიის თასის გათამაშების პირველ რაუნდშივე აბეზარმა მოყვარულებმა და კერკეტმა ქვედალიგელებმა დიდი ამბები დაატრიალეს. ტურნირს თავიდანვე ბუნდესლიგის ხუთი კლუბი გამოაკლდა: „ზანქტ პაულიმ" „დარმშტადტთან" წააგო, „ნიურნბერგმა" – „ულმთან", „კოტბუსმა" – „იურდინგენთან", „ჰანზამ" – „ოსნაბრიუკთან", ხოლო ნაქებმა „დორტმუნდმა" სულაც ობერლიგის ვოლფსბურგელ მოყვარულებთან...



## გერმანია

### თასის 1/32 ფინალი

**იესილიურტი 2:4 ფრაიბურგი**

0:1 ტანკო (28), 1:1 იაკუბი (39), 1:2 იაშვილი (57), 2:2 პერკტასი (70), 2:3 მიულერი (74), 2:4 ბრუნსი (78)

ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, შუმანი (შერმელი 14), კელი, ვილი, ა. ცაიერი (ცქიტიშვილი 59), ტანკო, ვ. ბუტი, ზანდი (ბრუნსი 72), იაშვილი, კობიაშვილი

მსაჯი: ფოლკერ ფინკე

გაფრთხილება: კობიაშვილი

8 000 მაყურებელი

**ფრაიბურგი (მოყვ.) 0:1 შალკე**

0:1 სანდი (70)

ფრაიბურგი: როისი, კაუფმანი, კონდე, გენუ, ბოროცინო (ოსვალდი 63), ზამთარაძე, მიკიჩი (ზია 84), მანერი, გერბერი, დორნი (შვეპერი 86), ბრუნსი

მსაჯი: იურგენ ნიცელი

8 500 მაყურებელი

**ქემნიცი 2:5 კიოლნი**

1:0 ფროილიხი (7), 2:0 კრიგი (8), 2:1 შერცი (9), 2:2 დონკოვი (19), 2:3 კროიცი (42), 2:4, 2:5 შერცი (66, 75)

კიოლნი: ბადე, ცივიორი, კულმანი, რეები, ბალიტჩი, შპრინგერი (სინკალა 79), ვოიგტი, კროიცი, შერცი, ბარანეკი (კურტი 79), დონკოვი (რაიხი 64)

არჩილ არველაძე განაცხადში ვერ მოხვდა

მსაჯი: ევალდ ლინენი

4 330 მაყურებელი

ბაბელსბერგი — ჰერტა 1:2; ჰომბურგი — ჰამბურგი 2:5; ვიურცბურგი — მიუნხენი 0:10; იურდინგენი — კოტბუსი 1:0; ოსნაბრიუკი — ჰანზა 2:1; ბრიული — კაიზერსლაუტერნი 1:4; ლიუბეკი — ვერდერი 2:3; ვოლფსბურგი (მოყვ.) — დორტმუნდი 1:0; დარმშტადტი — ზანქტ პაული 3:1; რეგენსბურგი — ლევერკუზენი 0:3; შონბერგი — შტუტგარტი 2:4; მაინცი (მოყვ.) — მიონხენგლადბახი 0:0 (პენ.2:4); მაგდებურგი — ვოლფსბურგი 1:5; ულმი — ნიურნბერგი 2:1; კარლსრუე — ვალდჰოფი 2:5; უნიონი — დუისბურგი 1:0; ერფურტი — ალენი 2:2 (პენ.9:8); შტუტგარტი (მოყვ.) — ფიურტი 0:1; მანჰეიმი — ჰანოვერი 1:3; აალენი — ობერჰაუზენი 0:2; აუე — მაინცი 1:2დ.დ. (1:1); ზანქტ პაული (მოყვ.) — აინტრახტი 0:1დ.დ. (0:0); შტუტგარტ კიკერსი — უნტერჰახინგი 1:5; ტრირი — ალემანია 2:4დ.დ. (1:1); ვერდერი (მოყვ.) — ზაარბრიუკენი 5:0; შალკე (მოყვ.) — ბოხუმი 0:1; შიუტორფი — როიტლინგენი 1:4; კოტბუსი (მოყვ.) — არმინია 0:4. პადერბორნი — ბაიერნი წუხელ გვიან გაიმართა.

**მაინცის** მოყვარულებს ძლივს დაუძვრა „მიონხენგლადბახიც". ბუნდესლიგაში წლეულს აღზევებულმა ჰანს მაიერის გუნდმა დაბალლიგელებს დიდი ბრძოლის შემდეგ, დამატებით დროში მოუგო.

ერთი შეხედვით, თითქოს დაუჯერებელია, ამ გუნდების კლასში ხომ უზარმაზარი სხვაობაა. ეს იმას ჰგავს, ვთქვათ, რომელიმე ქართულმა გუნდმა რომ „დორტმუნდს" მოუგოს, თუმცა...

თასი თასია და ჩემპიონატისგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ პატარებსაც აქვთ თავის გამოჩენის შანსი. იჩენენ კიდეც. გაიხსენეთ, ვის მოუგო თასის შარშანდელ ფინალში „შალკემ"? ვის და მაშინ ჯერ კიდევ ჩრდილოეთ რეგიონალლიგის ბინადარ ბერლინის „უნიონს".

იმავ „დორტმუნდსაც" ოთხი წლის წინ უსახელო „ტრირთან" წაუგია. ამჯერად ზამერმა მგელ მოყვარულებს ლამის მეორე შემადგენლობა დაუპირისპირა და მერე თავისი გადაწყვეტილება ინანა. მასპინძელთა ნახევარმცველმა ინგო ვანდრეიკემ 64-ე წუთზე გაიტანა. ზამერმა, როცა მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო, მინდორზე როსიცკი, იან კოლერი და ამოროზო გაიყვანა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. სტუმართაგან თურმე მხოლოდ ლარს რიკენმა და იან დერეკ სორენსენმა ითამაშეს ისე, ბუნდესლიგის ლიდერი გუნდის ფეხბურთელს რომ ეკადრება: ამ თამაშმა ბევრ რამეზე ამიხილა თვალიო — თქვა მერე ჩაფიქრებულმა ზამერმა.

„დორტმუნდისგან" განსხვავებით საქმეს უფრო სერიოზულად მოეკიდნენ „კაიზერსლაუტერნი", „ლევერკუზენი" და „შალკე". მათ მასპინძელ ქვედალიგელებს ძირითადი შემადგენლობებით დასცხეს და აკი ბრძოლასაც აგრძელებენ. „ლევერკუზენმა" „რეგენსბურგს" კირსტენის, ლუსიოსა და შნაიდერის გოლებით 3:0 მოუგო. განსაკუთრებით ეფექტური მესამე გოლი ყოფილა, როცა ბერნდ შნაიდერს 50(!) მეტრიდან ზუსტად დაურტყამს...

„შალკემ", რომელსაც მხოლოდ ბელგიელი მპენზა აკლდა, 70 წუთს ვერ გატეხა ფრაიბურგელ მოყვარულთა წინააღმდეგობა, რომელთა შორის ჩვენი ზაზა ზამთარაძეც თამაშობდა და „კიკერისგან" 4.5 შეფასება მიიღო. გელზენკირხენელებს უმცირესობაში მოუხდათ თამაში. პირველი ტაიმის ბოლოს მათ პოლონელი ტომაშ ვალდოხი გაუძევეს. ერთადერთი გოლი კი ბოლო დროს მუცლისკუნთმტკივანმა და მწვრთნელ ჰუუბ სტევენსთან ნაკამათევმა დანიელმა ებე სანდმა გაიტანა.

ნამდვილმა „ფრაიბურგმა" კი კობიაშვილით, იაშვილითა და შეცვლაზე შესული ცქიტიშვილით „იესილიურტს" 4:2 მოუგო. ოთხიდან ერთი „იაშკამაც" გაიტანა. ისე, კერკეტი კი გამოდგა „იესილიურტი", ორჯერ აგებდა, ორივეჯერ გაათანაბრა და მხოლოდ ბოლო თექვსმეტ წუთში დაყარა ფარხმალი.

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**

მე-5 ტური: ბრაუნშვაიგი — ოსნაბრუკი 0:0; კილი — ლიუბეკი 2:5; ვერდერი (მოყვ.) — ქემნიცი 2:0; პადერბორნი — დრეზდენი 1:0; მიუნსტერი — იურდინგენი 0:2; აუე — მაგდებურგი 2:0; დიუსელდორფი — ფორტუნა 0:0; ლევერკუზენი (მოყვ.) — ესენი 1:3; ვატენშაიდი — ფერლი 3:1

**სამხრეთ რეგიონალლიგა**

მე-5 ტური: ელვესბერგი — ზიგენი 1:0; ვეჰენი — კაიზერსლაუტერნი (მოყვ.) 2:0; ფულდა — ოფენბახი 0:1; ანსბახი — ჰოფენჰაიმი 1:2; ბურგჰაუზენი — ბაიერნი (მოყვ.) 1:2. ხვალ: ტრირი — დარმშტადტი; 4 სექტემბერი: აალენი — ერფურტი; 5 სექტემბერი: მანჰეიმი — რეგენსბურგი; 11 სექტემბერი: შტუტგარტი (მოყვ.) — კიკერსი

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

## შვეიცარია

### A ჯგუფი. IX ტური

**ციურიხი 1:3 გრასჰოპერი**

0:1 ნუნიესი (11), 1:1 შასო (60), 1:2 შაპუიზა (72), 1:3 იპოლიტი (78)

ციურიხი: პასკოლო, ჩინაბი, პელინგა, კვენტინი, ფიშერი, მაგრო (ა. ბაუმანი 83), ბიულმანი, პალასი, ჯამარაული, ყაველაშვილი, შასო (ფ. გერერო 63)

მსაჯი: ჟორჟ ბრუგი

14 200 მაყურებელი

**ქსამაქსი 0:0 აარაუ**

აარაუ: ბენიტო, ვენტურა, ეგიმენი, სკრეპჩაკი, პეიჯი, მელუნოვიჩი (ვოიცეხოვსკი 66), და სილვა (დე ნაპოლი 64), შმიდი, ფრიდლი, ოკპალა (ბალდასარი 90), გიგაქსი

ლევან ხომერიკი სათადარიგო იყო

მსაჯი: როლფ ფრინგერი

6 400 მაყურებელი

**ბაზელი 5:1 ლუგანო**

0:1 მანინი (5), 1:1 კუმანტარაკისი (11), 2:1, 3:1 ხიმენესი (13, 52), 4:1 ა. იაკინი (69), 5:1 ხიმენესი (89)

**ლოზანა 3:2 ლუცერნი**

1:0 უდოვიჩი (9), 2:0 ტიავუ (44), 2:1 ვარელა (60), 3:1 სიმონი (73), 3:2 კუბი (81)

**სერვეტი 3:0 იანგ ბოისი**

1:0, 2:0 კომიზეტი (39, 75), 3:0 ობრადოვიჩი (82)

**სენტ გალენი 0:1 სიონი**

0:1 პუა (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 9 | 5 | 1 | 3 | 18:10 | 16 |
| ციურიხი | 9 | 4 | 4 | 1 | 15:11 | 16 |
| სერვეტი | 9 | 4 | 3 | 2 | 13:9 | 15 |
| იანგ ბოისი | 9 | 4 | 3 | 2 | 16:13 | 15 |
| გრასჰოპერი | 9 | 4 | 2 | 3 | 23:13 | 14 |
| ლუგანო | 9 | 4 | 2 | 3 | 13:14 | 14 |
| აარაუ | 9 | 3 | 4 | 2 | 12:9 | 13 |
| ქსამაქსი | 9 | 2 | 5 | 2 | 6:6 | 11 |
| ბაზელი | 8 | 3 | 2 | 3 | 16:18 | 11 |
| სენტ გალენი | 9 | 2 | 2 | 5 | 13:19 | 8 |
| ლოზანა | 8 | 2 | 2 | 4 | 10:16 | 8 |
| ლუცერნი | 9 | 0 | 2 | 7 | 8:25 | 2 |

### B ჯგუფი. X ტური

ბადენი — კონკორდია 4:0; ბელინცონა — ლოკარნო 3:1; კრიენსი — ვილი 0:2; თუნი — კარუჟი 3:0; ვადუცი — დელემონი 2:2; ვინტერთური — ივერდონი 3:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვინტერთური | 10 | 5 | 3 | 2 | 25:20 | 18 |
| ვილი | 10 | 5 | 2 | 3 | 22:15 | 17 |
| ბადენი | 10 | 4 | 4 | 2 | 20:11 | 16 |
| ვადუცი | 10 | 4 | 3 | 3 | 21:17 | 15 |
| თუნი | 10 | 4 | 3 | 3 | 17:17 | 15 |
| დელემონი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:13 | 15 |
| კრიენსი | 10 | 4 | 2 | 4 | 11:12 | 14 |
| კარუჟი | 10 | 3 | 4 | 3 | 10:12 | 13 |
| კონკორდია | 10 | 3 | 3 | 4 | 20:23 | 12 |
| ივერდონი | 10 | 2 | 4 | 4 | 12:17 | 10 |
| ბელინცონა | 10 | 3 | 1 | 6 | 11:18 | 10 |
| ლოკარნო | 10 | 2 | 2 | 6 | 11:18 | 8 |

## ბელგია

### III ტური

**ლიერსი 2:1 ანტვერპენი**

1:0 ლეენი (43), 1:1 მუსა (47), 2:1 სიკიმიჩი (87)

ლიერსი: ნიკოლოვსკი, პოორტერსი, სმეეტსი, ლეენი, სნოეკსი, მარდულიე, გადიაგა, დე როკი, იანსენსი (სიკიმიჩი 63), ფრიგარდი, სელსი

გელა შეყილაძე სათადარიგო იყო, მამუკა წერეთელი განაცხადში ვერ მოხვდა

მსაჯი: ვალტერ მეუსი

12 111 მაყურებელი

**აალსტი 2:1 ლოკერენი**

1:0 დიმბალა (17), 2:0 ალბრეხტი (62), 2:1 დე ბიული (74)

**ბრიუგე 6:1 ბევერენი**

1:0, 2:0 კლემენტი (3, 31), 3:0 ვერპეენი (36), 3:1 ვან რუმსტი (41), 4:1, 5:1 მენდოსა (83, 90), 6:1 ლანგე (90)

**ბეერსხოტი 1:1 ანდერლეხტი**

0:1 მორნარი (74), 1:1 სნელდერსი (89)

**გენკი 5:1 ლუვიე**

1:0 ტიისი (6პ), 2:0 დაგანო (20), 2:1 ტასსი (47პ), 3:1, 4:1, 5:1 სონკი (60, 71, 90)

**სტანდარდი 2:1 მოლენბეკი**

0:1 კოლოტილკო (23), 1:1, 2:1 გუსენსი (35, 38)

**შარლერუა 0:3 სენტ ტრუიდენი**

0:1 მბონაბუკია (14), 0:2, 0:3 ბოფინი (47, 79)

**გენტი 4:1 ვესტერლო**

1:0 ნილსენი (14), 2:0 ვანიჩი (16), 3:0 ნილსენი (57), 3:1 ვანიჩი (86ს.კ.), 4:1 ნილსენი (87)

**ლომელი 3:2 მუსკრონი**

1:0 მენესი (24), 2:0 ბარანიოსი (26), 2:1, 2:2 დე ფლიშაუვერი (36, 55), 3:2 კულეკი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 3 | 3 | 0 | 0 | 11:3 | 9 |
| გენტი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 9 |
| აალსტი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 9 |
| ანდერლეხტი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| სტანდარდი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| გენკი | 3 | 2 | 0 | 1 | 10:5 | 6 |
| სენტ ტრუიდენი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:7 | 6 |
| ლომელი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 6 |
| ლიერსი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ბეერსხოტი | 3 | 1 | 1 | 1 | 9:6 | 4 |
| შარლერუა | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| ანტვერპენი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ლოკერენი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| ბევერენი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:12 | 1 |
| მუსკრონი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | 0 |
| მოლენბეკი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | 0 |
| ვესტერლო | 3 | 0 | 0 | 3 | 3:9 | 0 |
| ლუვიე | 3 | 0 | 0 | 3 | 4:16 | 0 |

## პორტუგალია

### III ტური

**ვარზიმი 1:1 ბეირა მარი**

1:0 პროკოპენკო (3), 1:1 ... (48)

**ფერეირა 1:2 ლეირია**

0:1 ... (45პ), 1:1 ... (80), 1:2 დერლეი (81)

**ბრაგა 4:0 ფარენსე**

1:0 ედმილსონი (42), 2:0 ტიაგუ (45), 3:0 ზე რობერტუ (47), 4:0 კასტანეირა (76)

**ბოავიშტა 2:0 ბელენენსეში**

1:0 სილვა (59), 2:0 დუდა (90)

**სპორტინგი 0:1 ალვერკა**

0:1 ზარატე (83)

**ბენფიკა 3:2 სეტუბალი**

0:1 ფერეირა (21), 0:2 ენრიკე (30), 1:2, 2:2, 3:2 მანტორაში (32, 38, 70)

**სანტა კლარა 0:0 ჟილ ვისენტე**

**მარიტიმუ — პორტუ**

**სალგეირუში — გიმარაეში**

წუხელ გვიან დამთავრდა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| ჟილ ვისენტე | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ბოავიშტა | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| ალვერკა | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ლეირია | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ბრაგა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:2 | 4 |
| ბეირა მარი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| პორტუ | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ფერეირა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| მარიტიმუ | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სეტუბალი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| ბელენენსეში | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| გიმარაეში | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ფარენსე | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| სპორტინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| სანტა კლარა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ვარზიმი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| სალგეირუში | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## ჰოლანდია

### III ტური

**ფეიენოორდი 1:2 აიაქსი**

0:1 იბრაჰიმოვიჩი (64), 0:2 ვან დერ ვაარტი (81), 1:2 ტომასონი (90)

აიაქსი: გრიმი, ვერკლაუ, ტრაბელსი, კოვე, ბერგდოლმო, მაქსველი, იაკუბუ, ვან დერ ვაარტი, ვამბერტო (კნოპერი 79), მახლასი (იბრაჰიმოვიჩი 61), შ. არველაძე (პეიტინგა 70)

მსაჯი: კო ანდრიანსე

44 000 მაყურებელი

**ტილბურგი 3:1 პსვ ეინდჰოვენი**

1:0, 2:0 ბომბარდა (27, 62), 3:0 მატიასენი (64), 3:1 კეჟმანი (71)

პსვ ეინდჰოვენი: კრალი, ჰოფლანდი, ნიკიფოროვი (ბახოტაძე 60), ვან ბომელი, ფოგელი, რომედალი, ბუმა, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ბრუგინკი (დე იონგი 70), კეჟმანი, კოლინი (ვაელბერტი 73)

მსაჯი: ერიკ გერეტსი

14 500 მაყურებელი

**ჰერენვენი 5:0 ბრედა**

1:0 ლურლინგი (14), 2:0 ოლბოკი (37), 3:0 ტალანი (67), 4:0 დენებოომი (78), 5:0 ლურლინგი (86)

**დენ ბოსხი 4:0 სიტარდი**

1:0 მიხელსი (23), 2:0 მჯიზრატი (45), 3:0 ვან დერ ჰოორნი (48), 4:0 მჯიზრატი (82)

**ვალვაიკი 4:0 გრონინგენი**

1:0, 2:0 გუდიონსონი (12, 32პ), 3:0 ჰუგენდორპი (39პ), 4:0 კორნელისე (43)

**ალკმარი 3:0 სპარტა**

1:0, 2:0 ნელისე (2პ, 57), 3:0 ჰუიბერტსი (71)

**გრააფსხაპი 1:1 ნაიმეგენი**

1:0 შულპი (39), 1:1 დემუგე (88)

**ტვენტე 3:0 როდა**

1:0 ვან დერ ლაანი (32), 2:0 დე ვიტე (40), 3:0 ჰოტუიზენი (77)

**ვიტესი 1:0 უტრეხტი**

1:0 ცვაანცვიკი (79ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტვენტე | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ვიტესი | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 7 |
| ფეიენოორდი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:2 | 6 |
| ტილბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| ჰერენვენი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:0 | 4 |
| დენ ბოსხი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 4 |
| გრააფსხაპი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| აიაქსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| პსვ ეინდჰოვენი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:7 | 4 |
| ნაიმეგენი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| გრონინგენი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | 4 |
| სიტარდი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:5 | 4 |
| ბრედა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:8 | 4 |
| ვალვაიკი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:2 | 3 |
| ალკმაარი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| სპარტა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:9 | 3 |
| როდა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |
| უტრეხტი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის სუპერთასი

24 აგვისტო, 2001. მონტე კარლო. „ლუი II". 13 500 მაყურებელი (ტევადობა 20 000)

## ბაიერნი გერმანია 2:3 ლივერპული ინგლისი

0:1 რიისე (23), 0:2 ჰესკი (45), 0:3 ოუენი (46), 1:3 სალიჰამიჯიჩი (57), 2:3 იანკერი (82)

ოლივერ კანი, ვილი სანიოლი, რობერტ კოვაჩი, თომას ლინკე, პაბლო ტიამი, ბიქსენტ ლიზარაზუ, ოუენ ჰარგრივსი, ჩირიაკო სფორცა (ნიკო კოვაჩი 66), კლაუდიო პიზარო (როკე სანტა კრუზი 72), ჯოვანი ელბერი, ჰასან სალიჰამიჯიჩი (კარსტენ იანკერი 66)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

სანდერ ვესტერფელდი, მარკუს ბაბელი, სემი ჰიიპია, სტეფან ანშო, ჯეიმი კარაგერი, დიტმარ ჰამანი, სტივენ ჯერარდი (იგორ ბისკანი 66), გარი მაკალისტერი, იონ არნე რიისე (დენი მერფი 69), მაიკლ ოუენი (რობი ფაულერი 83), ემილ ჰესკი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

გაფრთხილება: ჰამანი (16)

მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

# ულიე ლიგას გულისხმობს

„ბაიერნმა" ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ მაინც ვერას გახდა ჩინებულად მოთამაშე და სამი ბურთით დაწინაურებულ „ლივერპულთან" — ევროპის სუპერთასმაც ლივერპულში დაიდო ბინა. ეს უკვე მეხუთე თასია, ჟერარ ულიეს გუნდმა წლეულს რომ მოიპოვა. ინგლისის ლიგის, ასოციაციის, სუპერთასისა („ჩარითი შილდი") და უეფას თასის გვერდით, ზემოთაც ვთქვით, ევროპის სუპერთასი დაიდგა. წინა ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის მომგები გუნდების შეხვედრას მონაკოში, ლუი II-ის სახელობის კოხტა სტადიონმა უმასპინძლა და მაყურებელმაც კარგი სანახაობა იხილა.

შტეფან ეფენბერგისა და მეჰმეთ შოლის არყოფნით წელგატეხილ „ბაიერნს" ძალიან გაუჭირდა. მოედნის ცენტრს ინგლისელები დაბატონებოდნენ ახალგამოჯანმრთელებული სტივენ ჯერარდის თამადობით, რიგიანად ირჯებოდა „ლივერპულის" ახალწვეული, 23 წლის ნორვეგიელი იონ არნე რიისეც. ესენი და გარი მაკალისტერი უხვად ამარაგებდნენ პასებით თავიანთ ფორვარდებს — ახმახ ზანგ ემილ ჰესკისა და ცქვიტ და მარდ მაიკლ ოუენს. ამას ბრიტანელთა დაცვის საიმედო თამაშსაც თუ დავუმატებთ, დამეთანხმებით, გერმანელებს მართლაც ვერ ექნებოდათ კარგად საქმე.

ინგლისურ გოლსაც დიდხანს არ დაუგვიანია. ჯერარდ-ოუენ-რიისეს კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა. ნორვეგიელის ახლო მანძილიდან დარტყმულს გერმანელთა მეკარე ოლივერ კანმა ვერაფერი მოუხერხა.

„ლივერპულს" გოლის მერეც არ მოუთქვია სული, მწყობრად უტევდა და ტაიმის მიწურულს ემილ ჰესკიმ ინგლისელები ორი ბურთით დააწინაურა — ჰესკი ტომას ლინკეს და პაბლო ტიამის შუა გაძვრა და კანს ბურთი თავზე გადაუგდო.

თავისი გაიტანა იმ დღეს ჩინებულად მოთამაშე მაიკლ ოუენმაც (აკი აღიარეს კიდეც მატჩის საუკეთესოდ), მეორე ტაიმის დასაწყისშივე ჩვეულად რომ ჩაუდრიბლინგა გერმანელებს და კანს აულებელი დაურტყა.

3:0, თასი ლივერპულში, ფიქრობდნენ ალბათ ინგლისელები, მაგრამ საქმეში ხარ?

ჯერ იყო და, ჩია ჰასან სალიჰამიჯიჩი სჯობნის ნაქებ ლივერპულელ მცველებს და თავურით ერთ ბურთს ქვითავს, მერე შეცვლაზე შესული კარსტენ იანკერი მატჩის დასრულებამდე 8 წუთით ადრე ასევე მოხდენილი თავურით შეხვედრას მეტ ინტრიგას მატებს, თუმც ეს იყო და ეს, მიუხედავად გერმანელთა და მეტოქის საჯარიმოში შეჭრილი ოლივერ კანის თავგამოდებისა, ულიეს შეგირდებმა ჰიცფელდის ბიჭებს აჯობეს და გერმანელები წლეულსაც ევროპის სუპერთასის გარეშე დატოვეს.

„ლივერპულის" კაპიტანმა ჯეიმი რედნაპმა, ვიცეკაპიტნებმა რობი ფაულერმა და ფინელმა სემი ჰიიპიამ წლეულს მეხუთე თასი ასწიეს და მათ ფრანგ მწვრთნელ ჟერარ ულიეს ნამატჩევს ათქმევინეს: „ჩვენ გვყავს გუნდი, რომელსაც ნებისმიერი ჩანაფიქრის აუცილებლად შესრულება შეუძლია."

თასდაჩვეული „ლივერპული", ალბათ, ჩემპიონთა თასსაც წაეთამაშება...

**ბახა ხურციძე**



REUTERS

„ლივერპული" და სუპერთასი

## ავსტრია

მე-9 ტური: ადმირა — რაპიდი 0:0; აუსტრია — ბრეგენცი 1:0; ზალცბურგი — გრაცერი 2:1; შტურმი — რიდი 2:0; ტიროლი — კერნტენი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 8 | 6 | 2 | 0 | 19:0 | 20 |
| შტურმი | 8 | 6 | 1 | 1 | 17:5 | 19 |
| გრაცერი | 9 | 4 | 2 | 3 | 18:10 | 14 |
| აუსტრია | 9 | 3 | 4 | 2 | 13:11 | 13 |
| ზალცბურგი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:9 | 12 |
| რაპიდი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:15 | 11 |
| კერნტენი | 9 | 3 | 2 | 4 | 8:15 | 11 |
| რიდი | 9 | 2 | 4 | 3 | 15:15 | 10 |
| ბრეგენცი | 9 | 1 | 3 | 5 | 5:20 | 6 |
| ადმირა | 9 | 1 | 1 | 7 | 7:21 | 4 |

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## აზია. II წრე

B ჯგუფი. II ტური

ჩინეთი 3:0 საამიროები

1:0 ლი ხაოჟენგი (2), 2:0 კი ჰონგი (19), 3:0 ჰაო ჰაიდონგი (33)

უზბეკეთი 2:1 ყატარი

1:0 ირისმეტოვი (37), 2:0 კასიმოვი (51), 2:1 ალ ტამიმი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| საამიროები | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| უზბეკეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| ომანი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ყატარი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

## ინგლისი

ლიგის თასი

II ეტაპის წილისყრა

ნოტინგემ ფორესტი — სტოკპორტი; როტერჰემი — ბრედფორდი; დერბი ქაუნთი — ბალი; ნიუკასლი — ბრენტფორდი; ნოთს ქაუნთი — მანჩესტერ სიტი; პიტერბორო — ქოვენტრი; ბრისტოლ როვერსი — ბირმინგემი; ტოტენჰემი — ტორკი; ბრისტოლ სიტი — უოტფორდი; ბრაიტონი — საუთჰემპტონი; ბლექბერნი — ოლდემი; ქრიუ — რაშდენ ენდ დაიმონდსი; მიდლსბრო — ნორთჰემპტონი; ჩარლტონი — პორტ ვეილი; ვესტ ბრომვიჩი — სუინდონი; როჩდეილი — ფულემი; რედინგი — ვესტ ჰემი; გრიმსბი — შეფილდ იუნაიტედი; ევერტონი — კრისტალ პალასი; ბლექპული — ლესტერი; კოლჩესტერი — ბარნსლი; ჯილინგემი — მილუოლი; ტრანმერი — პრესტონი; ბოლტონი — უოლსოლი; შეფილდ უენსდი — სანდერლენდი

მატჩები გაიმართება 10 სექტემბერს

## ჩეხეთი

მე-5 ტური: ბანიკი — პრადეც კრალოვე 1:0; ტეპლიცე — სლავია 1:2; ბრნო — იაბლონეცი 2:0; ბოჰემიანსი — დრნოვიცე 1:0; სინოტი — ქიქკოვი 0:1; ბლშანი — სიგმა 3:1; სპარტა — პრჟიბრამი 1:0; ლიბერეცი — ოპავა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოჰემიანსი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:3 | 12 |
| ქიქკოვი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:3 | 12 |
| სლავია | 5 | 4 | 0 | 1 | 14:9 | 12 |
| ბანიკი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:5 | 12 |
| ლიბერეცი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| ბლშანი | 5 | 3 | 0 | 2 | 11:8 | 9 |
| სპარტა | 5 | 3 | 0 | 2 | 9:6 | 9 |
| იაბლონეცი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| ბრნო | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| სინოტი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| დრნოვიცე | 5 | 2 | 0 | 3 | 7:7 | 6 |
| სიგმა | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | 5 |
| პრჟიბრამი | 5 | 1 | 0 | 4 | 5:11 | 3 |
| ჰრადეც კრალოვე | 5 | 1 | 0 | 4 | 3:15 | 3 |
| ოპავა | 5 | 0 | 1 | 4 | 5:11 | 1 |
| ტეპლიცე | 5 | 0 | 1 | 4 | 1:8 | 1 |

## თურქეთი

მე-3 ტური: გაზიანთეფი — დენიზლი 0:0; გიოზთეფე — სამსუნი 2:1; ქოჯაელი — მალათია 2:0; ბეშიქთაში — დიარბაქი 4:0; გენჩლერბირლიგი — ისთანბული 0:1; ფენერბაჰჩე — ანკარაგიუჯიუ 4:1; რიზე — გალათასარაი 3:6; ტრაბზონი — ბურსა 5:0; ანთალია — იოზგათი 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრაბზონი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| გიოზთეფე | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| ისთანბული | 3 | 3 | 0 | 0 | 3:0 | 9 |
| გალათასარაი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| ქოჯაელი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ანკარაგიუჯიუ | 3 | 2 | 0 | 1 | 15:5 | 6 |
| ფენერბაჰჩე | 3 | 2 | 0 | 1 | 7:2 | 6 |
| დენიზლი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:1 | 4 |
| ბეშიქთაში | 3 | 1 | 1 | 1 | 7:4 | 4 |
| იოზგათი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:9 | 4 |
| გენჩლერბირლიგი | 3 | 0 | 2 | 1 | 6:7 | 2 |
| გაზიანთეფი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| რიზე | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 |
| სამსუნი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| დიარბაქი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:10 | 1 |
| ბურსა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:9 | 1 |
| ანთალია | 3 | 0 | 1 | 2 | 5:14 | 1 |
| მალათია | 3 | 0 | 0 | 3 | 0:9 | 0 |

## ფინეთი

24-ე ტური: ტური. ჯაზი — ინტერი 0:1; იოკერიტი — ატლანტისი 3:1; კუოპიო — როვანიემი 0:0; ვაასა — მიუპა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 24 | 13 | 7 | 4 | 36:20 | 46 |
| ჰიკ | 23 | 12 | 8 | 3 | 43:13 | 44 |
| ტამპერე | 23 | 13 | 5 | 5 | 35:26 | 44 |
| ინტერი | 25 | 12 | 4 | 9 | 36:32 | 40 |
| ჰაკა | 21 | 10 | 5 | 6 | 32:18 | 35 |
| ატლანტისი | 23 | 8 | 8 | 7 | 29:30 | 32 |
| ვაასა | 22 | 8 | 2 | 12 | 26:36 | 26 |
| იოკერიტი | 24 | 7 | 5 | 12 | 26:39 | 26 |
| ლაჰტი | 22 | 6 | 6 | 10 | 27:32 | 24 |
| როვანიემი | 24 | 5 | 7 | 12 | 19:34 | 22 |
| კუოპიო | 23 | 5 | 7 | 11 | 17:32 | 22 |
| ჯაზი | 24 | 4 | 8 | 12 | 21:35 | 20 |

## პოლონეთი

A ჯგუფი. VI ტური

გურნიკი — კატოვიცე 1:1; ოსტროვიცე — ვიძევი 3:0; პოლონია — ოდრა 2:2; ვისლა — ზაგლებე 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 6 | 4 | 1 | 1 | 12:6 | 13 |
| ოდრა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:7 | 10 |
| პოლონია | 6 | 2 | 3 | 1 | 11:8 | 9 |
| კატოვიცე | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 8 |
| ზაგლებე | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| ოსტროვიცე | 5 | 1 | 2 | 2 | 5:4 | 5 |
| გურნიკი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | 5 |
| ვიძევი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:11 | 3 |

B ჯგუფი. VI ტური

რადომსკო — ამიცა 2:2; რუხი — შლიონსკი 2:2; პოგონი — გროცლინი 1:0; სტომილი — ლეგია 1:6

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამიცა | 6 | 4 | 2 | 0 | 13:7 | 14 |
| პოგონი | 6 | 3 | 3 | 0 | 8:3 | 12 |
| ლეგია | 6 | 3 | 1 | 2 | 14:6 | 10 |
| შლიონსკი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:10 | 7 |
| გროცლინი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:10 | 7 |
| რადომსკო | 6 | 1 | 2 | 3 | 4:8 | 5 |
| სტომილი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:13 | 5 |
| რუხი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:12 | 5 |

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## ევროპა
### ჩვენი ჯგუფი

1 სექტემბერი. ვილნიუსი. მსაჯი: მარიო ვან დერ ენდე (ჰოლანდია)

### ლიტვა — იტალია

იტალიის ნაკრების შემადგენლობა

*მეკარეები:* ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი);

*მცველები:* ვალერიო ბერტოტო (უდინეზე), ფაბიო კანავარო (პარმა), პაოლო მალდინი (მილანი), მარკო მატერაცი (ინტერი), ალესანდრო ნესტა (ლაციო), ფრანჩესკო კოკო (მილანი), ჯუზეპე პანკარო (ლაციო);

*ნახევარმცველები:* სტეფანო ფიორე (ლაციო), ჯენარო გატუზო (მილანი), ალესიო ტაკინარდი (იუვენტუსი), დამიანო ტომაზი (რომა), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი), ლუჩანო ძაური (ატალანტა);

*თავდამსხმელები:* ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი), ფილიპო ინძაგი (მილანი), ვინჩენცო მონტელა, ფრანჩესკო ტოტი (ორივე რომა), კრისტიან ვიერი (ინტერი)

5 სექტემბერი. ბუდაპეშტი. მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)

### უნგრეთი — რუმინეთი

რუმინეთის ნაკრების შემადგენლობა

*მეკარეები:* ბოგდან ლობონტი (აიაქსი, ჰოლანდია), ემილიან დოლია (რაპიდი), ბოგდან ვინტილია (არჯეში);

*მცველები:* კოზმინ კონტრა (მილანი, იტალია), ჯანი კირიტა (დინამო), იულიან ფილიპესკუ (ბეტისი, ესპანეთი), გეორგე პოპესკუ (ლეჩე, იტალია), მირელ რადოი (სტიაუა), ადრიან იენჩი (რაპიდი), კრისტიან კივუ (აიაქსი, ჰოლანდია), დან ლაკუსტა (ასტრა);

*ნახევარმცველები:* ფლორენტინ დუმიტრუ (სტიაუა), ფლორიან პარვუ (დინამო), დორინელ მუნტიანუ (ვოლფსბურგი, გერმანია), მიჰაი ტარარაჩე (გრასჰოპერი, შვეიცარია), იოან საბაუ (რაპიდი), ადრიან მუტუ (ვერონა, იტალია), ლაურენტიუ როსუ (ნუმანსია, ესპანეთი);

*თავდამსხმელები:* იონელ განია (შტუტგარტი, გერმანია), მარიუს ნიკულაე (სპორტინგი, პორტუგალია), ადრიან მიჰალჩია (დინამო), ადრიან ილიე (ვალენსია, ესპანეთი)

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

სარბიელი
სპორტული ლატარია
CROCO
BOOKMAKERS
კროკო
კროკოს ბიუროთა მისამართები:
თბილისში — ფურცელაძის ქუჩა,
კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან,
ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41
ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16
(ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23
ბათუმში — მემედ აბაშიძის
(ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113,
ფიროსმანის ქუჩა №7
ქობულეთში — აღმაშენებლის ქუჩა №106
მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39
გურჯაანში — დავით გურამიშვილის ქუჩა №28

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). VI ტური. 31 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 001 | ოსნაბრიუკი-აუე | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| | | **1 სექტემბერი** | | | |
| 17.00 | 002 | ქემნიცი-მუნსტერი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 17.00 | 003 | ლიუბეკი-ბრაუნშვაიგი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 17.00 | 004 | ფერლი-ლევერკუზენი (მ.) | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 17.00 | 005 | დრეზდენი-ვერდერი (მ.) | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 17.00 | 006 | ურდინგენი-კილი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 007 | ურდინგენი-კილი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | | **2 სექტემბერი** | | | |
| 17.00 | 008 | მაგდებურგი-ვატენშაიდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 009 | ესენი-დიუსელდორფი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). V ტური. 29 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 010 | ტრირი-დარმშტადი | 1,7 | 3,3 | 4,2 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). VI ტური. 1 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 011 | რეგენსბურგი-ელვერსბერგი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 18.00 | 012 | კიკერსი-მანჰაიმი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 18.00 | 013 | დარმშტადი-ვეჰენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 18.00 | 014 | ჰოფენჰაიმი-აალენი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| | | **2 სექტემბერი.** | | | |
| 18.00 | 015 | კაიზერსლ.(მ.)-ბურგჰაუზენი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 20.00 | 016 | ზიგენი-ფულდა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 21.00 | 017 | ოფენბახი-ტრირი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

**ინგლისი. I დივიზიონი. IV ტური 28 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 018 | ქრიუ-მილუოლი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**ინგლისი. II დივიზიონი. IV ტური. 28 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 021 | ოლდემი-ნორთჰემპტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**ინგლისი. II დივიზიონი. V ტური. 30 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 022 | ქუინზ პარკი-ბრისტოლი | 2,1 | 3,1 | 3,2 |

**ინგლისი. III დივიზიონი. IV ტური. 28 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 030 | შრიუსბერი-იორკი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. VI ტური. 28 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 041 | სტ. ეტიენი-აიაჩო | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| | | **29 აგვისტო.** | | | |
| 23.00 | 042 | ბოვე-ლავალი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 043 | კაენი-ამიენი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 23.00 | 044 | შატორუ-ლე ავრი | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 23.00 | 045 | კრეტეი-გენიონი | 2,7 | 2,8 | 2,5 |
| 23.00 | 046 | გრენობლი-ვალკეალი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 047 | ლე მანი-მარტიგი | 1,95 | 2,8 | 4,0 |
| 23.00 | 048 | ნანსი-ნიცა | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.00 | 049 | ნიმი-ისტრი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 23.00 | 050 | ნიორი-სტრასბური | 2,5 | 2,9 | 2,6 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. II ტური. 1 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 079 | ეიბარი-ატლეტიკო | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | **2 სექტემბერი.** | | | |
| 21.00 | 080 | ესტრემადურა-სერესი | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 21.00 | 081 | ბურგოსი-ხიმნასტიკი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 21.00 | 082 | ხაენი-ეხიდო | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 21.00 | 083 | ფეროლი-მურსია | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 21.00 | 084 | ლეგანესი-ელჩე | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 21.00 | 085 | ლევანტე-კორდობა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 21.00 | 086 | სალამანკა-ალბასეტე | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 21.00 | 087 | უელვა-ნუმანსია | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 21.00 | 088 | სპორტინგი-ბადახოსი | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 22.00 | 089 | რასინგი-ოვიედო | 1,8 | 3,0 | 4,2 |

**პორტუგალია. I ლიგა. გადადებული მატჩი. 2 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 090 | სანტა კლარა-ალვერკა | 2,1 | 2,9 | 3,4 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. III ტური. 31 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 091 | კამბური-როზენდალი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.00 | 092 | იგლსი-ემენი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 23.00 | 093 | ჰერაკლესი-ექსელსიორი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 23.00 | 094 | მაასტრიხტი-ეინდჰოვენი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 23.00 | 095 | ტელსტარი-ჰელმონდი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 096 | ვენლო-ოსი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 097 | დორდრეხტი-ვეენდამი | 1,95 | 3,2 | 3,4 |

**2 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 098 | ვოლენდამი-ზვოლე | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 17.30 | 099 | ჰაარლემი-დენ ჰააგი | 2,3 | 3,2 | 2,7 |

**ბელგია. II დივიზიონი. II ტური.**
**29 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 100 | დენდერლეუ-გეელი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.30 | 101 | რონსე-ვირტონი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 23.00 | 102 | ლიეჟი-დაინცე | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 23.00 | 103 | მეხელენი-ჰეუსდენი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.00 | 104 | პატრო-ვისეტი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 23.00 | 105 | რუსელარე-მონსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 106 | სერკლი-ფლაანდერენი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 23.00 | 107 | ინგელმუნსტერი-ტინენი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.00 | 108 | დესელი-სტრომბეკი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

**შვეიცარია. Á ჯგუფი. XI ტური.**
**30 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 118 | ბადენი-ვადუცი | 1,85 | 3,1 | 3,8 |

**2 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 119 | ვილი-კარუჟი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.15 | 120 | კონკორდია-კრინსი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.15 | 121 | დელემონი-ვინტერთური | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.15 | 122 | ლოკარნო-თუნი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 19.15 | 123 | ივერდონი-ბელინცონა | 1,85 | 3,2 | 3,6 |

**ფინეთი. გადადებული მატჩი**
**30 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 124 | როვანიემი-ჰაკა | 3,0 | 3,1 | 2,2 |

**იტალია. თასი. I ეტაპი**
**29 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 136 | ჯენოა-ბარი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.45 | 137 | ტრევისო-არეცო | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 23.00 | 138 | კომო-ვენეცია | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.30 | 139 | კოსენცა-ასკოლი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 23.30 | 140 | სიენა-ლივორნო | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 23.30 | 141 | პალერმო-ნაპოლი | 2,9 | 2,9 | 2,4 |
| 23.30 | 142 | კალიარი-ლუმეცანე | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| 23.30 | 143 | მოდენა-რეჯინა | 2,7 | 2,8 | 2,5 |
| 23.30 | 144 | ჩიტადელა-აველინო | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 23.45 | 145 | მონცა-სამპდორია | 3,0 | 29 | 2,3 |
| 23.30 | 146 | მესინა-ვიჩენცა | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.30 | 147 | კროტონე-პესკარა | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.45 | 148 | ტერნანა-კიევო | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 24.00 | 149 | პისტოიესე-პრატო | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 23.30 | 150 | კატანია-ანკონა | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.30 | 151 | ემპოლი-სალერნიტანა | 2,0 | 2,8 | 3,8 |

**პოლონეთი. ლიგის თასი. IV ეტაპი. I წრე.**
**29 ავისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 152 | ოსტროვეცი-ვისლა | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 20.00 | 153 | რუხი-რადომსკო | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.00 | 154 | ლეგია-გურნიკი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 20.00 | 155 | გროცლინი-კატოვიცე | 1,85 | 3,1 | 3,8 |

**30 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 156 | პოლონია-ოდრა | 1,6 | 3,3 | 5,3 |

**მერკოსურის თასი.**
**29 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 501 | უნ. კატოლიკა (ჩილე)-სერო პორტ. (პარაგვაი) | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**მერკონორტეს თასი.**
**28 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 07.10 | 502 | ნეკასა (მექსიკა)-ამერიკა (კოლუმბია) | 1,75 | 3,1 | 4,2 |

**29 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 503 | ბარსელონა (ეკვადორი)-ვიზარდსი (აშშ) | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 06.10 | 504 | მილიონარ. (კოლუმბია)-მეტროსტარსი (აშშ) | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**30 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.10 | 505 | ბლუმინგი (ბოლივია)-ატლ.ნასიონალი (კოლ.) | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**შესარჩევი მატჩები.**
**1 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 506 | ირლანდია-ჰოლანდია | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 19.00 | 507 | ისლანდია-ჩეხეთი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 19.00 | 508 | მოლდოვა-აზერბაიჯანი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 509 | უელსი-სომხეთი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 510 | შოტლანდია-ხორვატია | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 511 | აშშ-ჰონდურასი | 1,65 | 3.1 | 5,3 |
| 20.45 | 512 | პოლონეთი-ნორვეგია | 1,7 | 3.2 | 4,4 |
| 21.00 | 513 | ფარერები-ლუქსემბურგი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 514 | ბელარუსი-უკრაინა | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 21.00 | 515 | საქართველო-უნგრეთი | ანგარიში | – | 5,0 |
| 22.00 | 516 | ალბანეთი-ფინეთი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 22.15 | 517 | დანია-ჩრდ. ირლანდია | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 518 | დანია-ჩრდ.ირლანდია 0:1 | 1,75 | 3,0 | 3,2 |
| 22.30 | 519 | გერმანია-ინგლისი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.45 | 520 | სლოვაკეთი-თურქეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 521 | მალტა-ბულგარეთი | 9,0 | 5,0 | 1,25 |
| 23.00 | 522 | მაკედონია-შვედეთი | 5,0 | 3,4 | 1,6 |
| 23.15 | 523 | შვეიცარია-იუგოსლავია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.15 | 524 | სლოვენია-რუსეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.15 | 525 | ბოსნია-ისრაელი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 23.45 | 526 | ლიტვა-იტალია | 9,0 | 5,0 | 1,25 |
| 01.00 | 527 | ანდორა-პორტუგალია | 16,0 | 8,0 | 1,03 |
| 01.00 | 528 | ესპანეთი-ავსტრია | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 529 | ესპანეთი-ავსტრია 0:1 | 1,75 | 3,0 | 3,2 |
| 01.00 | 530 | ტრინიდადი-კოსტა რიკა | 3,6 | 3,1 | 1,9 |

**2 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 02.00 | 531 | იამაიკა-მექსიკა | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ევროპის ახალგაზრდული (21 წლამდე) ჩემპიონატი.**
**31 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 551 | მოლდოვა-აზერბაიჯანი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 552 | ქლიტვა-იტალია | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| 19.30 | 553 | პოლონეთი-ნორვეგია | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 20.00 | 554 | სლოვაკეთი-თურქეთი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.00 | 555 | ბელარუსი-უკრაინა | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 20.00 | 556 | საქართველო-უნგრეთი | ანგარიში | – | 5,0 |
| 20.30 | 557 | ალბანეთი-ფინეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 558 | მალტა-ბულგარეთი | 7,5 | 4,0 | 1,35 |
| 22.00 | 559 | ირლანდია-ჰოლანდია | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 22.00 | 560 | დანია-ჩრდ. ირლანდია | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 22.00 | 561 | ისლანდია-ჩეხეთი | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 22.30 | 562 | შვეიცარია-იუგოსლავია | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.30 | 563 | გერმანია-ინგლისი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 23.30 | 564 | უელსი-სომხეთი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.30 | 565 | შოტლანდია-ხორვატია | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 01.00 | 566 | ესპანეთი-ავსტრია | 1,25 | 5,0 | 9,0 |

**1 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 567 | სლოვენია-რუსეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 568 | მაკედონია-შვედეთი | 7,0 | 3,8 | 1,4 |
| 21.00 | 569 | ბოსნია-ისრაელი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


1 აგვისტოდან კროკო
ხუთშაბათობითაც მუშაობს.
დასვენების დღე
მხოლოდ ორშაბათია.
სამუშაო დღეებია: სამშაბათი,
ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი,


## შპს „კროკოს“ ადმინისტრაცია

# გაფრთხილებთ!

ფოთში, მისამართზე რკალი 5, მუშაობს თვითმარქვია ტოტალიზატორი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო შპს „კროკოსთან“. შესაბამისად, შპს „კროკო“ აღნიშნული თვითმარქვია ტოტალიზატორის მუშაობაზე არანაირ პასუხისმგებლობას არ კისრულობს და შესაძლო პრეტენზიებს არ განიხილავს.

**ფოთში დღესდღეობით „კროკოს“ ბიურო არ არსებობს.**

არალეგალური საქმიანობა ისჯება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. შპს „კროკოს“ ადმინისტრაცია კომპეტენტურ ორგანოებს შესაბამისი რეაგირებისთვის მიმართავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი
25 აგვისტო. იამბოლი. დაიანა ჰოლი

## ბულგარეთი 85:66 საქართველო

27:9, 11:18, 23:11, 24:28

ბულგარეთი: სტოიკოვი (30), მინჩევი (10), რავუცოვი (10), ნატოვი (12), მლადენოვი (4), პეტროვი (4), ანგელოვი (8), დიმიტროვი (7), კოეშინოვი, ბანევი
საქართველო: ტლენტი (9), თორთლაძე, ხოშტარია (7), გოგობერიშვილი (14), კოკოლიშვილი, ბოისა (15), ნაცვლიშვილი (8), ცქიტიშვილი (4), მუშკუდიანი (2), ფაჩულია (7)
მსაჯები: ვინაში (რუმინეთი), ქეშერათირი (თურქეთი)

# სიტყვის კაცი

## ბულგარელებმა ქართველებს დანაქადი იამბოლში აუსრულეს



ტეოდორ სტოიკოვის შემჩერებელი ქართველთა შორის არავინ იყო

**ორიოდ** თვის წინ იმედის სხივით განათებული ქართული კალათბურთის მომავალი კვლავ ბურუსმა მოიცვა. დიდი შანსია, უახლოესი ორი წელი ქართულმა კალათბურთმა ისევე სრულ იზოლაციაში გაატაროს. ანუ თუ საქართველოს ნაკრებმა ხვალ ბელარუსშიც ისევე ითამაშა, როგორიც ბულგარეთში, ქართველები ევროპული კალათბურთის მზეს კიდევ კარგა ხანს ვერ იხილავენ.

ყველაფერი კი სულ მცირე ხნის წინ დაიწყო, როცა საქმის ნახევრად მომგვარებელ ბიჭებს შეკრების მოწყობაზე უარი სტკიცეს. ნიჭი ნიჭად, მაგრამ მხოლოდ ამის ამარა საერთაშორისო სარბიელზე რომ ვერას გახდები, ეს ბევრჯერ დადასტურდა, და არა მხოლოდ კალათბურთში. რაც ჩვენი ნაკრების ბანაკში თამაშამდე ხდებოდა, გუნდი რა პირობებშიც ემზადებოდა, ამაზე ჩვენ წერით, თქვენ კი კითხვით დაიღალეთ, მაგრამ ამის მიუხედავად, ბიჭები იმედიანად იყვნენ, ხოლო ყველაზე თავშეკავებული მათი მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე იყო.

ორიოდ დღით კიევში ვარჯიშისა და უკრაინის ნაკრებთან საკონტროლოდ გაჯიბრების შემდეგ ქართველებმა სოფიისკენ აიღეს გეზი, მაგრამ არა წინასწარდაგეგმილი, საჰაერო, არამედ სარკინიგზო ტრანსპორტით. ეს მომენტი აღნიშვნის ღირსად იმიტომ მივიჩნიეთ, რომ ვისაც ერთხელ მაინც უმგზავრია მატარებლით, კარგად ეცოდინება იქ არსებული საწოლის გაბარიტები. ხოლო ორ მეტრს აცილებული ადამიანი მასზე როგორ ღამეს გაატარებს, ამის მიხვედრას დიდი ტვინის ჭყლეტა არ სჭირდება. ბულგარეთში ჩასულთ არც იქაურ სასტუმროში დახვედრიათ საუცხოო პირობები, თუმცა ყველაფერი ზემოთ თქმულის მიუხედავად, ქართველების მეორე დღეს ბულგარელებთან ნათამაშევ მატჩს არანაირი გამართლება არა აქვს. ვერც იმით ვიმართლებთ თავს, რომ მატჩის წინა ღამეს ნიკა ცქიტიშვილსა და ზაზა ფაჩულიას მაღალი სიცხე ჰქონდათ. ამის თავიდან ასაცილებლად არსებობს გუნდის ექიმი, რომელმაც ყველა მოსალოდნელი საფრთხე უნდა გაითვალისწინოს და დროულად აღმოფხვრას. თუმცა, იყო იქ საერთოდ ექიმი? თუ არა, ესეც საქართველოს ნაკრების პრობლემაა და არა სხვისი.

თვითონ მატჩზე რა უნდა ითქვას? არაფერი ისეთი რაც ქართველ გულშემატკივარს გულს გაუხარებს. ქართველებმა ისევე უსახურად დაასრულეს თამაში, როგორც დაიწყეს.

თუმც იყო მატჩის მანძილზე მომენტები, როცა ჩვენები აშკარად ჯაბნიდნენ ბულგარელებს, მაგრამ ეს ისე მცირე ხნით და იშვიათად ხდებოდა, ამაზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. ქართველებმა წარმოუდგენლად უნიათოდ დაიწყეს და წინ გაჭრილ ბულგარელებს ჯარიმებითღა უმკლავდებოდნენ, რასაც თურქი მსაჯის ზედმეტი პედანტურობაც დაერთო და პირველი მეოთხედის შუაწელში ფაჩულიას უკვე სამი პერსონალური დაუგროვდა, რაც ქართველთათვის კატასტროფის ტოლფასი იყო, რადგან დავით უგრეხელიძის არყოფნაში ტომარაძის შეგირდები ერთადერთი ცენტრის, დავით მუშკუდიანის ამარა რჩებოდნენ, რომელიც ორიოდე დღის წინ შეუერთდა გუნდს. ამიტომ ტომარაძემ ფაჩულია დებიუტშივე სათადარიგოთა შორის გაიხმო და კარგა ხანს იქ მიუჩინა ადგილი. მაგრამ შემდეგ მოხდა ის, რითაც ქართველებს დიდად შეეძლოთ ეხეირათ. ბულგარეთის ბოლო ორი წლის საუკეთესო კალათბურთელმა ლიუბომირ მინჩევმა, რომელმაც ჩვენებს 3 ივნისს სპორტის სასახლეშიც დიდი თავსატეხი გაუჩინა, მას შემდეგ, რაც საწყის წუთებში ათი ქულა მოინაგრა, პირველი მეოთხედის ბოლოსკენ მუხლის ტრავმა მიიღო, მოედანი დატოვა და აღარც დაბრუნებულა. იმის მაგივრად, რომ სტუმრებს ამით ესარგებლათ, პირიქით, ბულგარელებმა აიწყვიტეს და მეოთხედის ბოლომდე მათი შემჩერებელი ქართველთაგან ველარავინ აღმოჩნდა. მინჩევის თამაშიდან გამოთიშვის შემდეგ გუნდის ლიდერის ფუნქციები ახალგაზრდა ტეოდორ სტოიკოვმა იტვირთა და ეს მას გამოცდილ კალათბურთელზე ნაკლებად არ გამოსვლია. მასპინძლებმა აღებული სწრაფი ტემპი არ დააგდეს და მეოთხედის ბოლოს უპირატესობა 18-ქულიანი გახადეს — 27:9.

ამის შემდეგ დადგა ის ერთი მომენტი, რომლითაც ერთობ მწირი იყო ეს მატჩი. ქართველებმა, უპირატესობა ხელთ იგდეს და ანგარიშის შემცირება იწყეს, თუმც ამან დიდხანს არ გასტანა. მართალია, საქართველოს ნაკრებმა მეორე მეოთხედი მოიგო და დიდ შესვენებაზე 11-ქულიანი ჩამორჩენით გავიდა, მაგრამ სლავები მალევე მოეგნენ გონს და პირთამდე გავსებულ დარბაზში, გულშემატკივართა გამაყრუებელი ყიჟინის თანხლებით, კვლავ იწყეს ქართველთა რბევა. სტოიკოვს, რომელმაც საბოლოოდ 30 ქულას მოუყარა თავი, მიზანი იშვიათად ღალატობდა. ის ქართველთა ფარის დალაშქვრას არც სწრაფი, ინდივიდუალური გარღვევებით თაკილობდა. მას მხარი დიმიტარ ანგელოვმაც აუბა, რომელსაც იმ დღეს 23 წელი შეუსრულდა და საფინალო მეოთხედის წინ ქართველები 23 ქულით ჩამორჩნენ. აქ კი ჩვენებურთათვის ცხადი გახდა, რომ ბულგარელთა ერთ-ერთ მწვრთნელს, ივან ცენოვს, თბილისური მატჩის შემდეგ მართალი უთქვამს, ბულგარეთში აუცილებლად გავიმარჯვებთ, თანაც ქულათა საკმაო მარაგითო.

ფაჩულიასა და ნაცვლიშვილს ხუთი პერსონალურის გამო მოედნის ადრიანად დატოვება მოუწიათ და ცხადი გახდა, რომ ქართველები 16 ქულაზე, ანუ იმაზე მეტით წააგებდნენ, რითაც თბილისში იმარჯვეს. მაგრამ ბოლო მეოთხედში ჩვენებმა ოდნავ გამოასწორეს თამაში, ეს ძირითადად ვლადიმერ ბოისასა და რამაზ გოგობერიშვილის აქტიურობას მოჰყვა. ქართველები ბევრს ეცადნენ, ანგარიშში ჩამორჩენა მაქსიმალურად შეემცირებინათ, მაგრამ საბოლოოდ ისღა შეძლეს, რომ თითქმის მეორე შემადგენლობით დარჩენილებმა 19 ქულით წააგეს და ჯგუფიდან გასვლის აქამდე არსებული ჩინებული შანსები გვარიანად შეიმცირეს.

**ირაკლი ბერტაია**

### აზერბაიჯანი 59:106 ბელარუსი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 4 | 3 | 1 | 351:283 | 7 |
| საქართველო | 4 | 3 | 1 | 341:299 | 7 |
| ბელარუსი | 4 | 2 | 2 | 369:282 | 6 |
| აზერბაიჯანი | 4 | 0 | 4 | 262:429 | 4 |

## თავისუფალ აგენტთა ბაზარი

22-26 აგვისტო

დალას მავერიქსი: აიყვანა უკანახაზელი ტიმ ჰარდევეი („მაიამიდან)
გოლდენ სტეიტ ვორიორზი: დაიტოვა დრაფტში აყვანილი უკანახაზელი ჯეისონ რიჩარდსონი და ფორვარდი ტროი მერფი



ტიმ ჰარდევეი

# ჰარდევეიმ ბაზარი გამოაცოცხლა

**ვეტერანი** გამთამაშებლის ტიმ ჰარდევეის „მაიამი ჰითიდან“ „დალას მავერიქსში“ გადაბარგებამ გამოაცოცხლა თავისუფალ აგენტთა მიჩუმებული ბაზარი. დიდი თუ პატარა ოკეანგაღმური გაზეთი შეუდგა ამ ტრანსფერის მიზეზთა ძიებას. ბევრმა ის ვერსიაც წამოაყენა, ჰარდევეი თავის დამრიგებელს, პატ რაილის ეჩხუბაო, თუმც ეს ჰიპოთეზა სინამდვილეს ნაკლებად უნდა შეესაბამებოდეს. ჰარდევეის, რომელსაც ამ კვირას დაბადებიდან 35 წელი უსრულდება, ისედაც სურდა სიბერის ჟამს გუნდის გამოცვლა.

ტიმ ჰარდევეი თავისუფალი აგენტი იყო და „მაიამი“ მას ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე კარგავდა, ამიტომ კლუბის მამებმა მას სთხოვეს, ჯერ კონტრაქტი გააფორმე ჩვენთან და მერე გაგცვლითო. ჰარდევეი დათანხმდა და იგი დრაფტის მეორე წრეში არჩევნის უფლებაში გაცვალეს. ცხადია, ეს დიდი შეღავათი ვერაა „მაიამისთვის“, რომელმაც ძირითადი გამთამაშებელი და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი დაკარგა, მაგრამ სულ არაფერს სჯობია. ახლა ჰარდევეის „დალასთან“ სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, მას ამ ხნის განმავლობაში ტეხასელებისგან ზუსტად ათი მილიონი ერგება, სამაგიეროდ, კალათბურთელი პირობას დებს, „დალასის“ ინტერესების დასაცავად ტრავმებით გაწამებულ საკუთარ სხეულს მაქსიმუმი გამოწუროს.

ტრავმები კი, იცოცხლეთ, ჰარდევეის ბლომად გადაუტანია. ამ ბოლო სეზონშიც ნატკენი ტერფი და მუხლი ძლივს მოიშუშა. ტრავმების და ასაკის გამო მორყეული სხეულით კი ჰარდევეი დიდი ბზარია „მაიამი ჰითის“ ზემძლავრ დაცვით ნაგებობაში, რომელიც წვალებით აუგია ჭკვიან არქიტექტორს, პატ რაილის. „ფლორიდიდან წამოსულს გული მწყდება. მე ხომ ხუთ წელიწადზე მეტ ხანს ვცხოვრობდი იქ. სამწუხაროდ, ვეთხოვები გულშემატკივრებს, რომელთაც ვუყვარვარ და რომლებიც მიყვარს. სხვა დროს იქნებ სხვა გადაწყვეტილება მიმეღო, მაგრამ ეს ის სიტუაციაა, როცა ყველა ხვდება ჩემი წასვლის აუცილებლობას“ — ამბობს ჰარდევეი.

დალასი და „მავერიქსი“ კი წარმოუდგენლად თბილად ხვდება ახალწვეულ ვეტერანს. მართალია, ჰარდევეის არ უცხოვრია ამ ქალაქში და არც ამ გუნდის მაისურით გასულა ოდესმე მოედანზე, მაგრამ აქ მას მაინც ნაცნობი ვითარება და, რაც ყველაზე უფრო უხარია, ნაცნობი მწვრთნელი ხვდება. „დალასის“ დამრიგებელი დონ ნელსონი 1989-95 წლებში წვრთნიდა ჰარდევეის „გოლდენ სტეიტ ვორიორზში“. თანამედროვე „დალასიც“ ბევრით ჰგავს ძველ „გოლდენ სტეიტს“, სადაც ჰარდევეი, მიჩ რიჩმონდი და კრის მულინი მოძრავ, სწრაფ ტრიოს ქმნიდნენ და ლაღ, სანახაობრივ კალათბურთსაც თამაშობდნენ. „სტივ ნეშის, მაიკლ ფინლის და დირკ ნოვიცკის სამეული ძველ დროს მახსენებს. ახლა მე სტივის შემცვლელი ვიქნები და ბიჭებს ყველანაირად შევეშველები, კიდევ უფრო წინ წაიწიონ. ვიცი, რომ თამაშში საშუალოდ ოც წუთზე მეტი ხნით არ მომიწევს მოედანზე ყოფნა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ ამ გუნდში გამოსვლით. პატ რაილი და დონი დიდი მწვრთნელები არიან, ორივე სამსამჯერ ყოფილა სეზონის საუკეთესო მწვრთნელად აღიარებული, თუმც მათ განსხვავებული სამუშაო სტილი აქვთ. „მაიამიში“ თამაში დაწყებიდან ბოლო წამამდე რაილის მიჰყავს, ნელსონი კი ბიჭებს მეტ თავისუფლებას და იმპროვიზაციის საშუალებას აძლევს. დღესდღეობით ჩემთვის უკეთესია „დალასში“ თამაში — ამბობს ჰარდევეი — მიხარია, აქ რომ ვარ. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს დიდი ხნის განშორების შემდეგ ოჯახში დავბრუნდი.“

**ირაკლი ფირცხალავა**

## კრივი

# ქართველი მოკრივის სიცოცხლე ჩიკაგოში დასრულდა



**ცოტა** ხნის წინ ქუთაისმა სახელოვანი ძიუდოისტი აკაკი კიბორძალიძე დაიტირა. ულმობელი ყოფილა ცხოვრება — უბედურებას უბედურება დაემატა. ხუთშაბათს ქუთაისი კიდევ ერთ თავის მკვიდრ ცნობილ სპორტსმენს გააცილებს უკანასკნელ გზაზე. 20 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ჩიკაგოში, ავტოავარიაში დაიღუპა 29 წლის მოკრივე აკაკი კაკაურიძე.

აკაკის ბავშვობაშივე აღმოაჩნდა მოკრივის მონაცემები და ცნობილი მწვრთნელის, ანატოლი ცქიფურიშვილის ხელმძღვანელობით პირველ წარმატებებს მალე მიაღწია. 1990 წელს მან ჭაბუკთა შორის საკავშირო, ევროპისა და მსოფლიოს პირველობები მოიგო. კაკაურიძე პირველი ქართველი მოკრივეა, რომელმაც ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ათი წლის წინ საქართველოში დატრიალებული ამბების შემდეგ, როცა ცხოვრება გაჭირდა და სპორტისთვისაც არავის ეცალა, კაკაურიძემ უცხოეთს მიაშურა. რამდენიმე წლის განმავლობაში თურქეთის სახელით ასპარეზობდა. 1993 წელს იგი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, ხოლო ფინეთის ქალაქ ტამპერეში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლის მედალს და ტურნირის ყველაზე ტექნიკური მოკრივისთვის განკუთვნილ საგანგებო პრიზს დაეუფლა.

მერე აკაკი სამშობლოში დაბრუნდა. 1996 წელს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სახელით იასპარეზა, შემდეგ კი კვლავ თურქეთში გადავიდა. 1999 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი კაკაურიძემ ისევ ამ ქვეყნისთვის მოიგო.

თავის 29-ე დაბადების დღეს აკაკი კაკაურიძე ქუთაისში, ოჯახში შეხვდა. ნათესავ-მეგობრებთან ერთად გაატარა 6 თებერვალი. მეორე დღეს იგი პროფესიული კარიერის გასაგრძელებლად ამერიკას გაემგზავრა.

ნახევარი წელიწადი უცებ მიილია, ისევ როგორც აკაკი კაკაურიძის სიცოცხლე...

## ჭიდაობა

# ძალა ვეტერანებსაც ერჩით რუსი აქაც ვერ მოვიშორეთ

**სპორტსმენთათვის** ყველაზე მტკივნეული ალბათ კარიერის დასასრულია. ძნელია, შეელიო გულშემატკივართა ქომაგობას, ყურადღებას, მაგრამ ასაკი თავისას აკეთებს, თუმც ზოგიერთმა სპორტის სახეობამ მშვენიერი ტრადიცია დაამკვიდრა, რაც ნოსტალგიას დროებით მაინც კურნავს. ამ მხრივ გამონაკლისნი არც მოჭიდავეები არიან. ვეტერან ფალავნებს უშელავათო და დაძაბული პაექრობების გაცოცხლება ახლაც ძალუძთ.

ყველას, ვისაც ძალა ერჩოდა და ახალგაზრდული წლების გახსენება სურდა, ამის ბრწყინვალე საშუალება უნგრეთის ქალაქ სეკეშფეჰერვარში მიეცა. იქ ბერძნულ-რომაული სტილით ვეტერან მოჭიდავეთა III მსოფლიოს ჩემპიონატზე მრავალი ქვეყნის 350-მდე ფალავანი გამოდიოდა, მათ შორის საქართველოს წარგზავნილებიც. უფრო ზუსტად, ვეტერანთა მსოფლიოს ხალიჩაზე ორად ორი მოჭიდავით წარვდექით.

რუსთაველმა თემურ ნინიკურმა (85 კგ) შეძლო, პირველ წრეში გამარჯვების შემდეგ მეორეშიც დაწინაურებულიყო და შეხვედრა გამარჯვებამდეც მიჰყავდა, მაგრამ მკლავი დაიზიანა და იძულებული გახდა, ასპარეზობაზე ხელი აეღო. არადა, თურმე საპრიზოც ახლოს ყოფილა.

რუსთაველი ნინიკურისგან განსხვავებით, წარმატებით იასპარეზა თბილისელმა ომარ მელაშვილმა (58 კგ). მან ირანელ ფალავანს მოუგო სუფთად, მერე რუმინელს სძლია ქულებით, სუფთადვე მოუგო ბულგარელსაც და ფინალში ასპარეზობის უფლებაც მოიპოვა. აქ კი ქართველ მოჭიდავეს ძველი მეტოქე, რუსი ვალერი პეტროვი გადაეყარა. უშელავათო ბრძოლაში, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩემპიონობა რუსმა მოიპოვა (2:4). საინტერესოა, რომ შარშან ანალოგიურ ჩემპიონატზე პლოვდივშიც ახლანდელის დარი ფინალი შემდგარა და მაშინაც რუსს უმარჯვია.

ასეა თუ ისე, ვეტერანთა მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალიც არაა ურიგო, მით უმეტეს, რომ ომარ მელაშვილს ასპარეზობამდე რაღაც ექვსი თვით ადრე დაუწყია ვარჯიში. ისე კი ქართველი ფალავანი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია, იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, გაუმარჯვია პროფკავშირების საკავშირო ჩემპიონატზეც.

ისე, რომ არა თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის განყოფილება „სინთეზის" ხელმძღვანელის, თორნიკე ნოზაძის დაჟინებული თხოვნა და ამავე სამსახურის კოლექტივის მხარდაჭერა, ალბათ, ომარ მელაშვილის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება სათუო იქნებოდა.

**გიგა გურასაშვილი**



ომარ მელაშვილი ბულგარელ მეტოქეს ამარცხებს

## ჩოგბურთი



ვინუს უილიამსი

# შავი ღრუბლის ქვეშ ვერავინ ხარობს

| ნიუ იორკი. „ჰამლეტის თასი"<br>ჰარდი. საპრიზო 400 ათასი $ |
|---|

**მეოთხედფინალი: პიტ სამპრასი (3, აშშ) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 7:5, 6:3, არნო კლემანი (4, საფრანგეთი) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 1:6, 6:3, 6:3; ტომას იოჰანსონი (5, შვედეთი) — ტომას ენკვისტი (9, შვედეთი) 7:5, 3:6, 7:6 (9:7); ტომი ჰაასი (6, გერმანია) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:1, 6:4**

**ნახევარფინალი: სამპრასი — იოჰანსონი 7:5, 6:3; ჰაასი — კლემანი 6:3, 7:6 (7:3)**

**ფინალი: ჰაასი — სამპრასი 6:3, 3:6, 6:2**

ბებერი ხარისა რქებიც ხნავენო. პიტ სამპრასი სწორედ რომ ბებერი ხარია და იგი სიბერეს მსოფლიო კლასიფიკაციის მწვერვალიდან კარგა ქვემოთ ჩამოუჩოჩებია, თუმც ნებისმიერი ტურნირის ფავორიტთა სიიდან მისი ამოშლა ნაადრევია. შარშანდელი უიმბლდონის მოგების შემდეგ „პისტოლ პიტს" იღბალი განუდგა და მანამდე 13 დიდი სლემის ტურნირის მომგებმა ზედიზედ ბოლო 15 ტურნირიდან ბევრი ვერაფერი წამოიღო.

ამის მიუხედავად, კარიერის დაისზე ჩოგბურთისთვის მოხუცებული სამპრასისგან მაინც ელოდნენ გაბრწყინებას და მომცრო ნიუიორკული ტურნირის, „ჰამლეტის თასის" გათამაშებისას ამერიკელმა ქომაგმა თითქოს იხილა კიდეც სახელოვანი თანამემამულის გაბრწყინება. სამპრასმა რიგიანად დაიწყო, ფინალსაც უწია, მაგრამ იქ რქა მოსტყდა და ხნული ბოლომდე ველარ გაიტანა.

ტურნირის პირველმა ნახევარფინალმა დამსწრე საზოგადოების მეხსიერებაში ძველი დროის ეპიზოდები ამოატივტივა. აი, გამოჩნდა კორტზე სამპრასთან მარცხს წინასწარ შეგუებული მეტოქე, ცოტა ოფლი მოიდინა და წაგებით არცთუ განაწყენებულმა მეგობრულად ჩამოართვა ხელი მეტოქესა და მთავარ მსაჯს. ძირითადად ასე ხდებოდა 90-იანი წლების მატჩებში, რომლებშიც ბადის ერთ მხარეს „პისტოლ პიტი" იდგა. ასეთივე სცენარით წარიმართა სამპრას-იოჰანსონის მატჩი. აქ ამერიკელი საკუთარ თავს არ ჰგავდა, თუ მის ბოლო თამაშებს გავითვალისწინებთ; უფრო კი ჰგავდა საკუთარ თავს, ასე 3-4 წლის წინანდელს. იოჰანსონი ვაჟკაცურად იბრძოდა, თუმც არცთუ ძლიერი, მაგრამ ზუსტი მოწოდებების ქარიშხალს ვერ გაუძლო, 11 ეისი მიიღო და ორ სეტში დანებდა ექსპირველ ჩოგანს.

„როცა პიტი ასე თამაშობს, ნებისმიერს მოუგებს — ნამატჩევს თავი იმართლა იოჰანსონმა და იქვე დასძინა — ვფიქრობ, არც არნოს და არც ტომის მისი წაქცევის შანსი არა აქვთ".

როდესაც შვედი ამას ამბობდა, ტომი ჰაასი და არნო კლემანი მეორე ნახევარფინალური მატჩის წინ ითელებოდნენ. რომ მორჩნენ, სანაქებო ჩოგბურთი გააჩაღეს და შედეგად გერმანელმა ზედიზედ მეხუთედ მოუგო ფრანგს.

ახალ შტიხად თუ ბეკერად შერაცხულმა, მაგრამ ლეგენდარული თანამემამულეების დონემდე ვერმისულმა ჰაასმა თამამად შეაბიჯა ფინალში, [illegible] ბრძოლა [illegible] სამპრასს მისსავე იარაღით, მძლავრი მოწოდებით აჯობა. გერმანელი ეისს ეისსზე აწვ[illegible] 15 [illegible] ამასთან იგი გადამწყვეტ მომენტებში [illegible] და მეორე სეტის წაგებისა და ანგარიშის გათანაბრების შემდეგ შეძლო ძალთა მობილიზება.

„ყველა დროის უძლიერესი ჩოგბურთელის დამარცხება ჩემთვის უმნიშვნელოვანესი წარმატებაა" — თავმდაბლობდა ნამატჩევს ჰაასი. მან არც საკუთარი თავი დაივიწყა და თქვა, ეს სახელოვანი გამარჯვება ცხადყოფს, რომ მე კარგ ფორმაში ვარ და არც ამერიკის ღია პირველობაზე ვაპირებ ხელების ჩამოშვებასო. სიმართლეს ნუ დავუკარგავთ და ტომი ჰაასი ნამდვილად არაა ურიგო ფორმაში, რასაც თავად გერმანელი ძველი მწვრთნელის დევიდ ეიმის დაბრუნებას მიაწერს. როცა ის გავუშვი, თავში ქარები მიქროდა და ჩემი მოკლე ჭკუით ვფიქრობდი, რომ უმწვრთნელოდაც კარგი ვიყავი, ამან კი მხოლოდ ჩამძირაო.

„ჰამლეტის თასი" ჰაასის მეორე ტიტულია. პირველი გასულ იანვარს ადელაიდაში მოიგო, მას შემდეგ კი ოთხი სხვადასხვა მწვრთნელით, თუ მათ გარეშე წელიწადნახევარს წვალობდა. დღეს იგი დევიდ ეიმის და საკუთარ თავს უმადლის ამ ტურნირში გამარჯვებას.

| ნიუ ჰეივენი (აშშ)<br>„პილოტ პენ ტენისი"<br>ჰარდი. საპრიზო 565 ათასი $ |
|---|

**მეოთხედფინალი: ჯენიფერ კაპრიატი (2, აშშ) — ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) 6:4, 6:3; ვინუს უილიამსი (3, აშშ) — ჟუსტინ ენენი (5, ბელგია), 6:3, 5:7, 6:2; კიმ კლაისტერსი (4, ბელგია) — ნატალი ტოზია (7, საფრანგეთი) 6:2, 6:2; ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — ამელი მორესმო (6, საფრანგეთი) 6:4, 6:4**

**ნახევარფინალი: დევენპორტი — კლაისტერსი — უარი თქვა; უილიამსი — კაპრიატი 6:4, 7:6 (7:1)**

**ფინალი: უილიამსი — დევენპორტი 7:6 (8:6), 6:4**

ქალთა ჩოგბურთს შავი ღრუბელი გადაეფარა და მას ვინუს უილიამსი ჰქვია. შავკანიანი ვენერას ღონიერი მარჯვენა მარცხნივ და მარჯვნივ ყველა მეტოქეს ცელავს. წლეულს მონაგრებულ ოთხ ტიტულს ვინუს უილიამსმა ამ უქმეებზე ერთიც შეჰმატა და გუშინ დაწყებულ წლის ბოლო დიდი სლემის ტურნირს მშვენიერ ხასიათზეც შეეგება.

„ვერ ვიტან წაგებებს" — თქვა ნიუ ჰეივენში გამარჯვების შემდეგ უფროსმა უილიამსმა. ეს ტურნირი დიდი სლემის ან მასტერსის სერიის პირველობებს აბა, როგორ შეედრება, მაგრამ იქ მოგებას ვინუსი ნამდვილად გაუტოლებს კარიერის უდიდეს მიღწევებს. აი, ის ფაქტები, რომლებიც ამის თქმის საფუძველს იძლევა: უილიამსმა ზედიზედ მესამედ მოიგო „პილოტ პენ ტენისი", ამასთან 1999 წლის შემდეგ ფინალში მეორედ დასცა არანაკლებ ღონიერი, მაგრამ ნაკლებ მოქნილი თანამემამულე ლინდსი დევენპორტი. ვინუსმა ბოლო შვიდი პირადი შეხვედრიდან მეექვსედ სძლია დევენპორტს, ხოლო სანამ ფინალში მას მოუგებდა, მანამდე ქალთა ელიტის კიდევ ორი წარმომადგენელი — ჟუსტინ ენენი და ჯენიფერ კაპრიატი მოინელა. ამ და სხვა მრავალ სახელოვან გამარჯვებების გათვალისწინებით რაღა გასაკვირია, თუ ვინუსი ამერიკის ღია პირველობის უპირველესი ფავორიტია. მით უმეტეს, რომ ჰარდის საფარიან კორტზე იგი ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში და აკი შარშანაც მოიგო დიდი სლემის მეოთხე ტურნირი.

**ივანე ძოზიაშვილი**



ტომი ჰაასმა პიტ სამპრასი უკან მოიტოვა და თასიც აღმართა

# კავშირმა თავისი თქვა. კლუბებმა თავისი იციან

## ჩემპიონატი, რა თქმა უნდა, დაგვიანებით განახლდება. და განახლდება საერთოდ?

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპი წესით და რიგით 2 სექტემბერს უნდა განახლებულიყო, მაგრამ ბოლო დროს დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, კარგა ხნის წინ დამტკიცებული თარიღი შეიცვალა.

ჩემპიონატში მოასპარეზე კლუბებს თხოვნით მიუმართავთ საქართველოს რაგბის კავშირისთვის, ეგებ ცოტა ხნით გადავწიოთ მეორე ეტაპის დაწყება, პირველობას სრულ მზადყოფნაში რომ შევხვდეთო. კავშირმაც გუნდების თხოვნა გულთან ახლოს მიიტანა და დასტური უთხრა. ასე რომ, 2 სექტემბერს დასაწყები 9 სექტემბერს დაიწყება. ამ დღეს საქართველოს თასის ნახევარფინალური მატჩები გაიმართება. ბათუმის „დათვები" ქუთაისის „აიას" დაუპირისპირდება, თბილისში „ლოკომოტივი" და „ყოჩები" გაარკვევენ ურთიერთობას.

რაც შეეხება ჩემპიონატს. იგი 16 სექტემბერს განახლდება. ოთხი მოწინავე — „დათვები", „ლოკომოტივი", „ყოჩები" და „აია" — ბზის თასისთვის იბრძოლებს. თბილისის „უნივერსიტეტი" და ასკ კი, „დათვები 2"-თან და „ყოჩები 2"-თან ერთად, უმაღლეს ლიგაში დარჩენა-არდარჩენის საკითხს გაარკვევენ.

მეორე ეტაპის პირველ ტურში „დათვები" — „ყოჩები" და „ლოკომოტივი" — „აია" გაიმართება. აქვე იმასაც გეტყვით, რომ „დათვები" — ასკ-ის გადადებული შეხვედრა აღარ შედგება. არმიული კლუბი ფინანსების უქონლობას კარგა ხანია, უჩივის. სწორედ ამიტომ ასკ ზღვისპირეთში ჩასვლას ვერ ახერხებს. ბათუმელები ყოველგვარი ოფლის ღვრის გარეშე ჩაიწერენ მორიგ ორ ქულას, ამით სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცევიან და „ლოკომოტივისთვის" დროებით ნათხოვარ პირველ ადგილს დაიბრუნებენ.

იმის შანსიცაა, რომ ჩემპიონატი არც განახლდეს, ანუ გათამაშება შეწყდეს. ეს იმ შემთხვევაში, თუ კლუბები 1 სექტემბრამდე რაგბის კავშირის ფონდში ჩემპიონატში სამონაწილეო თანხას არ მიიტანენ. როგორც რაგბის კავშირის სპორტული კომიტეტის დირექტორმა მიხეილ რობიტაშვილმა გვითხრა, რომელიმე გუნდს ჯერაც არ შეუტანია სამონაწილეო თანხა, ზოგსაც ბოლომდე არ დაუფარავს დავალიანება. ეს ფული კი მსაჯების ჯამაგირისთვის და მათი მივლინებებისთვის არის საჭირო. თუ კლუბები დათქმულ ვადამდე ანუ 1 სექტემბრამდე ჯიბეზე ხელს არ გაიკრავენ და სამონაწილეო ფულს არ გადაიხდიან, ადვილი მოსალოდნელია, ეროვნული პირველობა გათამაშების შუაწელში შეწყდეს. კავშირმა თავისი თქვა, ჯერი ახლა კლუბებზეა.

**ბაჩო სვანიძე**

სამი ერის პირველობა

# გალიმებულ შავებს სიდნეიში ფინალი ელით

ოკლენდი. 25 აგვისტო

**ახალი ზელანდია 26:15 სამხრეთ აფრიკა**

**ახალი ზელანდია:** მაკდონალდი, უილსონი, უმაგა, ალატინი, ლომუ, მერთენსი, კელეჰერი; ჰოფტი, ოლივერი (კაპ), სომერვილი (ჰეიმანი 59), ჯეკი (ქუქსლი 77), მაქსველი, ფლეველი, რენდელი, კრიბი (ჰოლა 51)

**2ლ:** ალატინი, საჯარიმო; **2გ. და 4ს:** მერთენსი

**სამხრეთ აფრიკა:** იანტიესი, პოლსე, სნაიმანი (კაიზერი 77), ფან სტრაატენი, ჰოლი, ჯეიმსი, ფან დერ ვესტჰოიზენი; კემპსონი (ლე რუ 62), ფან ბილიონი (სმიტი 62), ფისახი, მეტფილდი, ენდრიუსი (ფან დენ ბერგი 62), ფოსი (ფან ნიკერკი 65), ფენტერი, სკინსტედი (კაპ)

**5ს:** ფან სტრაატენი

**მსაჯი:** პიტერ მარშალი (ავსტრალია)

**ოკლენდში** ახალმა ზელანდიამ წლეულს მეორედ დაამარცხა სამხრეთ აფრიკა და ამ შაბათს სიდნეიში გასამართი მატჩი სამი ერის ჩემპიონატის ფინალად აქცია. „შავებს" უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ ორი კვირით ადრე დანიდინში ავსტრალიასთან წაგების გამო. „ქარისბრუკის" იმედგაცრუების შემდეგ მათი მთავარი მწვრთნელი უეინ სმიტი და მისი დამხმარე ტონი ჯილბერტი იმდენი აკრიტიკეს, ლამის გადადგომამდე მიიყვანეს. შესაბამისად მათაც საკმაოდ გადაახალისეს შემადგენლობა და შაბათს მხოლოდ მოსაგებად დაგეშეს.

სმიტს ყველაზე მეტად ნახევარდაცვის ცვლილებამ გაუმართლა. შერკინების ნახევარმცველი ბაირონ კელეჰერი თამაშს წამითაც არ აყოვნებდა, მისი მეწყვილე ენდრიუ მერთენსი კი ხომ საერთოდ შეუდარებელი იყო. მან ორი გარდასახვა და ოთხი საჯარიმო შეასრულა ზუსტად და თავისიანების მეორე ლელოშიც ლომის წილი დაიდო.

„ღიმილი დავიბრუნეთ. ახლა მთლიანად სიდნეის მატჩზე ვართ კონცენტრირებულნი, ის ხომ ტურნირის ფინალია" — განაცხადა მატჩის შემდეგ ახალზელანდიელთა კაპიტანმა ენტონ ოლივერმა.

მისმა სამხრეთაფრიკელმა კოლეგა ბობი სკინსტედმა, წაგების მიუხედავად, თავისიანები მაინც შეაქო: „ჩვენ აქ გასამარჯვებლად ჩამოვედით, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. თუმცა ბიჭების მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან მათ ბოლომდე იბრძოლეს და თავი არ დაზოგეს".

წვიმიან ამინდში ჩატარებული შეხვედრის შემდეგ კი ოლივერი მართლაც მშვენიერ ხასიათზე იყო, რაც პრესკონფერენციაზეც გამოჩნდა. „ახლა მინიმუმ ერთი კვირით მაინც დაგვეხსნებიან მგლები" — თქვა მან და, რა თქმა უნდა, „მგლებში" „შავების" კრიტიკოსები იგულისხმა.

ოლივერისა და დანარჩენი კუნძულელების თამაშით კმაყოფილი უნდა იყოს სმიტიც და მთელი ახალი ზელანდიაც. „ოლ ბლექსის" თამაშში უწინდებურად შეინიშნებოდა გამონათებები. შერკინება გაცილებით ძლიერად გამოიყურებოდა, ბურთი უსწრაფესად თავისუფლდებოდა, შეტევის ფაზები ერთმანეთს კარგად ებმოდა და „შავი" ურდოს შეკავება უძნელესი საქმე გამხდარიყო. თანაც მაესტრო მერთენსიც ყველაფერს მშვენივრად დირიჟორობდა და უკანახაზელებიც მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ.

ამ კარგად მოქმედი გუნდის წინააღმდეგ „ქურციკები" საკმაოდ უმწეოდ წარმოჩინდნენ და მატჩის მსვლელობაში გარღატეხის შეტანის მცირედი შანსიც არ მისცემიათ. სმიტის შეგირდები მთელს მინდორს ჭკვიანურად იყენებდნენ და მოწინააღმდეგეს უამრავი თავსატეხი გაუჩინეს.

მასპინძლებმა მატჩი გააფთრებული იერიშებით დაიწყეს, ისევე როგორც ორი კვირის წინ დანიდინში ავსტრალიასთან. ისინი თავიანთი კრიტიკოსებივით „მშიერ მგლებს" ჰგავდნენ, „ქურციკთა" სასწრაფოდ შეჭმა რომ განეზრახათ. და ისევე როგორც მსოფლიოს ჩემპიონებთან, ამჯერადაც სასურველი შედეგი გამოიღო სწრაფმა შტურმმა.

აფრიკელები ოზებივით ორ წუთში არ გატყდნენ, მაგრამ მე-8 წუთზე მაინც დალელოვდნენ. „შავებს" „აღთქმულ მიწასთან" ხუთიოდ მეტრით ადრე ჩაეშალათ ერთ-ერთი შეტევა, თუმცა ბურთი არ დაუკარგავთ. ოლივერმა და მაქსველმა ახალი იერიში წამოიწყეს. უმაგამ კელეჰერს მიაწოდა ბურთი, რომელმაც პიტა ალატინი მოძებნა და 5:0. მერთენსმა ლელო გარდასახა.

ამის მერე მასპინძლები შედარებით დაოკდნენ და კაცი იფიქრებდა, ისევე გაფლანგავენ ამ უპირატესობას, როგორც ავსტრალიასთანო. მით უმეტეს, რომ მერთენსის ორ ზუსტ საჯარიმოს და ორ გაცუდებულს ბრაამ ფან სტრაატენმა სამიდან სამი ზუსტი დარტყმით უპასუხა და ანგარიშში სხვაობა შესვენებისთვის 4 ქულამდე შეამცირა — 13:9.

გასახდელიდან დაბრუნების შემდეგ მასპინძლებმა ისევ ხელთ იგდეს მატჩის სადავეები და გავეშებით შეუტიეს. სამხრეთაფრიკელები მათ შეჩერებას ოდენ თამაშის წესების დარღვევით ახერხებდნენ და კრაისტჩერჩელმა დამრტყმელმა, რომელმაც ზე-12 ტრავმის გამო ჩააგდო, კიდევ 6 ქულა შეჰმატა „ოლ ბლექს".

რამდენიმე წუთში კი მერთენსმაც მშვენიერი პასი გაუჭრა ფეხით თავის მცველ ლეონ მაკდონალდს, რომელიც უეჭველად დაამიწებდა ბურთს „ქურციკთა" ლელოში, ფან ბილიონს უბურთოდ რომ არ შეებოჭა. ავსტრალიელმა მსაჯმა პიტერ მარშალმაც საჯარიმო ლელო დააფიქსირა და მერთენსის გარდასახვით ანგარიში 26:9 გახდა.

მატჩის დასრულებას 25 წუთზე ცოტა მეტი აკლდა (მსაჯის მიერ წამატებული წუთების ჩათვლით). შესაბამისად, აფრიკელებს მისი გადარჩენის დრო ჰქონდათ, მაგრამ კუნძულელები დაცვაში მშვენივრად გაისარჯნენ და მეტოქეს ოდენ ორი საჯარიმოლა დაანებეს.

„ქურციკები" მეორედ დამარცხდნენ და ტურნირის მოგების შანსიც დაკარგეს. „შავებმა" კი სიდნეიში „ვოლაბებთან" ფრეც რომ გაახერხონ, სწორედ ოზებისგან შარშან წაგვრილ ტიტულს დაიბრუნებენ.

**გაგი გურული**


REUTERS ოკლენდიდან

ჯონა ლომუმ ლელო ვერ გაიტანა, მაგრამ დაცვაში მაგრად იმუშავა. ის ამჯერად იოჰან ფან ნიკერკს ებრძვის

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ახალი ზელანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 53:41 | 8 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 52:49 | 7 |
| სამხრეთ აფრიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 | 52:67 | 6 |

*შენიშვნა: მეხუთე გრაფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი შვიდი ან ნაკლები ქულით წაგებისთვის მინიჭებული პრემიალური ქულებია*


REUTERS ოკლენდიდან

დენ ჰოლი ბაირონ კელეჰერის შებოჭვას ლამობს

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge